პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

30 აპრილი **შაბათი** 2011
№099 (13396) ფასი 60 თეთრი

ინტერნეტ-ტოტალიზატორი
www.liderbeti.com
LIDERBETI
ლიდერი ინტერნეტ სივრცეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ZAZA




## ატლანტამ და ფაჩულიამ ჯადო-მეჯიქი აიხსნეს. ახლა ხარების ჯერია

11



## რა დიდი იყო აურზაური...

დისციპლინარებმა დაადგინეს...

2



## შავი კატა რეალში

რონი და ჟოზე: კონფლიქტი

6

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

## სადისციპლინო კომიტეტის სხდომა




სადისციპლინო კომიტეტის წევრები. მარცხნიდან: თემურ ლალანიძე, ტატო ლასხიშვილი, ზურაბ პეტრიაშვილი

# დანაშაული, სასჯელი და არშემდგარი სკანდალი

### ოლიმპის ლიდერებისთვის სეზონი დასრულდა



ოლიმპი-ზესტაფონი. ალექსანდრე კვახაძის გაძევების ეპიზოდი

სეზონის ბოლომდე დასვენება და 600-600-ლარიანი ჯარიმა - ასე დასაჯა ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა რუსთავის "ოლიმპის" ფეხბურთელები **ალექსანდრე კვახაძე** და **ლუკა რაზმაძე**. კომიტეტის წევრთა აზრით, მათ 31-ე ტურში რუსთავის "ოლიმპისა" და "ზესტაფონის" შეხვედრის დასრულებისას მთავარ მსაჯს **თორნიკე გვანცელაძეს** და მის ასისტენტ **გურამ ჩიგოგიძეს** სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობაც ჰქონდათ. ეს მას შემდეგ, რაც არბიტრმა ორივე მოედნიდან გააძევა.

კომიტეტის წევრებმა (**ტატო ლასხიშვილი** - კომიტეტის თავმჯდომარე, **ზურაბ პეტრიაშვილი, თემურ ლალანიძე, ზვიად დარასელი** - კომიტეტის მდივანი) საქართველოს ჩემპიონატის 31-ე ტურში მომხდარი სხვა ამბებიც განიხილეს: "სამტრედიას" მეკარე **კახა ჯინჭარაძე** "ვიტ ჯორჯიასთან" შეხვედრის 89-ე წუთზე მოედნიდან გააძევეს - მას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 100 ლარის გადახდა დააკისრეს.

სადისციპლინო კომიტეტმა ზუგდიდის "ბაიასა" და თბილისის "დინამოს" შეხვედრისას მომხდარი ინციდენტიც განიხილა: 86-ე წუთზე მასპინძლები სტუმართა კარში პენალტის დანიშვნას ითხოვდნენ, განსაკუთრებით მათი კაპიტანი, **როინ ონიანი** აქტიურობდა. როდესაც "ბაიას" კაპიტანი მთავარ მსაჯ **ხვიჩა გაგნიძეს** მიუახლოვდა, ეს უკანასკნელი მოედანზე დაეცა - ონიანის დახმარებით თუ შემთხვევით, კომიტეტი ამას არკვევდა.

სხდომას გაგნიძე დაესწრო და თქვა, ტალახიან მოედანზე შემთხვევით წავიქეცი, ფეხბურთელებმა წამომაყენესო. "რუსთავი2"-ის ჟურნალისტმა **დავით ერაძემაც** იგივე გაიმეორა, ჩვენ მიერ გადაღებულ კადრებში კარგად ჩანს, ფეხბურთელი მსაჯს არ შეხებიაო. საბოლოოდ, არასპორტული საქციელის გამო როინ ონიანს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 200 ლარის გადახდა აკმარეს.

პეტრიაშვილი საკამათო ეპიზოდის მიზეზითაც დაინტერესდა: სტუმარ-მასპინძელი ფეხბურთელები "დინამოს" საჯარიმოში ბურთისთვის იბრძოდნენ, როდესაც მას თბილისელთა მეკარე **გიორგი ლორია** დაეუფლა, ამ დროს დინამოელმა "ბაიას" თავდამსხმელს მხარი ჰკრა და ეს უკანასკნელი წაიქცა. პეტრიაშვილს აინტერესებდა, სამართლიანად ითხოვდნენ თუ არა ზუგდიდელები "დინამოს" კარში პენალტის დანიშვნას.

სამსაჯო და სადამკვირვებლო განყოფილების წარმომადგენელმა **ავთანდილ შალამბერიძემ** თქვა, მხრით თამაში დაშვებულია და ფიზიკურად უფრო ძლიერმა დინამოელმა ზუგდიდელს რომ აჯობა, ეს დარღვევად ვერ ჩაითვლებოდაო.

განიხილეს „დინამოს" გულშემატკივრების შეურაცხყოფის ფაქტი, მაგრამ, გაგნიძის თქმით, ამას მატჩის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია და დისციპლინარებს სტადიონი არ დაუსჯიათ, მხოლოდ გაფრთხილება მისცეს, წესრიგის დამცველები სამოქალაქო ფორმაში არ უნდა იყვნენო.

განაჩენით უკმაყოფილო დარჩა "ოლიმპის" პრესატაშე **შოთა შერმადინი**: *"ვფიქრობ, რაზმაძესა და კვახაძეს მკაცრი გადაწყვეტილება გამოუტანეს, რადგან აქამდე განსაკუთრებულ სადისციპლინო გადაცდომაში არც ერთი არ ყოფილა შემჩნეული. ვფიქრობ, ორი წამყვანი ფეხბურთელის გამოკლებით კლუბი დაზარალდა. ამას გარდა, უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ფეხბურთელთა აღშფოთება ცუდმა მსაჯობამ გამოიწვია".*

მოკლედ, ასეთი იყო ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის ეს სხდომა, რომელსაც სკანდალურს ვერაფრით ვუწოდებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

## სიტუაცია

### გია ჭანტურია:

# რამდენჯერ უნდა მოვუგო ზესტაფონს?

გუშინდელ "ლელოში" დაბეჭდილ "ზესტაფონის" პრეზიდენტ **ილია კოკაიასთან** ინტერვიუს გამოეხმაურა **გია ჭანტურია**, რომელიც კლუბს კონტრაქტის გაწყვეტის გამო მესამე წელია, ედავება.

საფეხბურთო არბიტრაჟმა ჭანტურია გაამართლა და "ზესტაფონს" მისი ყოფილი მეკარის სასარგებლოდ 29 ათასი ლარის გადახდა დააკისრა. თუმცა კოკაია ფეხბურთის ფედერაციის დაფუძნებულ საფეხბურთო არბიტრაჟს დამოუკიდებელ ორგანოდ არ აღიარებს და არც მის გადაწყვეტილებას სცნობს.

*"როდესაც კლუბის წინააღმდეგ სარჩელი სპორტულ არბიტრაჟში შევიტანე, კოკაია მაშინაც არ გამოცხადდა. მიზეზი არ გაინტერესებთ? ეს არბიტრაჟი ფეხბურთის ფედერაციის დაფუძნებული არ არის და ფედერაციასთან შეთანხმებაც არ აქვს, აქედან გამომდინარე, მას არ ვცნობო. ამის შემდეგ დაფუძნდა საფეხბურთო არბიტრაჟი და იქაც ამის გამო არ გამოცხადდა, არ ვცნობო. "ზესტაფონთან" გამამართლა ფეხბურთის ფედერაციის სატრანსფერო და მოთამაშეთა სტატუსის კომიტეტმა, ახლა საფეხბურთო არბიტრაჟმა და, ბოლოს და ბოლოს, როდის და რამდენჯერ უნდა მოვიგო საქმე, რათა ჩემი კუთვნილი თანხა გადაიხადოს?*

*როგორც ვამჩნევ, ფიფაში წერილის გაგზავნა მომიწევს, მაგრამ მე ის მადარდებს, "ზესტაფონი" და მასთან ერთად ფეხბურთის ფედერაციაც არ დააჯარიმონ. თუ არბიტრაჟის გადაწყვეტილებას არ აღასრულებენ, კლუბს ჯერ ქულებს დააკლებენ, რაც ჩემპიონობაში ხელს შეუშლის, შემდეგ ტრანსფერებს შეუჩერებენ – ფეხბურთელებს ვერც იყიდის და ვერც გაყიდის, მესამე ეტაპი დაბალ ლიგაში დაქვეითებაა, მეოთხე კი - კლუბისთვის ლიცენზიის შეჩერება, რის გამოც ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ეს არც მე მსურს და, ცხადია, არც თავად კლუბს და ფედერაციას. ვფიქრობ, ამ დავიდარაბას 29 ათასის გადახდა აჯობებს. მე კი მგონია, დიდი ფულის პატრონმა პრინციპულად ვერ აიტანა, რიგითმა ფეხბურთელმა რომ მოუგო საქმე, თორემ კოკაია ძუნწი არ არის. ეს სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის უფლებებისა და საფეხბურთო კანონმდებლობის დარღვევა"* – ამბობს გია ჭანტურია.

როგორც ჩანს, ეს დავა კიდევ დიდხანს გაგრძელდება და, შესაძლოა, მალე ლათინომერიკულ სერიალს დაემსგავსოს.

**მერაბ მამულაშვილი**



გია ჭანტურია

## U17




# ფინალის მაგივრად მეხუთეობის შანსი

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა, რომელიც ყაზახეთში "პრეზიდენტის თასზე" ასპარეზობს, ფინალში გასვლა ვერ შეძლო. ჯგუფში გამარჯვებისთვის **ვასილ მაისურაძის** გუნდს გუშინ მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა, მაგრამ უკრაინის ნაკრებთან ვერაფერი გააწყო და 0:1 დამარცხდა.

პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, უკრაინელებმა გამარჯვების გოლი 65-ე წუთზე გაიტანეს. როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, ჩვენმა გუნდმა ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე რეალური შესაძლებლობა ვერ გამოიყენა.

საქართველოს ნაკრებმა ამ შემადგენლობით ითამაშა: **ადამია, გაბაძე, ჭანტურია, მელიქიძე, აბურჯანია (ნიკურაძე 64), ჭეჭელაშვილი, ახვლედიანი, კაკაბაძე, როსტიაშვილი (კერძევაძე 56), მზევაშვილი (წილოსანი 60), მაკარაძე.**

შეგახსენებთ, ჩვენმა 17-წლამდელებმა ტურნირი წარმატებით დაიწყეს და სომხეთს სძლიეს, რასაც თურქეთთან და უკრაინასთან მარცხი მოჰყვა.

ჩვენი გუნდის „აქილევსის ქუსლად" რჩება არასახარბიელო ფიზიკური მომზადება, რამაც საქართველოს ნაკრები წინა ტურნირებზეც დაალალატა. დღეს ქართველები მეხუთე ადგილისთვის იბრძოლებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## U15, U14

# სტარტი მოგებით წაგებით




გუშინ სტოკჰოლმში უეფას ექსპრეზიდენტ **ლენარტ იუჰანსონის** თასის გათამაშება დაიწყო, რომელშიც საქართველოს 14-წლამდელთა (მთავარი მწვრთნელი **გოჩა ტყებუჩავა**) და 15-წლამდელთა (მთავარი მწვრთნელი **ნოდარ აკობია**) გუნდები მონაწილეობენ. ქართველებმა გუშინ ორ-ორი მატჩი ჩაატარეს, მაგრამ იმის გამო, რომ მეორე შეხვედრები გვიან დასრულდა, მხოლოდ პირველი მატჩების შედეგებს გაცნობებთ.

14-წლამდელებმა ფინური ჰიკ 5:1 გაანადგურეს. **ირაკლი ბუღრიძემ** დუბლი შეასრულა, თითო გოლი კი **ლუკა ვარძელაშვილის, ვატო არველაძისა** და **რატი არდაზიშვილის** ანგარიშზეა. ფინელებმა პრესტიჟის გოლის გატანა მატჩის მიწურულსღა შეძლეს.

ჩვენმა ნაკრებმა ამ სასტარტო შემადგენლობით ითამაშა: **ჩოჩიშვილი, წერეთელი, ყურშავიშვილი, ბედიევი, კუხიანიძე, არდაზიშვილი, ბუღრიძე, ვარძელაშვილი, არველაძე, კვანტალიანი, ლეჟავა.**

14-წლამდელებს წუხელ დანიურ "ლუნგბიუსთან" უნდა ეთამაშათ, დღეს კი მათი მეტოქე "მილანი" იქნება.

15-წლამდელებმა შვედური ტურნირი მარცხით დაიწყეს – ავსტრიულ "შტურმთან" 0:1 წააგეს. საქართველოს ნაკრებმა გოლი პირველი ტაიმის შუაწელში თერთმეტმეტრიანით გაუშვა.

ჩვენი გუნდის ძირითადი შემადგენლობა ასეთი იყო: **ქურდაძე, კაკიაშვილი, კევლიშვილი, კაციტაძე, კომახიძე, წივილაშვილი, ლაშხია, ქორიძე, ბერიძე, მიქელთაძე, ჯობავა.**

15-წლამდელებს წუხელ ფინურ "ჰონკასთან" მატჩი ელოდათ, ხოლო დღეს ამსტერდამის "აიაქსს" დაუპირისპირდებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტორპედო



# ქუთაისელები სამტრედიასთან ზესტაფონზე იფიქრებენ

ორდღიანი სააღდგომო პაუზის შემდეგ, 26 აპრილს ქუთაისის „ტორპედო" შეიკრიბა და „სამტრედიასთან" თამაშისათვის ვარჯიში დაიწყო, რომელსაც ეროვნული თასის სამზადისად განიხილავს. ქუთაისური კლუბის პრესსამსახურის ცნობით, „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" შეხვედრის შემდეგ ჩემპიონატის ცხრილის მეოთხე საფეხურიდან მეხუთეზე დაქვეითებული ტორპედოელები იმედოვნებენ, რომ ეს დროებითი ამბავია და მალე კვლავ დაწინაურდებიან.

"ბუნებრივია, ყურადღება უფრო თასის ნახევარფინალური ეტაპის განმეორებითი მატჩისკენაა მიპყრობილი, მაგრამ, ამის მიუხედავად, გია გიგატაძე 30 აპრილს ჩემპიონატის მატჩზე ფეხბურთელთა დასვენებას არ აპირებს" – იუწყება „ტორპედოს" ვებგვერდი.

"სამტრედიასთან" შეხვედრას ქუთაისელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რაც „ტორპედოს" მეკარეთა მწვრთნელის, **დავით გვარამაძის** კომენტარიდანაც ჩანს: *"სამტრედიასთან" შეხვედრა თასის გათამაშების განმეორებით ნახევარფინალურ შეხვედრამდე ბოლო რეპეტიციაა და ბიჭები საბრძოლველად მობილიზებულნი არიან".*

*„რა თქმა უნდა, "სამტრედიასთან" მოგებას ვგეგმავთ, მაგრამ, მიუხედავად სატურნირო მდგომარეობისა, მეტოქე მაინც იბრძოლებს. გამარჯვებას სწრაფი გოლი გაგვიადვილებს. კალენდარი მეოთხე ადგილზე დაბრუნებაში ხელს გვიწყობს, თუმცა ეს მხოლოდ პრესტიჟის საქმეა. გუნდი კი "ზესტაფონთან" 4 მაისის სათასო განმეორებით ნახევარფინალურ შეხვედრაზეა ორიენტირებული. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაკეთოთ აქცენტი დაცვაზე და „ზესტაფონს" კვლავ ისეთ თამაშს შევთავაზებთ, როგორიც პირველ შეხვედრაში დავუპირისპირეთ"* – თქვა „ტორპედოს" ვებგვერდთან ინტერვიუში მცველმა **თენგიზ ჩიკვილაძემ**.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

# ანანიძე დერბისაც დააკლდება



ჯანო ანანიძე

**ჯანო ანანიძეს** ტრავმის მოშუშების შემდეგ ძველი ფიზიკური კონდიციები ბოლომდე არ აღუდგენია და ამიტომაც "სპარტაკსა" და ცსკა-ს შორის დღეს გასამართ მოსკოვურ დერბის გამოტოვებს. შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს კოჭის ტრავმის გამო რამდენიმე მატჩი გაუცდა და ხორვატიასთან და ისრაელთან დაპირისპირებებში ვერც ჩვენს ეროვნულ გუნდს დაეხმარა. ცსკა-სთან შეხვედრის განაცხადში "სპარტაკის" სამწვრთნელო შტაბი 18 წლის ანანიძეს იმიტომ არ შეიყვანს, რომ სათამაშო პრაქტიკა აკლია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ქველმოქმედება

# თინა კანდელაკმა რობერტო კარლოსი აქციაში ჩართო



რობერტო კარლოსი და თინა კანდელაკი

27 აპრილს მოსკოვში საქველმოქმედო ფონდმა "აჩუქე სიცოცხლე" და რუსეთის პრემიერლიგელი მახაჩყალის "ანჟის" ხელმძღვანელებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. ეს ორგანიზაცია კიბოთი დაავადებული ბავშვებისთვის აგროვებს თანხებს, კლუბმა კი, მხარდაჭერის ნიშნად, ფონდის ლოგოთი ასპარეზობა გადაწყვიტა.

პრესკონფერენციაში "ანჟის" ბრაზილიელ კაპიტან **რობერტო კარლოსთან** და რუს მსახიობ **ჩულპან ხამატოვასთან** ერთად ქართველი ტელეწამყვანი **თინა კანდელაკიც** მონაწილეობდა.

მეტიც - როგორც აღმოჩნდა, პრესკონფერენციის ინიციატორი სწორედ კანდელაკი იყო, რომელიც "ანჟის" მეპატრონე **სულეიმან კერიმოვთანაც** ახლობლობს და ხამატოვასთანაც, აქციაში კი ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელის ავტორიტეტის ჩართვა აუცილებლად მიიჩნია.

რობერტო კარლოსმა, ისევე დაუგეგმავად, როგორც მოედანზე სჩვევია, განაცხადა, რომ არა მხოლოდ ერთჯერადად შეეწევა ფონდს, არამედ გარკვეულ თანხას ყოველი ხელფასიდან ჩარიცხავს.

ვფიქრობ, ეს ჟესტი ქართველი ფეხბურთელებისთვისაც არ არის ურიგო მაგალითი. ისინი ბევრს და ხშირად ეხმარებიან, მაგრამ ამგვარად ორგანიზებული აქციები ცნობილი ქართველი ფეხბურთელების მონაწილეობით (თუ არ ჩავთვლით **კახა კალაძეს** და თბილისის "დინამოს") იშვიათად გვახსენდება, არადა, გაჭირვებულ და დაავადებულ ბავშვებს მათი სითბო და ყურადღება ჰაერივით სჭირდებათ.

**მერაბ მამულაშვილი**

● გაგრა

# გაგრას უკრაინული აკადემია მოამარაგებს

## ბესიკ ჩიხრაძე: გაგრაც არაა მხოლოდ კლუბი

"გაგრას" პრეზიდენტ **ბესიკ ჩიხრაძეს** კლუბის სამომავლო გეგმებზე ველაპარაკეთ. "გაგრა" პირველი ლიგის ლიდერია და უმაღლესში დაბრუნების დიდი შანსი აქვს:

- "ბარსელონას" სტადიონ "კამპ ნოუს" შესასვლელთან წარწერაა – „არა მხოლოდ კლუბი", – ამბობს **ჩიხრაძე.** ამას იმათ გასაგონად ვამბობ, ვისაც დაუჟინია, "გაგრას" უმაღლეს ლიგაში რა უნდა, ბევრი მაყურებელი არ ჰყავსო. ჯერ ერთი, ჩვენ ბევრი გულშემატკივარი გვყავს, მეორეც, "ბარსელონას" არ ვედრებით, მაგრამ საქართველოსთვის "გაგრაც" არ არის მხოლოდ კლუბი. ეს არის სიმბოლო, რომ გაგრა საქართველოა და ასე დაფიქსირდა უეფაში - "გაგრა", საქართველო.

ეტყობა, "გაგრა" დალევინდა, რადგან უმაღლესში გადასვლას მიუახლოვდა, ადრე კი ამ უფლებას სხვათა დაქვეითებით ვილებდით. უკეთ ამუშავდა სელექცია, გვყავს კარგი მწვრთნელი, ბევრი შეცდომის შემდეგ რაღაც ბალანსს მივაღწიეთ. ამიტომ არის, რომ ჩვენი რამდენიმე ფეხბურთელი უცხოეთში გავუშვით: ადრე ვახტანგ ფანცხავა და ლაშა თოთაძე, ახლა თორნიკე ოქრიაშვილი - "ილიჩივეცში", მალე ოვონიკოკო ევროპულ კლუბში გადავა. სად, მალე გადაწყდება – წინადადებებია უკრაინიდან, საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან და ბელგიიდან. გამოგვიჩნდა პარტნიორი ნიგერიაში, ამ ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო აკადემია. ახლა კიდევ ერთი ფეხბურთელი ჩამოვიყვანეთ და მიმაჩნია, რომ ის ოვონიკოკოზე არანაკლებ ნიჭიერია.

**- ოვონიკოკოს მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობამ გულშემატკივართა ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია, ჯერ ჩინელები შემოგვესივნენ, ახლა კი აფრიკელების ჯერი დგებაო.**

- ვეთანხმები ამ გულშემატკივრებს, მასობრივად უცხოელები არ გვჭირდება, ბევრი აფრიკელი არც ჩამოგვიყვანია, მაგრამ ნიჭიერზე უარს არ ვიტყვით. ახლა ფედერაციასთან ერთად მისი მოქალაქეობის საკითხს ვწყვეტთ. როგორც ვიცი, ოთარ გაბელიამ ოვონიკოკო რამდენჯერმე ნახა და მასზე კარგი აზრისაა. გვითხრეს კიდეც, თუ მოქალაქეობას მიიღებს, ნაკრების კანდიდატად განვიხილავთო.

**- რატომ მიიწვიეთ "გაგრაში" გამოცდილი უკრაინელი ფეხბურთელები და არა ქართველები?**

- მწვრთნელს მოედანზე მხარდამჭერი სჭირდება და თავისიანი ურჩევნია, რომელიც მენტალობით მასთან ახლოს არის. მე კი პისკოვეცის საქმეში ვერ ჩავერევი, რადგან მისი არჩევანი ამართლებს და "გაგრა" პირველი ლიგის ლიდერია. აქვე გეტყვით, რომ ჩვენი პარტნიორი უკრაინის ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო აკადემია - ლვოვის ოლქის ქალაქ მორშჩინის "სკალა" გახდება, რომელსაც მეორე ლიგაში გუნდი ჰყავს და ქვეყნის ასაკობრივ ნაკრებებს ყოველწლიურად ნიჭიერი ფეხბურთელებით ამარაგებს. ბოლო ნახევარ წელიწადში აკადემიის ფეხბურთელები იყიდეს დონეცკის "მეტალურგმა", კიევის "დინამომ" და დონეცკის "შახტარმა". ამ გუნდიდან ჩამოვიყვანთ ახალგაზრდებს, რადგან უკრაინელებსაც ხელს აძლევს მათი საქართველოს უმაღლეს ლიგაში თამაში, გამოცდილებას მიიღებენ და გაიზრდებიან. ჩვენთვისაც სახელია, რომელიმე ნიჭიერი უკრაინელის "სივიში" "გაგრა" რომ ჩაიწერება. ამას ბიზნესის ფორმაც უნდა მივცეთ.

"გაგრას" ჩემი რესურსებით ვინახავ, შემოსავლის ერთადერთი წყარო კი ტრანსფერებია. ამ მხრივ პატარა წარმატებები გვაქვს. ცხადია, უპირველესად ქართველების გაზრდაზე ვფიქრობთ, მაგრამ უცხოეთთან კავშირი გვჭირდება. "გაგრა" სხვებისთვის უნდა გახდეს ის რგოლი, რომელზეც უარს ვერ იტყვიან – ეს არის გუნდის სტრატეგია. ჩვენს საფეხბურთო სკოლაში თბილისსა და მუხრანში ოთხ ასაკობრივ გუნდს ვინახავთ. უკეთ რომ გავზარდოთ, თანამედროვე ბაზა გვჭირდება. ზაფხულში მუხრანში ან სხვაგან სავარჯიშო ბაზის მოწყობა და სამი მოედნის გაკეთება გვსურს, ორის - ბალახით, ერთის – ხელოვნური ხალიჩით, პლუს საცხოვრებელი კორპუსის აშენება.

**- თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩში "ვიტ ჯორჯია" დაამარცხეთ, მაგრამ უმაღლეს ლიგაში გადასვლის შემთხვევაში გაძლიერება მაინც დაგჭირდებათ.**

- შემადგენლობის დასაბალანსებლად ისეთი გამოცდილი ფეხბურთელების მოწვევა გვსურს, რომელთა გვერდით ნიჭიერი ახალგაზრდები გაიზრდებიან, ტრანსფერებით "გაგრასაც" გამოადგებიან და ჩვენს სხვადასხვა ნაკრებსაც. საქართველო კი არა, განვითარებული ჰოლანდია და ბელგია არიან ექსპორტიორი ქვეყნები და ასეთად კიდევ დიდხანს დავრჩებით. რატომღაც, ბევრს ამის აღიარება ეთაკილება, არადა, ჩვენი სტრატეგია ამ პოლიტიკაზე უნდა ავაწყოთ. ეს მოგვცემს შანსს, გვყავდეს კარგი ნაკრები.



ბესიკ ჩიხრაძე

**- "ლოკერენის" წარმომადგენელ ვილი რენდერსის ნათქვამზე გულში მეცინებოდა, საქართველოში შემოქმედებით ფეხბურთელებს ვეძებო – სამწუხაროდ, ასეთები თითქმის აღარ დაგვრჩა. ხომ არ თვლით, რომ სელექციისას მისი სიტყვები ყველა კლუბმა უნდა გაითვალისწინოს?**

- რენდერსმა სწორი მიმართულებისკენ მიგვითითა – ევროპული ფეხბურთი საქართველოდან სწორედ ასეთ ფეხბურთელებს ელის. ჩვენ სწორედ შემოქმედებით მოთამაშეებს ვეძებთ, რადგან ფეხბურთელის ფიზიკურად და ტაქტიკურად მომზადება ძნელი არ არის, გამორჩეული ნიჭის პატრონის აღმოჩენაა პრობლემა. ჩვენთან ასეთები არიან ლევან შარიქაძე, რომელიც ზაფხულში ევროპაში წავა, ოქრიაშვილის მსგავსია გიგა ჭკუასელი, კიდევ ბევრი სხვა.

**- კლუბის ვებგვერდი რატომ დახურეთ?**

- "გაგრას" საკმაოდ კარგად იცნობენ რუსეთ-უკრაინასა და ევროპაშიც. მაგრამ ჩვენი ვებგვერდი კლუბის იმიჯს არ შეეფერებოდა და უფრო თანამედროვე ვებგვერდის მომზადება გადავწყვიტეთ.

**მერაბ მამულაშვილი**



საქართველოს ჩემპიონატი | XXXII ტურის წინათქმა

# სამართლიანი თამაშის პრინციპების მოლოდინი

რალა დარჩა, — თვეზე ნაკლები და XXII ეროვნული ჩემპიონატიც დამთავრდება. სეზონის ფინიშამდე ხუთი ტურით ადრე ჯერჯერობით მხოლოდ ის არის გარკვეული, რომ „ზესტაფონი“, „დინამო“ და „ოლიმპი“ ამ ზაფხულს ევროტურნირებზე იასპარეზებენ. ევროპის ლიგის კიდევ ერთი საგზურის მფლობელის ვინაობა ჯერ უცნობია, ისევე როგორც გაურკვეველია, თუ რომელი ორი გუნდი დატოვებს უმაღლეს ლიგას და რომელს მოუწევს პლეი-ოფის მატჩის ჩატარება პირველი ლიგის მესამეადგილოსანთან. მოკლედ, საინტერესო მატჩების მოლოდინში ვართ, მაგრამ ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც ნუ დავივიწყებთ: სეზონის ბოლომდე არც ერთი ისეთი შეხვედრა აღარ გველოდება, სადაც ერთმანეთის პირისპირ ლიდერები წარდგებიან; ამას გარდა, დიდია იმის ალბათობა, რომ უკვე ამ ტურის შემდეგ, უმაღლესი ლიგის, სულ მცირე, ოთხ-ხუთ გუნდს ჩემპიონატში აღარანაირი მოტივაცია აღარ ჰქონდეს დარჩენილი: ზოგი უმაღლესში დარჩენას გაინაღდებს, ზოგი ძირითად აქცენტს თასის გათამაშებაზე აილებს და ამის გამოც, შესაძლოა, დარჩენილ მატჩებს, რბილად რომ ვთქვათ, ზერელედ მოეკიდოს. ანუ, ძალიან „შორიდან შემოვლა“ რომ არ გამოგვივიდეს, პირდაპირ ვიტყვით: სეზონის ბოლომდე მართლაც დიდი ალბათობა არსებობს „უცნაური“ შედეგით დასრულებული რამდენიმე მატჩის ხილვისა! ჰოდა, ამ ბოლო დროს ასე გახშირებულ მსაჯების მიმართ არნახულ ზეწოლასა თუ საჯარო პრეტენზიებს არ გვინდა, საეჭვო მატჩებიც დაემატოს. საბედნიეროდ, დღემდე (ანუ, 30 აპრილამდე) ამ სეზონში ჯერჯერობით არც ერთი ისეთი შეხვედრა არ ყოფილა, გარკვეული ეჭვები რომ გაეჩინა. ისე, გულახდილად რომ ვთქვათ, მთლად „აბსოლუტურ სისუფთავეზეც“ თავს ვერ დავდებთ, - ყოველ შემთხვევაში, კულუარებში კაცი ყურს იმასაც მოჰკრავდა, თითქოსდა, ჩვენს ჩემპიონატში მაინც ყოფილიყო ორგუნდიანი „კოალიციები“, ანუ, ამა თუ იმ გუნდს თავის „სტრატეგიულ პარტნიორთან“ გარკვეული... ვალდებულებაც ჰქონია (რალა თქმა უნდა, ქულების „ჩახუტებაზეა“ ლაპარაკი), სამაგიეროდ, იმ „სტრატეგიულ პარტნიორსაც“ ექნებოდა „კონკრეტული დავალება“ და ასე შემდეგ; თუმცა, კიდევ ვიმეორებთ, ეს მხოლოდ კულუარებში გამოთქმული მოსაზრებებია და საერთოდაც, აბა, გაიხსენეთ, თუ როდის დაისაჯნენ ჩვენი კლუბები გარიგებულ თამაშში მონაწილეობისათვის?..

ასეთი შესავალი კი, გვერწმუნეთ, შემთხვევით არ გაგვიკეთებია და მოდი, მართლაც ვისურვოთ, რომ სეზონის დარჩენილი მატჩების უმრავლესობა „ფეირ პლეის“ პრინციპების დაცვით ჩატარდეს, თორემ, ხომ იცით, არსად არაფერი იმალება და გულშემატკივარიც არ მოტყუვდება; ჰოდა, თუ გვინდა, რომ ზესტაფონის, ქუთაისისა და სამტრედიის გარდა სხვა ქალაქების სტადიონებზეც სავსე იყოს ტრიბუნები, ყველამ უნდა ვიზრუნოთ და მოსალოდნელი მანიპულაციები თავიდან ავიცილოთ. ბოლოს და ბოლოს, გულშემატკივარი სტადიონზე რომ მივა და საინტერესო მატჩის ნაცვლად... უნიჭოდ დადგმულ საფეხბურთო სპექტაკლს ნახავს, როგორ გინდა ამ შეურაცხყოფილ გულშემატკივარს მეორედაც მოსთხოვო სტადიონზე მისვლა?..

## ვიტ ჯორჯია-სიონი

Bwin: 1.60 3.30 5.50

30.04. თბილისი. შატილი (თემქაზე) **16:00**

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი; ასისტენტები: ს. სპიცინი, დ. კურტანიძე; მეოთხე მსაჯი: ლ. სილაგავა

ახალი მწვრთნელის, **ზურაბ ბერიძის** ხელმძღვანელობით „ვეტერინარებმა“ დროებითი კრიზისი დაძლიეს და ბოლო ორ შეხვედრაში მოპოვებული ოთხი ქულაც მხოლოდ სატურნირო თვალსაზრისით არ იყო მნიშვნელოვანი. რაც მთავარია, „ვიტ ჯორჯიას“ ახალგაზრდულ გუნდს საკუთარი ძალებისადმი რწმენა დაუბრუნდა და ყოველივე ეს ნათლად გამოჩნდა „დინამოსთან“ შეხვედრაშიც. იმ მატჩის რეპორტაჟის დროსაც აღვნიშნეთ და კვლავაც გავიმეორებთ, რომ მართლაც საამო სანახაობა იყო „ვეტერინართა“ აშკარად შეტევაზე ორიენტირებული თამაში; შესაძლოა, ვინმეს გადამეტებულადაც მოეჩვენოს, მაგრამ, ჩვენი აზრით, „ვიტ ჯორჯიას“ კიდევ აქვს შანსი, რომ თასის ფინალში გავიდეს. თუმცა, სათასო დაპირისპირებამდე დღევანდელი მატჩია, რომლის სავარაუდო შედეგის გამოცნობაც ბევრს გაუჭირდება. ისე, სატურნირო თვალსაზრისით, სტუმრები ბევრად უფრო მოტივირებულნი უნდა იყვნენ: **ხვიჩა ქასრაშვილის** გუნდს უმაღლეს ლიგაში დარჩენა ჯერ საბოლოოდ არ „გაუფორმებია“. ამას გარდა, „სიონს“ ჩემპიონატის ბოლოს სამი ურთულესი მატჩიც („დინამოსთან“, „ზესტაფონთან“, „ოლიმპთან“) ელოდება და აქედან გამომდინარე, ბოლნისელები ალბათ, დღეიდანვე იზრუნებენ საკმარისი ქულათა მარაგის შესაქმნელად. სხვათა შორის, უკვე ოთხი წელიწადია, „სიონი“ ვერაფრით ახერხებს „ვიტ ჯორჯიას“ დამარცხებას...

## ზესტაფონი-ბაია

Bwin: 1.20 5.25 11.50

30.04. ზესტაფონი. დ. აბაშიძე **18:00**

არბიტრი: გ. ვადაჭკორია; ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, ლ. მიქელაძე; მეოთხე მსაჯი: გ. დოგრაშვილი

უკვე 8 წელი გავიდა იმის მერე, ჩვენთან კონკრეტულმა გუნდმა „დუბლი“ რომ შეასრულა (ჩემპიონობა და თასი ერთ სეზონში უკანასკნელად 2003 წელს „დინამომ“ მოიპოვა); და აი, „ზესტაფონს“ ამ მიღწევის ჩინებული შანსი აქვს: გია გეგუჩაძის გუნდი ჩემპიონატსაც დამსახურებულად ლიდერობს და არც თასის აღებაზე იტყვის უარს. ოღონდ, მანამდე „ტორპედოს“ ძლევაა საჭირო ნახევარფინალში და ვინაიდან განმეორებითი შეხვედრა ოთხ დღეში უნდა ჩატარდეს, შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, თითქოს „ზესტაფონი“ ამ ტურის მატჩს ნაკლები სერიოზულობით შეხვდება. თუმცა, ეს ვერსია აბსურდულს უფრო წააგავს: გუნდი ხომ ასე ახლოა ისტორიაში პირველ საჩემპიონო ტიტულთან და უშუალო კონკურენტების („დინამო“, „ოლიმპი“) დამარცხების შემდეგ ქულების დაკარგვას რალა შედარებით სუსტ მეტოქეებთან დაიწყებს? სხვათა შორის, არავინ თქვას, რომ „ბაია“ ამ შეხვედრას უმოტივაციოდ შეხვდება — **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდს უმაღლეს ლიგაში ადგილი შენარჩუნებული ჯერ არ აქვს.

## სპარტაკი-ოლიმპი

Bwin: 4.60 3.40 1.37

30.04. გორი. ქართლი **16:00**

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი; ასისტენტები: ბ. ჭიჭინაძე, ი. კაკაბაძე; მეოთხე მსაჯი: შ. ქუხილავა

დღევანდელი მეტოქეები ამ დაპირისპირებას აშკარად უარყოფითი განწყობით ხვდებიან: „სპარტაკს“ უკვე ორი თვეა, არ გაუმარჯვია და ამ ცხრამატჩიანი მოუგებელი სერიის გამოც არის, **ბადრი კვარაცხელიას** გუნდს უმაღლესში ადგილის შენარჩუნება ძალიან რომ უნდა გაუჭირდეს. თანაც, მასპინძლებს სერიოზული საკადრო პრობლემებიც აქვთ: წამყვანი მცველები, **ბოიომო ფრიდოლინი** და **ნუკრი მანჩხავა** დისკვალიფიცირებულნი არიან, „სპარტაკის“ შეტევების ორგანიზატორი და ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენა **ვალერი ბოლქვაძე** კი კვლავაც მკურნალობას აგრძელებს. ქვეყნის ჩემპიონიც ვერ დაიტრაბახებს ბოლო დროს სასურველი შედეგებით: ზედიზედ სამმა წაგებამ „ოლიმპი“, ფაქტობრივად, ჩამოაშორა კიდეც საჩემპიონო რბოლას. თანაც, ნამდვილად არ იქნება ადვილი სეზონის ბოლომდე დისკვალიფიცირებული გუნდის ლიდერების, **ალექსანდრე კვახაძისა** და **ლუკა რაზმაძის** სრულფასოვანი შემცვლელების მოძებნა.

## დინამო-კოლხეთი

Bwin: 1.20 5.25 11.50

01.05. თბილისი. ბ. პაიჭაძე **17:00**

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი; ასისტენტები: ლ. თოდრია, ი. მაჩიტიძე; მეოთხე მსაჯი: ხ. გაგნიძე



2010 წლის 27 ოქტომბერი. დინამო-კოლხეთი 5:0

კალენდრის მიხედვით, ტურის ყველა მატჩი დღეს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილებაში „დინამოს“ მართლაც „არანორმალური“ აპრილის გრაფიკი გაითვალისწინეს და „კოლხეთთან“ მატჩი ხვალ გაიმართება. არადა, მართლაც ვერ იქნებოდა ადვილი, როცა გუნდი 25 დღეში... შვიდ ოფიციალურ მატჩს ითამაშებდა. „დინამოს“ ერთგულ ქომაგთა სამწუხაროდ, ჩვენმა ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა აპრილში ქულათა მაქსიმუმის მოგროვება ვერ მოახერხა და **კახა კაჭარავას** გუნდი ახლა მხოლოდ იმის იმედად არის, რომ დარჩენილ შეხვედრებში „ზესტაფონმა“ სადმე გაუთვალისწინებელი ქულები დაკარგოს. რა თქმა უნდა, ფეხბურთში ყველაფერი ხდება, მაგრამ მოვლენების მსგავსი განვითარების, ცოტა არ იყოს, ნაკლებად გვჯერა...

## ტორპედო-სამტრედია

Bwin: 1.26 4.75 9.50

30.04. ქუთაისი. ტორპედო **18:00**

არბიტრი: ლ. კვარაცხელია; ასისტენტები: ზვ. ერქვანია, ზ. ბერულავა; მეოთხე მსაჯი: ჯ. ხორავა

LIVE პირდაპირი რეპორტაჟი პირველ არხზე LIVE

აი, ამ შემთხვევაში კი ჰაერში „თასის სურნელი“ იტრიალებს: განმეორებითი ნახევარფინალის წინ „ტორპედომ“ ძალები რომ დაზოგოს, არც არავის უნდა გაუკვირდეს. თუმცა, ვეჭვობთ, ქუთათურთა გუნდი მორიგ „იმერულ დერბის“ ნაკლები სერიოზულობით მიუდგეს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უმაღლეს ლიგაში გარკვეული პაუზის მერე დაბრუნებული „ტორპედოსათვის“, ალბათ, სულ ერთი არ უნდა იყოს, სატურნირო ცხრილში რომელ ადგილს დაიკავებს. აი, „სამტრედიას“ კი, თითქოს სხვა პრობლემა არ ეყოფოდაო, ძლიერ მეტოქესთან მატჩში დისკვალიფიცირებულ მეკარეს **კახა ჯინჭარაძეს** მოისაკლისებს. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ამ მატჩის პირდაპირი რეპორტაჟის ნახვა პირველი არხის ეთერით იქნება შესაძლებელი.

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
| 1 | ზესტაფონი | 31 | 20 | 6 | 5 | 57 | 16 | 66 | 15 | 12 | 2 | 1 | 35 | 3 | 38 | 16 | 8 | 4 | 4 | 22 | 13 | 28 |
| 2 | დინამო | 31 | 17 | 9 | 5 | 45 | 17 | 60 | 15 | 10 | 5 | 0 | 30 | 8 | 35 | 16 | 7 | 4 | 5 | 15 | 9 | 25 |
| 3 | ოლიმპი | 31 | 17 | 6 | 8 | 43 | 26 | 57 | 16 | 13 | 2 | 1 | 28 | 6 | 41 | 15 | 4 | 4 | 7 | 15 | 20 | 16 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 31 | 13 | 4 | 14 | 31 | 34 | 43 | 15 | 7 | 2 | 6 | 19 | 17 | 23 | 16 | 6 | 2 | 8 | 12 | 17 | 20 |
| 5 | ტორპედო | 31 | 10 | 12 | 9 | 22 | 19 | 42 | 15 | 7 | 7 | 1 | 12 | 4 | 28 | 16 | 3 | 5 | 8 | 10 | 15 | 14 |
| 6 | ბაია | 31 | 11 | 5 | 15 | 28 | 41 | 38 | 16 | 10 | 3 | 3 | 20 | 12 | 33 | 15 | 1 | 2 | 12 | 8 | 29 | 5 |
| 7 | სიონი | 31 | 9 | 9 | 13 | 24 | 35 | 36 | 16 | 8 | 4 | 4 | 19 | 12 | 28 | 15 | 1 | 5 | 9 | 5 | 23 | 8 |
| 8 | კოლხეთი | 31 | 8 | 9 | 14 | 19 | 38 | 33 | 16 | 7 | 4 | 5 | 15 | 13 | 25 | 15 | 1 | 5 | 9 | 4 | 25 | 8 |
| 9 | სპარტაკი | 31 | 6 | 9 | 16 | 28 | 38 | 27 | 15 | 5 | 4 | 6 | 24 | 18 | 19 | 16 | 1 | 5 | 10 | 4 | 20 | 8 |
| 10 | სამტრედია | 31 | 6 | 7 | 18 | 23 | 56 | 25 | 16 | 6 | 5 | 5 | 14 | 11 | 23 | 15 | 0 | 2 | 13 | 9 | 45 | 2 |

## პირველი ლიგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### XXIX ტური

| | |
|---|---|
| ბათუმი-ლოკომოტივი | 3:0 |
| ნ. დინამო-მერცხალი | 3:0 |
| მერანი-კოლხეთი (ხ) | 2:0 |
| ჭიათურა-ჩხერიმელა | 0:3 |
| იმერეთი-ადელი | 2:0 |
| გურია-სამგურალი | 2:1 |
| ჩიხურა-დილა | 0:1 |
| მეშახტე-გაგრა | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 27 | 20 | 5 | 2 | 64-15 | 65 |
| 2. მარტვილი | 28 | 19 | 7 | 2 | 52-12 | 64 |
| 3. გორი | 28 | 16 | 9 | 3 | 50-21 | 57 |
| 4. ჩიხურა | 27 | 17 | 4 | 6 | 51-23 | 55 |
| 5. ბათუმი | 27 | 15 | 8 | 4 | 57-14 | 53 |
| 6. გურია | 28 | 13 | 3 | 12 | 48-54 | 42 |
| 7. კოლხეთი (ხ) | 27 | 11 | 9 | 7 | 27-28 | 42 |
| 8. ჩხერიმელა | 27 | 7 | 11 | 9 | 33-39 | 32 |
| 9. ნ/დინამოელი | 27 | 9 | 3 | 15 | 34-51 | 30 |
| 10. მერცხალი | 28 | 8 | 6 | 14 | 40-61 | 30 |
| 11. მეშახტე | 27 | 8 | 5 | 14 | 29-40 | 29 |
| 12. იმერეთი | 27 | 8 | 4 | 15 | 27-36 | 28 |
| 13. სამგურალი | 27 | 7 | 5 | 15 | 31-52 | 26 |
| 14. ლოკომოტივი | 27 | 6 | 6 | 15 | 26-43 | 24 |
| 15. ადელი | 27 | 7 | 2 | 18 | 31-50 | 23 |
| 16. ჭიათურა | 27 | 6 | 5 | 16 | 23-61 | 23 |
| 17. სქური | 27 | 6 | 4 | 17 | 24-48 | 22 |

## მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი ზონა

#### XXIII ტური

| | |
|---|---|
| ავაზა-იმედი | 3:3 |
| ალგეთი-დუშეთი | 3:1 |
| სამცხე-სტუ-თიანეთი | 2:9 |
| გოლიადორი-ზოოვეტი | 0:3 |
| გაგრა-2-ივერია | 2:1 |

#### XXIV ტური

| | |
|---|---|
| აზული-გოლიადორი | 3:0 |
| ზოოვეტი-სამცხე | 8:1 |
| დუშეთი-35-ე სკოლა | 3:0 |
| სტუ-თიანეთი-ერთობა | 3:0 |
| იმედი-გაგრა-2 | 1:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გაგრა-2 | 22 | 14 | 3 | 5 | 48-14 | 45 |
| 2.სასკო | 22 | 13 | 6 | 3 | 70-32 | 45 |
| 3.სტუ-თიანეთი | 22 | 14 | 2 | 6 | 58-29 | 44 |
| 4.ზოოვეტი | 21 | 12 | 6 | 3 | 50-21 | 42 |
| 5.ივერია | 22 | 13 | 2 | 7 | 41-21 | 41 |
| 6.ავაზა | 21 | 12 | 2 | 7 | 56-33 | 38 |
| 7.იმედი | 23 | 9 | 6 | 8 | 57-44 | 33 |
| 8.აზული | 20 | 10 | 1 | 9 | 26-27 | 31 |
| 9.გოლიადორი | 23 | 9 | 4 | 10 | 37-35 | 31 |
| 10.ალგეთი | 21 | 9 | 3 | 9 | 35-30 | 30 |
| 11.დუშეთი | 22 | 7 | 9 | 6 | 40-31 | 30 |
| 12.მერანი | 21 | 8 | 2 | 11 | 31-34 | 26 |
| 13.35-ე სკოლა | 23 | 3 | 6 | 14 | 23-49 | 15 |
| 14.სამცხე | 23 | 3 | 0 | 20 | 14-123 | 9 |
| 15.ერთობა | 22 | 2 | 0 | 20 | 10-73 | 6 |

*შენიშვნა: 35-ე სკოლა და „ერთობა“ მოხსნილია გათამაშებიდან.*

*ყველა გუნდს მათთან გასამართ შეხვედრებში ჩაეთვლება ტექნიკური მოგება 3-0.*

### დასავლეთი. A ზონა

#### XX ტური

| | |
|---|---|
| მერცხალი-2-ქუთაისი | 1:1 |
| ბახმარო-სულორი | 2:1 |
| საირმე-დინამო-2 | 1:0 |
| გურია-2-ჩიხურა-2 | 0:1 |
| ბეთლემი-მერანი-2 | 1:1 |
| მართვე-მარგვეთი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩიხურა-2 | 18 | 15 | 3 | 0 | 63-12 | 48 |
| 2.სულორი | 19 | 13 | 1 | 5 | 35-21 | 40 |
| 3.დინამო-2 | 19 | 10 | 6 | 3 | 35-18 | 36 |
| 4.მარგვეთი | 18 | 10 | 2 | 6 | 37-27 | 32 |
| 5.ბახმარო | 18 | 9 | 4 | 5 | 29-30 | 31 |
| 6.ბეთლემი | 19 | 9 | 3 | 7 | 35-26 | 30 |
| 7.გურია-2 | 19 | 7 | 3 | 9 | 29-38 | 24 |
| 8.მერანი-2 | 18 | 6 | 5 | 7 | 20-19 | 23 |
| 9.საირმე | 18 | 5 | 4 | 9 | 15-24 | 19 |
| 10. ქუთაისი | 19 | 5 | 3 | 11 | 26-45 | 18 |
| 11.რაჭა | 18 | 5 | 2 | 11 | 26-39 | 17 |
| 12.მერცხალი-2 | 18 | 1 | 7 | 10 | 23-47 | 10 |
| 13.მართვე | 19 | 2 | 3 | 14 | 15-42 | 9 |

### დასავლეთი. B ზონა

| | |
|---|---|
| ბერმუხა-სამეგრელო | 0:1 |
| აისბერგი-ეგრისი | 4:3 |
| სქური-კოლხეთი-2 | 1:0 |
| მგლები-2-ზუგდიდი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ეგრისი | 17 | 12 | 2 | 3 | 45-19 | 38 |
| 2.კოლხეთი-2 | 17 | 9 | 3 | 5 | 37-23 | 30 |
| 3.მგლები-2 | 16 | 9 | 2 | 5 | 39-18 | 29 |
| 4.სქური-2 | 17 | 8 | 5 | 4 | 34-19 | 29 |
| 5.ზუგდიდი | 16 | 7 | 3 | 6 | 38-27 | 24 |
| 6.სამეგრელო | 17 | 6 | 5 | 6 | 24-31 | 23 |
| 7.აისბერგი | 16 | 3 | 2 | 11 | 24-56 | 11 |
| 8.ბერმუხა | 16 | 1 | 0 | 15 | 9-51 | 3 |

*სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფედერაცია მეორე ლიგის დასავლეთის „ბ“ ზონის ჩემპიონატის გარდა, თასის გათამაშებასაც ატარებს. გამოვლინდნენ ფინალისტები: „სქური-2“ (წალენჯიხა) და „კოლხეთი-2“ (ხობი). ფინალური მატჩი ჩატარდება ზუგდიდში, 13 მაისს (დასაწყისი — 16 საათზე)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXIV ტურის წინ

# რონალდოს შანსი მოურინიომ წაართვა
## ამასობაში, შეიძლება, მესიმ ითამაშოს


შარშან გიორგი ჭანტურიას მეწყვილე, დღეს „რეალ სოსიედადს" შეუტევს

საგაზაფხულო „კლასიკოების" სერიალმა, განსაკუთრებით კი მისმა მე-3 „სერიამ" მთლად დაჩრდილა ესპანური პრიმერადივიზიონი. აი, დღეს 34-ე ტური იწყება და ყველა **ჟოზე მოურინიოს** ფრაზებსა და სკანდალებზე ლაპარაკობს. რას ვიზამთ, ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე „ზედა ეშელონებში" ინტრიგა ცოტაა - „ბარსელონას" ხუთ მატჩში 7 ქულა აშორებს ტიტულის გადაფორმებამდე, „რეალმა" ხუთივე დარჩენილი შეხვედრა რომ წააგოს, მაინც მე-2 ადგილზე რჩება, მყარია წინა ტურში „სამეფო კლუბისგან" შერცხვენილი „ვალენსიას" მე-3 ადგილი, ისევე, როგორც პორტუგალიაში ძაღლივით გალახული „ვილიარეალის" - მეოთხე.

არადა, სინამდვილეში, სწორედ ახლა შეიძინა განსაკუთრებული დატვირთვა ტურის თითოეულმა თამაშმა - „მზის ქვეშ" ადგილის შენარჩუნებისთვის ხომ ლამის ნახევარი პრიმერა იბრძვის. ამ ტურშიც დაპირისპირებათა უდიდეს ნაწილში დიდი ომებია მოსალოდნელი. სხვა საქმეა, რამდენად აინტერესებს ქართველ მკითხველს, ვინ გავარდება და ვინ დარჩება ლიგაში...

ტრადიციულად, „ბარსელონა" და „რეალი" შაბათს თამაშობენ. ამჯერად, „რეალი" შინ „სარაგოსას" იღებს, ხოლო „ბარსელონა" სან სებასტიანში „რეალ სოსიედადს" ეწვევა. არაგონელებს ცუდად აქვთ საქმე, სულ რაღაც 36 ქულა აქვთ, **ხავიერ აგირეს** გუნდი მე-16 - მე-17 ადგილებს იყოფს „მალაგასთან". ახლა „სარაგოსასთვის" ყოველ ქულას ოქროს ფასი აქვს. „რეალ სოსიედადსაც" საზრუნავი აქვს, რომ კვლავ არ ჩაეშვას სეგუნდადივიზიონში, ბასკურ კლუბს 38 ქულა აქვს და გასავარდნ ზონას მხოლოდ 3 ქულით უსწრებს. მოკლედ, გრანდების ურთიერთობის გარკვევა კუთხეში მიმწყვდეულ და საშიშ აუტსაიდერებთან მოუწევთ. საერთოდაც, ტურში მხოლოდ ერთი დაპირისპირებაა, სადაც სიტყვა „გავარდნას" ვერ ახსენებ და ისიც ორშაბათს გაიმართება - ბარსელონაში „ესპანიოლი" საევროთასო საგზურისთვის „ბილბაოს" უნდა ეომოს. ალბათ, სწორედ ეს შედარებით შორეული თამაშია ყველაზე საინტერესო 34-ე ტურში.

მადრიდის „რეალში" ახლა **პეპეს** გაძევების ეპიზოდს უფრო არჩევენ (რომელიც მართლა ჰგავს **დანი ალვეშის** მხრიდან სიმულაციას), „სამეფო კლუბის" მიერ უეფაში შეტანილ სარჩელზე მეტს წერენ, ვიდრე „სარაგოსასთან" მომავალ მატჩზე. თუმცა, შარში გახვეული ჟოზე მოურინიო, ბუნებრივია, საქმეს მთელი სერიოზულობით უდგება. პარასკევს „რეალმა" ბაზაზე 24-კაციანი შემადგენლობით ივარჯიშა. ჟოზემ პირველი გუნდის წევრებს „რეალ კასტილიას" ორი ფეხბურთელი დაუმატა, **ნაჩო** და **ხუანფრანი**. მოურინიომ „კლასიკოში" მოთამაშეები, სხვებისგან განსხვავებით, მსუბუქად დატვირთა. არსად ჩანდნენ ტრავმირებული **ხედირა** და **გაგო**. საბოლოოდ, მოურინიომ 19 ფეხბურთელი შეარჩია, რომელთაც ერთ-ერთ მეკარეს გამოაკლებს და სხვებს სამატჩო განაცხადში შეიყვანს. გუშინ ვწერდით, რომ **მესის** ტრავმის გამო **კრიშტიანო რონალდოს** მისი დაწევის შანსი მიეცა ბომბარდირთა დავაში, მაგრამ მოურინიომ გადაწყვიტა თანამემამულის დასვენება: რონალდო „სარაგოსასთან" მატჩში არ იქნება.

**დღეს, 20:00**
**რეალი VS სარაგოსა**
**დისკვალიფიკაცია:** ანდერი (სარ)
**ტრავმა:** გაგო, ხედირა - ედმილსონი (?), ლაგუარდია, კონტინი

**დღეს, 22:00**
**სოსიედადი VS ბარსელონა**
**ტრავმა:** დე ლა ბელა, ხ. ლორენტე (?) - ინიესტა, აბიდალი, მაქსველი, კრკიჩი, ადრიანო

**დღეს, 00:00**
**დეპორტივო VS ატლეტიკო**
**ტრავმა:** დ. კასტრო, ურეტა, დეზმარე, ტომასი - პულიდო, გოდინი, პერესი, კოკე

**ხვალ, 19:00**
**ლევანტე VS სპორტინგი**
**ტრავმა:** ლარეა, პერესი, დელ ორნო, გონსალესი - აიოსე (?), კუელიარი, კანელია, სასტრე

**ხვალ, 19:00**
**რასინგი VS მალიორკა**
**დისკვალიფიკაცია:** ტორეხონი - ტეხერა
**ტრავმა:** ციოლისი, სერანო, პინილიოსი, კენედი - კორალესი, პინა (?), ნადალი

**ხვალ, 19:00**
**მალაგა VS ერკულესი**
**ტრავმა:** კალა, ოვუსუ, რუბენი (?), მალაგუენო (?), ასენხო - ტოტე, ალბა, კრისტიანი

**ხვალ, 19:00**
**ალმერია VS სევილია**
**დისკვალიფიკაცია:** ხუანმა ორტისი (ალმ)
**ტრავმა:** ფეგული, ნიეტო - ჩიგარინი, კანუტე, გუარენტე, ალექსისი, აკოსტა, ნავასი

**ხვალ, 21:00**
**ვილიარეალი VS ხეტაფე**
**დისკვალიფიკაცია:** მარჩენა (ვილ)
**ტრავმა:** ლოპესი, ოლივა, სენა, გონსალო - ლოპესი, გავილანი, ალბინი, მანუ

**ხვალ, 23:00**
**ოსასუნა VS ვალენსია**
**ტრავმა:** მასუდი, რუპერი, რობერტო, არანდა -დ. ნავარო, ვისენტე, კოსტა, დომინგესი, ბრუნო

**ზეგ, 23:00**
**ესპანიოლი VS ბილბაო**
**დისკვალიფიკაცია:** ხ. ლოპესი - სან ხოსე
**ტრავმა:** ფორლინი, დატოლო, ს. გარსია, ბაენა, ალვარესი (?), მატიონი, დ. გარსია, დუშერი, პენია - რომალიო, ოსიო, ირაისოსი, გომესი, სერიო, იტურასპე, კასტილიო, აურტენეჩე

განაცხადს მიღმა დარჩნენ **ლასანა დიარა, ჩაბი ალონსო, ალბიოლი** და **პედრო ლეონი**. ცხადია, რომ **კაკას, კანალესს** და **გრანეროს** გარანტირებული აქვთ სასტარტო შემადგენლობაში ადგილი.

„სარაგოსას" ნახევარმცველი **ნიკოლას ბერტოლო** დაშავებული ჰყავს. მან, შესაძლოა, თამაში მაინც შეძლოს, მაგრამ ესპანური მედია ამტკიცებს, რომ მექსიკელი თავკაცი ბერტოლოს მომავალი ტურის გადამწყვეტი მატჩისთვის, „ოსასუნასთან" დაპირისპირებისთვის შეინახავს. სამწუხაროა, რომ ვერ ვიხილავთ „სანტიაგო ბერნაბეუზე" არაგონელთა ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელ **ანდერ ერერას**. „ბილბაოს" მიერ შემდეგი სეზონისთვის დაბევებულმა ფეხბურთელმა წინა ტურში წითელი ბარათი მიიღო. ბოლო ხუთი წელიწადია, რაც „ბერნაბეუზე" „რეალი" „სარაგოსას" უგებს, ბურთების შეფარდებაც კატასტროფულია სტუმართათვის - 13:1. მოკლედ, 2004 წლის 13 მარტის შემდეგ არაგონულ კლუბს მადრიდიდან ქულა არ წაუღია. თუ ახლაც იგივე განმეორდა, „სარაგოსას" პრიმერადივიზიონურ სტატუსს დიდი კითხვის ნიშანი დაესმება. აქვე ვიტყვით, რომ „სარაგოსა" ლა ლიგაში ყველაზე ცუდად თამაშობს სტუმრად, ამ სეზონში მხოლოდ 1 შეხვედრა მოიგო.

**ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი „ანოეტაზე" მორიგი 3 ქულისთვის მიჰყავს. ის აცხადებს, რომ ახლა არც განვლილ და არც მომავალ „კლასიკოზე" არ სურს ლაპარაკი, პრიორიტეტი ლა ლიგის დღევანდელი მატჩია „რეალ სოსიედადის" წინაალმდეგ: *„თუკი მოვიგებთ, ჩვენ პრაქტიკულად ჩემპიონები ვხდებით. არ მინდა კონცენტრაცია დავკარგოთ და წავვართვან ის, რაც უკვე დავიმსახურეთ. მომავალ ტურში ბარსელონური დერბი გვაქვს და ძალიან მინდა, რომ იმ დროისთვის 8-ქულიანი უპირატესობა შევინარჩუნოთ. მხოლოდ ამის შემდეგ ვიგრძნობ თავს კომფორტულად. გუნდი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ჩინებულად გრძნობს თავს, დაღლილობას არ ვუჩივით"*, - განაცხადა გვარდიოლამ წინასამატჩო პრესკონფერენციაზე.

გვარდიოლამ კონკრეტულ ფეხბურთელებზეც ილაპარაკა: *„პუიოლს ვასვენებთ, მესის თამაშის დილას დავაკვირდებით და გადაწყვეტილებას მერე გამოვიტანთ, სერხი რობერტოს, რომელსაც „კლასიკოზე" დებიუტი ჰქონდა, დიდი მომავალი აქვს, ხოლო ერიკ აბიდალს მანამდე არ ვათამაშებ, სანამ თუნდაც რისკის 1% იარსებებს"*.

„ბარსა" ბოლოს 2007 წელს ესტუმრა „ანოეტას". შემდეგ ბასკური კლუბი ლიგიდან გავარდა. არადა, „ანოეტა" მეტისმეტად არასტუმართმოყვარე სტადიონია „ბარსელონასთვის", 63 დაპირისპირებაში კატალონიურ გრანდს უარყოფითი ბალანსი აქვს - 17 მოგება, 24 წაგება და 22 ფრე.

სან სებასტიანში „ბარსელონას" შემადგენლობაში კიდევ ერთ ტალანტს ექნება დებიუტი - 17 წლის გარემარბ **ჟერარდ დეულოფეუს** (სწორედ ასე წარმოითქმის კატალონიურად მისი გვარი და არა დელუფო). დიახ, სწორედ იმ დეულოფეუს, რომელიც შარშან **გიორგი ჭანტურიას** მეწყვილე იყო ხოლმე „ბარსელონას" ჭაბუკთა გუნდში. გვარდიოლას 19 ფეხბურთელი ჰყავს შეგულებული და აქედან 5 სარეზერვო გუნდის წევრია: **ფონტასი, ალკანტარა, მონტოია, სერხი** და დეულოფეუ. პეპის სიაში ვერ მოხვდნენ: **ინიესტა**, პუიოლი, **მაქსველი**, აბიდალი, **ადრიანო** და **კრკიჩი**.

„რეალ სოსიედადს", შესაძლოა, დაუბრუნდეს ფორვარდი **ხოსება ლორენტე**, რომელსაც საზარდულმა დიდი დრო გაუცდინა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 33 | 28 | 4 | 1 | 88-17 | 88 |
| 2. რეალი | 33 | 25 | 5 | 3 | 79-26 | 80 |
| 3. ვალენსია | 33 | 19 | 6 | 8 | 57-41 | 63 |
| 4. ვილიარეალი | 33 | 17 | 6 | 10 | 51-39 | 57 |
| 5. ბილბაო | 33 | 16 | 3 | 14 | 51-47 | 51 |
| 6. ატლეტიკო | 33 | 14 | 7 | 12 | 54-44 | 49 |
| 7. სევილია | 33 | 14 | 7 | 12 | 51-49 | 49 |
| 8. ესპანიოლი | 33 | 14 | 3 | 16 | 40-46 | 45 |
| 9. ლევანტე | 33 | 12 | 6 | 15 | 37-46 | 42 |
| 10. მალიორკა | 33 | 12 | 6 | 15 | 35-45 | 42 |
| 11. სპორტინგი | 33 | 10 | 11 | 12 | 31-37 | 41 |
| 12. სოსიედადი | 33 | 12 | 2 | 19 | 43-57 | 38 |
| 13. დეპორტივო | 33 | 9 | 11 | 13 | 27-41 | 38 |
| 14. ხეტაფე | 33 | 10 | 7 | 16 | 43-53 | 37 |
| 15. რასინგი | 33 | 9 | 10 | 14 | 32-49 | 37 |
| 16. სარაგოსა | 33 | 9 | 9 | 15 | 32-45 | 36 |
| 17. მალაგა | 33 | 10 | 6 | 17 | 44-63 | 36 |
| 18. ოსასუნა | 33 | 9 | 8 | 16 | 37-41 | 35 |
| 19. ერკულესი | 33 | 9 | 6 | 18 | 30-50 | 33 |
| 20. ალმერია | 33 | 5 | 11 | 17 | 32-58 | 26 |

სკანდალი

# ბლანსა და FFF-ს ბრალს სდებენ

ფრანგულმა გამოცემა "მედიაპარტმა" საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციისა და **ლორან ბლანის** წინაალმდეგ სკანდალი ააგორა, რომელსაც უკვე გამოეხმაურნენ უეფასა და ფიფას ჩინოვნიკებიც კი. როგორც გაზეთი იუწყება, ფედერაციის ალმასკომმა 2010 წლის ბოლოს სწორედ ბლანის მოთხოვნით გაუგზავნა საფეხბურთო სკოლებს თხოვნა, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე არაბული წარმოშობისა და შავკანიანი მოთამაშეები მათთან მოვარჯიშე ბავშვების მხოლოდ 30%-ს უნდა შეადგენდნენ. გამოცემა ამტკიცებს, რომ ფედერაცია შეწუხებულია იმით, რომ საფეხბურთო სკოლებში ძალიან ცოტა თეთრკანიანი ბავშვი დადის და ამ სიტუაციის "გამოსწორება" ხელოვნურად გადაწყვიტეს. "ფრანს პრესის" ჟურნალისტებმა ბუნებრივია ფედერაციის ხელმძღვანელობასთან დაკავშირება და ოფიციალური კომენტარის ჩაწერა მოისურვა. *"ლორან ბლანი აღნიშნულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს. მეტიც, მისი თქმით, მას მსგავსი პროექტის შესახებ არც კი სმენია რამე და რაც მთავარია, მსგავსი სულისკვეთება მთლიანად ეწინააღმდეგება მის ცხოვრებისეულ ფილოსოფიას. ლორანი ყოველგვარი რასობრივი დისკრიმინაციისა და სეგრეგაციის მოსისხლე მტერია და ბუნებრივია, არასოდეს დათანხმდებოდა მსგავს იდეას. მუსიე ბლანი აღშფოთებულია, რომ ის მსგავს სიბინძურეში დაადანაშაულეს. მან მხოლოდ ერთი რამ გააკეთა - ფეხბურთის ფედერაციის წინაშე წამოწია საკითხი ორმაგი მოქალაქეობის მქონე ფეხბურთელების შესახებ. ლაპარაკია ტენდენციაზე, როცა ფეხბურთელი, მაგალითად, 3 წელი გადის მზადებას ჩვენს სანაკრებო ბაზებზე, შემდეგ კი სათამაშოდ ისტორიულ სამშობლოს უბრუნდება. აღნიშნული თემის წამოწევას ჯანსაღი ფსიქიკის მქონე ადამიანში არ უნდა გაეჩინა საბაბი, დაეწერა სტატია მყვირალა სათაურით - "ნაკრებში ძალიან ბევრი შავკანიანი ფეხბურთელია". მსგავსი მიდგომა, უბრალოდ, წარმოუდგენელია,"* – განუცხადა საინფორმაციო სააგენტოს საფრანგეთის ნაკრების პრესსამსახურის ხელმძღვანელმა **ფილიპ ტურნონმა**.

სკანდალს გამოეხმაურა გაზეთი "ეკიპიც" - ის საფრანგეთის სპორტის მინისტრ **შანტალ ჟუანოს** დაუკავშირდა. მთავრობის წევრმა მოუწოდა ფეხბურთის ფედერაციას, დაუყოვნებელი რეაგირება მიახდინოს ასეთ მძიმე ბრალდებაზე და დაიწყოს შიდა გამოძიება, ხომ არ ჰქონდა ადგილი მსგავსი იდეების დანერგვის მცდელობას ფედერაციის მაღალჩინოსნების მხრიდან.

**ლევან ბიბილაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

საფრანგეთი. ლიგა 1. XXXIII ტურის წინ

# ლიგის ახალი რეალობა

| დღეს: | |
|---|---|
| ლანსი-ლორიანი | 21:00 |
| ლილი-არლი | 21:00 |
| რენი-ბორდო | 21:00 |
| სოშო-ნანსი | 21:00 |
| პსჟ-ვალანსიენი | 23:00 |
| **ხვალ:** | |
| მარსელი-ოსერი | 19:00 |
| მონპელიე-ბრესტი | 19:00 |
| ნიცა-კაენი | 19:00 |
| ტულუზი-ლიონი | 19:00 |
| სტ. ეტიენი-მონაკო | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 32 | 17 | 10 | 5 | 50-29 | 61 |
| 2. ლილი | 32 | 16 | 12 | 4 | 54-31 | 60 |
| 3. ლიონი | 32 | 15 | 11 | 6 | 55-31 | 56 |
| 4. პსჟ | 32 | 14 | 11 | 7 | 47-33 | 53 |
| 5. რენი | 32 | 14 | 9 | 9 | 33-26 | 51 |
| 6. ბორდო | 32 | 10 | 14 | 8 | 40-35 | 44 |
| 7. ლორიანი | 32 | 11 | 11 | 10 | 39-37 | 44 |
| 8. სტ-ეტიენი | 32 | 11 | 11 | 10 | 40-39 | 44 |
| 9. სოშო | 32 | 12 | 7 | 13 | 47-40 | 43 |
| 10. მონპელიე | 32 | 11 | 10 | 11 | 29-36 | 43 |
| 11. ბრესტი | 32 | 10 | 10 | 12 | 34-37 | 40 |
| 12. ვალანსიენი | 32 | 8 | 15 | 9 | 37-34 | 39 |
| 13. ტულუზი | 32 | 11 | 6 | 15 | 32-35 | 39 |
| 14. ნიცა | 32 | 9 | 12 | 11 | 27-37 | 39 |
| 15. მონაკო | 32 | 8 | 14 | 10 | 32-32 | 38 |
| 16. ოსერი | 32 | 7 | 17 | 8 | 36-37 | 38 |
| 17. ნანსი | 32 | 10 | 8 | 14 | 32-44 | 38 |
| 18. კაენი | 32 | 9 | 9 | 14 | 36-47 | 36 |
| 19. ლანსი | 32 | 6 | 12 | 14 | 30-48 | 30 |
| 20. არლი | 32 | 1 | 11 | 20 | 16-58 | 14 |

"ლილმა" ლიგა 1-ის სათავეში იმაზე მეტი დრო გაატარა (5 დეკემბრიდან, მე-16 ტურიდან მოყოლებული), ვიდრე ვინმე ამას წარმოიდგენდა. პროვინციული ქალაქის გუნდმა ლიდერობა "მარსელს" სულ რამდენიმე დღის წინ გადააბარა და ეს რომ მოხდა, **რუდი გარსიას** შეგირდებმა მხოლოდ თავის თავს უნდა დააბრალონ. სავარაუდოა, რომ "ლილი" შეწყვეტს სამთამაშიან მოუგებელ სერიას "არლთან" და ხასიათს ცოტა გამოისწორებს, მაგრამ არც ის დავივიწყოთ, თუ რა გმირობა ჩაიდინა "არლმა" 32-ე ტურში, როცა ნანსიში მთელი 80 წუთის განმავლობაში 10 კაცით გაუძლო მასპინძელთა შეტევებს. ჩვენ ამას 32-ე ტურის წინათქმაშიც ვწერდით, რომ ლორიანის "სტად დე მუსტუა" "ძალლებისთვის" დაწყევლილი ადგილი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო. ასეც მოხდა. 2010 წელს ამ გუნდმა ჯერ ჩემპიონთა ლიგის საგზური დაკარგა ამ არენაზე, ახლა კი ჩემპიონობა დააყენა ეჭვის ქვეშ. ჩრდილოელთა ოცნება, 1954 წლის შემდეგ პირველად მოიგონ ქვეყნის ჩემპიონატი, ჯერ კიდევ ცოცხალია და ვნახოთ, რა მოხდება დარჩენილ ტურებში.

ამასობაში სიჩქარეს კრეფს და ეტყობა, ბოლომდე გაჩერებას არ აპირებს **დიდიე დეშამის** "მარსელი". მაგრამ ეს გარემოება სულაც არ ანაღვლებს რუდი გარსიას. აი, რას აცხადებს ის: *"ველოდი, რომ "მარსელი" "ნიცასთან" მოიგებდა. თუმცა ჯერ დაკარგული არაფერია, რადგან 6 ტური ჯერ კიდევ სათამაშო გვაქვს. ერთქულიანი უპირატესობის აღმოსაფხვრელად ეს სრულიად საკმარისია. ყველამ ვიცით, რომ სიტუაცია შეიძლება თვალის დახამხამებაში შეიცვალოს. გპირდებით, ბრძოლაში ბოლომდე დავრჩებით. აუცილებელია, რომ კონცენტრაცია ჩვენს თამაშზე მოვახდინოთ და არ ვიფიქროთ იმაზე, რას იზამს ჩვენი მეტოქე. თუკი ჩვენს წილ გამარჯვებებს მოვიპოვებთ, სანერვიულო არაფერი იქნება. მთავარია, სეზონი სამეულში დავამთავროთ და ჩემპიონთა ლიგაში გავიდეთ. ვაცნობიერებთ, რომ "არლთან" ფავორიტები ვართ, მაგრამ შეხედეთ მათ თამაშს, ბოლო დროს გასვლით შეხვედრებში ქულების დაგროვება დაიწყეს, ასე რომ, მთლად ისეთი იოლი შეხვედრა არ გველის, ვიდრე შეიძლება ვინმემ წარმოიდგინოს".*

აღნიშნულ შეხვედრაზე ბოლოს იმას გეტყვით, რომ მასპინძლებს **იოან კაბაიესა** და **ლუდოვიკ ობრანიაკის** დახმარების იმედი შეიძლება ჰქონდეთ. საეჭვოა **მუსა სოვისა** და **ორელინ ჩეჯუს** ასპარეზობა. ერთადერთი, ვინც "ძაღლებს" ნამდვილად ვერ დაუდგება მხარში, **ფლორან ბალმონია**.

"მარსელი" ჩვეულ ადგილს დაუბრუნდა. ამაში ლომის წილი ძმებმა **ანდრე** და **ჟორდან აეუებმა** დაიდეს. ეს უკანასკნელი შეცვლაზე **პიერ-ანდრე ჟინიაკის** მაგივრად შევიდა და გოლის გარდა პასის გაკეთებაც მოასწრო. შეგახსენებთ, რომ ძმები მარსელური კლუბის ყოფილი თავდამსხმელის **აბედი პელეს** შვილები არიან. არადა, მოქმედ ჩემპიონებს ეშინოდათ, რომ **ლორიკ რემის** არყოფნაში თავდასხმაში შეიძლებოდა პრობლემა შექმნოდათ. თუმცა ასე არ მოხდა - დეშამის გუნდი მე-15 ტურის შემდეგ პირველად გალიდერდა. რამდენიმე კვირის წინ "ველოდრომის" მკვიდრები მხოლოდ ოცნებობდნენ, რომელიმე ტიტული მაინც მოეგოთ. საფრანგეთის ლიგის თასზე გამარჯვების შემდეგ მათ ჩემპიონობის მშვენიერი შანსიც მიეცათ.

შეიძლება ითქვას, რომ ამჟამინდელ "მარსელში" ანდრე აეუ ყველაზე მოწადინებულია. წინა სეზონში ხომ ის "არლში" ასპარეზობდა და შესაბამისად, ჩემპიონის ოქროს მედალი წილად არ ხვდომია. *"შარშან ზეიმის მონაწილე ვერ გავხდი და ამიტომ ძალიან მინდა ოქრო იმ გუნდთან ერთად მოვიგო, სადაც ჯერ კიდევ საფეხბურთო სკოლიდან ვირიცხები. დეშამმა ცენტრფორვარდად თამაში დამავალა. მთხოვა, მეცადა მხოლოდ ერთი შეხებით გამეგრძელებინა გუნდური კომბინაციები და მეძებნა თავისუფალი სივრცეები. დიახ, დიდიემ იცის, თუ რა სურს ფეხბურთელისგან და ყველაფერ ამას ის იოლად გაგებინებს. მოხარული ვარ, რომ თავის გამოჩენის საშუალება ჩემს ძმასაც მიეცა. ის ხომ სულ რაღაც 19 წლისაა. ჩვენ ორივეს შეგვიძლია უფროსი და გამოცდილი ფეხბურთელებისგან ბევრი რამე ვისწავლოთ"*. ახლა კი, მოდით, დეშამს მოვუსმინოთ: *"დედეს (ანდრეს) ძალიან ბევრი დადებითი თვისება აქვს, როგორც ფეხბურთელს. იმავეს თქმა შემიძლია ჟორდანზეც. მათ დიდი დახმარება გაგვიწიეს. პირველ ადგილზე გადავედით და ეს კარგია, მაგრამ მთავარია, კვირის თამაშის შემდეგ როგორ იქნება საქმე".*

"მარსელისთვის" "ოსერთან" სამი ქულის აღება გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს, რადგან შემდეგ ტურში გუნდს "ლიონთან" გასვლაზე უწევს დაპირისპირება, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მართალია, "ოსერს" გავარდნის საფრთხე ჯერ კიდევ ემუქრება, მაგრამ **ჟან ფერნანდესის** გუნდმა ბოლო ხანს აშკარად მოუმატა. ამაზე ისიც მოწმობს, რომ ხუთმატჩიანი წაუგებელი სერიისას მათ 9 ქულას მოუყარეს თავი – 2 მოგება, 3 ფრე. სტუმრებს ორი ლიდერი ჰყავთ დაშავებული – **დენის ოლიეჩი** და **ბენუა პედრეტი**. *"ჩვენ რომ ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელი გვყავდეს, დარწმუნებით გეტყოდით, რომ გასავარდნად საქმე არ დაგვიდგებოდა. თუმცა ეს ასე არ არის და სწორედ ამიტომ, ყოველ შეხვედრაში მოსაგებად ბრძოლაა აუცილებელი, რომ მძიმე ფსიქოლოგიური ტვირთი ჩამოვიხსნათ,"* – აცხადებს ფერნანდესი.

პსჟ-ს მწვრთნელი **ანტუან კომბუარე** დღეს საღამოს უკვე მესამედ შეეცდება (3:1 ლიგის თასის 1/4-ფინალში, 2:1 მე-17 ტურში) მისი ყოფილი გუნდის, "ვალანსიენის" დამარცხებას. ბუნებრივია, ეს არ არის შურისძიება – დედაქალაქელებს ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მესამე ადგილის ხელში ჩაგდება სურთ. ორ გრანდს შორის სხვაობა სულ რაღაც 3 ქულაა. ბუნებრივია, ყველას ესმის, რომ ეს მიზერული სხვაობაა და შესაბამისად, გარკვეული ჯერ კიდევ არაფერია. აი, რას ამბობს **მეტიუ ბოდმერი**: *"საბოლოო ჯამში ეს კარგი კვირა იყო, რადგან ორ ყველაზე მნიშვნელოვან შეხვედრაში გავიმარჯვეთ, ჯერ "ლიონი" დავამარცხეთ, შემდეგ კი "ანჟეს" მოვუგეთ საფრანგეთის თასის ნახევარფინალში. "ბრესტთან" კი ჩვენი მიზანი ოდნავ გავირთულეთ. "ვალანსიენთან" რთული დაპირისპირება გველის, რადგან ჩვენ კონკრეტული მიზნებისთვის ვიბრძვით და ჩვენზე ზეწოლა გაცილებით მეტია. სტუმარს კი წელს რეალურად უკვე აღარაფერი აწუხებს. ყველაფრის მიუხედავად, თუკი ჩემპიონთა ლიგაში თამაში გვინდა, უნდა მოვიგოთ".*

დედაქალაქელები ამჟამად მე-4 ადგილზე იმყოფებიან. მართალია, შინ აღებული ქულებით ისინი ლიგა 1-ში საუკეთესონი ნამდვილად არ არიან, მაგრამ ფაქტია, რომ "პარკ დე პრენსზე" იშვიათად თუ აგებენ - ბოლო მარცხი შინაურ კედლებში ბოლოს მე-10 ტურში იგემეს.



დიდიე დეშამი წელს მეორე საჩემპიონო ტიტულს უმიზნებს

**ლევან ბიბილაშვილი**

● რეალი

# შავი კატა მოუს და რონის შორის?



მწვრთნელი და შეგირდი

## მოურინიო და სკანდალი

მადრიდის „რეალის" ოფიციალური ვებსაიტი ყველა დაინტერესებულს სთავაზობს ვიდეოკრებულს, სადაც თვალნათლივ ჩანს, რომ **პეპესა და დანი ალვეშს** შორის „კლასიკოს" მე-60 წუთზე კონტაქტი არ ყოფილა - პორტუგალიელი მართლაც გაშლილი ფეხით მიდის მეტოქეზე, მაგრამ ბრაზილიელი ასწრებს გარიდებას. ყველას გვახსოვს, რომ ამ ეპიზოდს პეპეს გაძევება და „რეალის" მარცხი მოჰყვა. ცხადია, რომ ალვეშმა სასტიკად გააფორმა ეპიზოდი და მსაჯს წითელი ბარათი დასტყუა.

**ჟოზე მოურინიოს** მატჩისშემდგომმა გამონათქვამებმა კი დიდი რეზონანსი გამოიწვია, „ბარსელონამ" უეფაში უჩივლა „რეალს" და ახლა მოურინიო, შეიძლება, 3-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯონ. უეფას სადისციპლინო კომიტეტი ამ საქმეს 6 მაისს განიხილავს.

გუშინ ჟოზე მოურინიომ პრესკონფერენცია გამართა, რომელიც, წესით, „სარაგოსასთან" დღევანდელ მატჩს ეძღვნებოდა, თუმცა, ბუნებრივია, მთავარი თემა მაინც „კლასიკო" და სკანდალი იყო.

*„დღეს კიდევ უფრო დიდად ვარ მონდომებული „რეალის" მწვრთნელი ვიყო, რადგან უკვე კარგად ვიცი, რა გუნდს წარმოვადგენ - ჩვენი ფორმები თეთრია და თეთრი სიწმინდის ნიშანია. აღარც კი ვიცი, მეტი რაღა ვთქვა იმ თამაშზე, ათასობით სიტყვა უძლურია, გამოსახულებასთან შედარებით. ფოტოებმა და ვიდეოებმა კი მთელი პლანეტა შემოირბინეს. მე ვთქვი ის, რაც ვთქვი და მეტს ველარ დავამატებ. ჩემს სიტყვებს, რომ აკრიტიკებენ, შეხედონ სურათებს, ნახონ ვიდეოები. შეიტანონ ეჭვი მათ სისწორეში. მე არავისთვის არაფერი დამიბრალებია, დავსვი კითხვა - რატომ? ალბათ, ისე მოვკვდები ამ კითხვაზე პასუხს ვერ მივიღებ"*, - განაცხადა ჟოზემ.

## მოურინიო და რონალდო

ესპანეთის ტურის წინათქმაში უკვე ვწერდით, რომ ჟოზე მოურინიომ რონალდო „სარაგოსასთან" მატჩის განაცხადში არ შეიყვანა. არადა, პორტუგალიელი 29 გოლით მეორეა ბომბარდირთა დავაში და, ბუნებრივია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს **მესისთან** პაექრობას. რონალდო გამორჩეული ინდივიდუალისტია, როგორც მოედანზე, ისე მის გარეთ, ამიტომაც, მას თაყვანისმცემლებთან ერთად ბევრი მტერიც ჰყავს. ამბობენ, კლუბშიც ცოტა მეგობარი ჰყავსო. ჟოზე მოურინიოს კი მის გარეშე არ წარმოუდგენია „რეალი". ის ამას წინათ ამბობდა კიდეც, რომ **რონალდოს** გაყიდვის შემთხვევაში, მადრიდიდან წავიდოდა. მაგრამ ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩის შემდეგ რაღაც შეიცვალა.

ჯერ კიდევ თამაშისას, „განსაკუთრებულის" ფრთხილი ტაქტიკის გამო, რონალდოს მარტოდმარტოს უწევდა წინ ბრძოლა, ის ლამის მთელ მოედანზე დარბოდა ბურთისთვის, აღშფოთებული მოუწოდებდა თანაგუნდელებს, წინ წასულიყვნენ. თამაშის შემდეგ, როცა მას „რეალის" ტაქტიკაზე დაეკითხნენ, პირდაპირ განაცხადა: *„მე ის არ მომწონს, მაგრამ ფეხბურთელი ვარ და უნდა შევასრულო ის, რასაც მეტყვიან"*. ასეთი დონის კრიტიკაც კი მიუღებელი გამოდგა მოურინიოსთვის.

ყოველ შემთხვევაში, პრესკონფერენციაზე, როცა „განსაკუთრებული" სხვადასხვა ფეხბურთელის გამოფიტვაზე ლაპარაკობდა, რონალდოს შესახებ ეს განაცხადა: *„რონალდო იმიტომ დავტოვე განაცხადს მიღმა, რომ შეტევაში ისედაც ბევრი ვარიანტი გვაქვს - იგუაინი, ადებაიორი და ბენზემა"*, - საოცარია პირდაპირ, მოურინიოს არ სჭირდება ფეხბურთელი, რომელმაც სეზონში 42 გოლი გაიტანა.

სხვათა შორის, რონალდოსა და მოურინიოს შორის ადრე დიდი გაუგებრობა მოხდა - მაშინ, კრიშტიანო „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი იყო, ჟოზე კი - „ჩელსის" მწვრთნელი. მოურინიომ მას ერთხელ „მეტოქეების უპატივცემულობა" დააბრალა, განაცხადა, რომ რონის ალბათ ცუდი ბავშვობა ჰქონდა, რომ ის უწიგნურია. რაზეც ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მოურინიოს არ შეუძლია საკუთარი წარუმატებლობის აღიარება და სხვებზე თავდასხმით სურს სიტუაციიდან გამოსვლა. ნუთუ, ისევ მოიქუფრა ცა ორ გამორჩეულ პორტუგალიელს შორის?

## მოურინიო და მანჩესტერი

ჟოზე მოურინიომ და „რეალმა" მოულოდნელი მხარდამჭერი იპოვა... „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელთა სახით - **რიო ფერდინანდმა** და **მაიკლ ოუენმა** სოციალურ ქსელებში „ბარსას" ფეხბურთელების, განსაკუთრებით კი პედროს და დანი ალვეშის, საქციელი „კლასიკოზე" მკაცრად გააკრიტიკეს. *„პედრომ ძალიან გააფორმა ის ეპიზოდი, ეს ნამდვილი შაყირი იყო, ნეტა, რას ამბობს, როცა ამ ვიდეოს თავად უყურებს. ამიტომაც დაგვცინიან მორაგბეები ფეხბურთელებს. თუკი ოდესმე ნახავთ, რომ საკაცით გამიყვანენ და მერე ეგრევე შემოვირბენ მოედანზე, უფლებას გაძლევთ, ორივე გაშლილი ფეხი ჩამცხოთ". „დანი ალვეშმა ცუდი რამ ჩაიდინა, თუმცა „ბარსელონას" გულშემატკივრები ალბათ კმაყოფილები არიან შედეგით".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXII ტურის წინ

BUNDES LIGA

# მანუ მიუნხენში

## თუ ფინკემ ივაჟკაცა, დორტმუნდი შეიძლება ჩემპიონი გახდეს

**გუშინ**

**ვერდერი 0**
**ვოლფსბურგი 1**

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე - ფრიტცი, მერტეზაკერი, პასანენი, სილვესტრი - ფრინგსი (77. სტევანოვიჩი) - ვესლი (65. ჰანტი), ბარგფრედე (65. დ. შმიდტი) - მარინი - არნაუტოვიჩი, პისარო.

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ბენალიო - რიტერი, კიაერი, ა. ფრიდრიხი, მ. შეფერი - ჟოსუე - პოლაკი (52. მადლუნგი), სისერო (66. ჰასებე) - დიეგო (79. თუნჯაი) - გრაფიტე, მანჯუკიჩი.

**გოლი:** 0:1 რიტერი (22)

**გაფრთხილება:** მერტეზაკერი, ფრინგსი - ა. ფრიდრიხი, სისერო, მანჯუკიჩი, გრაფიტე

**მაყურებელი:** 40 000

**კაიზერსლაუტერნი 2**
**ზტ. პაული 0**

**კაიზერსლაუტერნი (4-4-2):** ტრაპი - კირხი, აბელი, როდნი, იესენი - ტიფერტი (86. ბუგერა), პეცოსი, დე ვიტი (76. მორავეკი), პლუშეკი - ლაკიჩი, ჰოფერი (70. ნემეცი).

**ზანკტ პაული (4-4-2):** პლიკე - ლეხნერი, თორანდტი, ეგერი, გიუნეში (72. ებერსი) - მ. კრუსე, დაუბე (72. ნაკი), მ. ლემანი, ბარტელსი - ასამოა, ტაკი (85. ბრუნსი).

**გოლები:** 1:0 ტიფერტი (28), 2:0 აბელი (68)

**გაფრთხილება:** თორანდტი

**მაყურებელი:** 49 780

**დღეს 17:30**

**ბორუსია (დ) VS ნიურნბერგი**

**ტრავმა:** ოვომოიელა, კაგავა, კელი, კრინგე, შაჰინი - ფრანტცი, ბუნიაკუ

**დღეს 17:30**

**ჰამბურგი VS ფრაიბურგი**

**ტრავმა:** მიკელი, კასტელენი, იანსენი, პეტრიჩი, ვან ნისტელროი - პუპლიჩი, ბასტიანსი, აბდესადკი, ფლუმი, ბეხმანი

**დღეს 17:30**

**მაინცი VS აინტრახტი**

**ტრავმა:** ჰ. მიულერი, შლიშკოვიჩი, შალაი - კრისი, ფრანცი, ცაველასი, ბაირამოვიჩი, კიტელი

**დღეს 17:30**

**ჰოფენჰაიმი VS შტუტგარტი**

**ტრავმა:** სალიჰოვიჩი, ვუკჩევიჩი, ვაისი, ობასი, თომალა - დეგენი, მოლინარო, აუდელი, გებჰარდტი

**დღეს 17:30**

**კიოლნი VS ლევერკუზენი**

**ტრავმა:** იანულისი, შორხი, ბუხტმანი, კლემენსი, პეჟკო, ტეროდე (ყველა კიოლნი)

**დღეს 17:30**

**ჰანოვერი VS ბორუსია (მ)**

**დისკვალიფიკაცია:** შტინდლი (ჰანოვერი)

**ტრავმა:** ანდრეასენი, კარლიტოსი - დანტე, ვისინგი, დე კამარგო

**დღეს 20:30**

**ბაიერნი VS შალკე**

**დისკვალიფიკაცია:** ლუის გუსტავო (ბაიერნი)

**ტრავმა:** ჰამით ალთინთოფი, პრანიჩი, ოლიჩი - ჰუგლანდი, ჰიოვედესი, პანდერი, ყენია, მორიტცი, გავრანოვიჩი, ჰუნტელაარი



ჩაიხუტებენ დორტმუნდელები ნანატრ სინს?




ამას წინანდელი ბაიერნი-შალკე (გერმანიის თასის ნახევარფინალი) - მაშინ მთელი „ალიანს არენა" მანუელ ნოიერის ტრანსფერის წინააღმდეგი იყო

**სამი** ტური და ხუთქულიანი სხვაობა დორტმუნდის „ბორუსიასა" და „ლევერკუზენს" შორის - ბუნდესლიგის საჩემპიონო ინტრიგა სულ ესაა. თუმცა, ზუსტად ასე იყო 2002 წელსაც, როცა 32-ე ტურის წინ, „ლევერკუზენი" ასევე ხუთი ქულით უსწრებდა „დორტმუნდს" და მაშინ დარჩენილ სამ ტურში სასწაული მოხდა: „ბორუსია" მაშინ უკანასკნელად გახდა გერმანიის ჩემპიონი.

იურგენ კლოპის გუნდს დღეს „ვერცხლის სინისკენ" მინიმუმ მორიგი ნაბიჯის გადადგმა შეუძლია, მაქსიმუმ კი, ჩემპიონობის ორი ტურით ადრე განაღდება. BVB-ს მეტოქე ევროპის ლიგის საგზურისთვის მებრძოლი „ნიურნბერგია", ხოლო „ლევერკუზენისა" კი „კიოლნი", რომლის მწვრთნელი დღეს ფოლკერ ფინკე იქნება. მანუელ ნოიერი და „შალკე" დღეს მიუნხენში ჩადიან, „ბაიერნის" კონკურენტი „ჰანოვერი" კი „გლადბახს" მასპინძლობს.

### დორტმუნდი: შამპანური ჩაციებულია, ყოველი შემთხვევისთვის...

იმისათვის, რომ დორტმუნდელებმა დღეს ჩემპიონობა გაინაღდონ, საჭიროა, „ლევერკუზენმა" კიოლნში ვერ მოიგოს, ხოლო „ბორუსიამ" კი „ნიურნბერგი" დაამარცხოს. თუმცა დორტმუნდელებს სიფრთხილე მართებთ, რადგან „ნიურნბერგი" ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის. რაც ყველაზე მთავარია, ფრანკები ჯერ კიდევ იბრძვიან ევროპის ლიგის საგზურისთვის, რადგან მეხუთეადგილოსან „მაინცს" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებიან. დიდი შანსია, რომ BVB-ს დღეს ლიდერ **ნური შაჰინთან** ერთად, რომლისთვისაც ეს სეზონი უკვე დამთავრებულია, მთავარი გოლეადორი **ლუკას ბარიოსი** და გარემარბი **კევინ გროსკროიტციც** დააკლდნენ, რაც კლოპისთვის სერიოზული პრობლემა იქნება. „ნიურნბერგიდან" **ჩანდლერის** თამაშია საეჭვო. სამაგიეროდ, მწყობრშია ფრანკების ახალგაზრდა ნახევარმცველი და მთავარი იმედი **ილქაი გიუნდოგანი,** რომელსაც ჩვენი გერმანელი კოლეგები ზაფხულში „დორტმუნდში" გადაბარგებას უწინასწარმეტყველებენ.

### მოდი, ვნახოთ ფინკე

„კიოლნისა" და „ლევერკუზენის" დაპირისპირება ძალიან საინტერესო და დრამატული, რაინის ისტორიული დერბია. დაახლოებით თვე-ნახევრის წინ კიოლნელები მშვიდად იყვნენ და მეორე ბუნდესლიგაში გავარდნის საფრთხე თითქოს აღარ ემუქრებოდათ, მაგრამ მერე ხუთი მატჩიდან ოთხი წააგეს და მე-14 ადგილამდე ჩამოქვეითდნენ, რის გამოც, კიოლნში გადარჩენისთვის ბრძოლა ისევ დღის წესრიგში დადგა. სწორედ ამიტომ დატოვა პოსტი ოთხშაბათს მწვრთნელმა **ფრანკ შეფერმა** და დარჩენილ სამ შეხვედრაში „თხების" დამრიგებელი გუნდის სპორტული დირექტორი, ყოველი თქვენგანისთვის კარგად ნაცნობი **ფოლკერ ფინკე** იქნება. 63 წლის ფოლკერი „კიოლნის" სპორტულ დირექტორად წლის დასაწყისში დაინიშნა, ახლა კი მთავარი მწვრთნელის ფუნქციებიც უნდა შეითავსოს და მისი მიზანი „თხების" გავარდნისგან გადარჩენაა, მაგრამ ფაქტია, რომ ფინკე და მისი ბიჭები „ლევერკუზენისგან" საჩუქრებს არ უნდა ელოდონ - რაც არ უნდა იყოს, **იუპ ჰაინკესის** გუნდს ჯერ კიდევ აქვს გაჩემპიონების თეორიული შანსი.

### შეუძლია, თუ არა დაუმის აინტრატხს მოგება?

„მაინცისა" და „აინტრახტის" დაპირისპირებაც დერბია - უფრო ზუსტად, რაინისა და მაინცის დერბი. „მაინცს" წინა ტურშიც უმძაფრესი შეხვედრა ჰქონდა - ევროპის ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „ნიურნბერგთან" მიღწეული ფრით, მაინცელებმა საუკეთესო ხუთეულში ადგილი შეინარჩუნეს. **თომას ტუხელის** გუნდს წაგების უფლება არც „აინტრახტთან" აქვს, არადა, ფრანკფურტელებს გამარჯვება ჰაერივით ესაჭიროებათ. თუმცა **კრისტოფ დაუმის** „აინტრახტი" მიმდინარე სეზონის მეორე წრის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გუნდია (მხოლოდ 8 ქულა მეორე წრეში) და დაუმის ხელში ფრანკფურტელებს ჯერ ერთი თამაშიც არ მოუგიათ. გასავარდნი ზონის სამეული (ვოლფსბურგი, გლადბახი, ზანკტ პაული) „აინტრახტს" ძალიან მიუახლოვდა და დღევანდელი მატჩის წინ დაუმიც უმძიმესი წნეხის ქვეშაა მოქცეული.

### შტუტგარტის ბოლო ნაბიჯი?

თამამად შეიძლება ითქვას, რომ **ბრუნო ლაბადიას** „შტუტგარტს" გადარჩენამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა გადასადგმელი. შვაბები დღეს „ჰოფენჰაიმს" სტუმრობენ - გუნდს, რომელსაც ფაქტობრივად აღარაფერი აინტერესებს და ზინსჰაიმში მოგების შემთხვევაში, „შტუტგარტი" ელიტაში დარჩენას გაინაღდებს. შვაბთა სპორტული დირექტორი **ფრედი ბობიჩი** ამბობს, „ჰოფესთან" აუცილებლად სამი ქულა უნდა მოვიპოვოთ, რაც იმის მაუწყებელი იქნება, რომ მიზანს მივაღწიეთ და მეორე ბუნდესლიგაში არ გავარდებითო.

### ვინ დაიმსახურებს „ოქროს ანანასს"?

ისეთ დუელებს, სადაც არანაირი ინტრიგა აღარ არის ხოლმე, გერმანიაში „მატჩებს ოქროს ანანასისთვის" უწოდებენ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ჰამბურგისა" და „ფრაიბურგის" დაპირისპირება სწორედ ასეთი თამაშია, რადგან HSV საუკეთესო ხუთეულს ექვსი ქულით ჩამორჩება, „ფრაი" კი რვა ქულით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ გუნდებს ევროპის ლიგის საგზურის მოპოვების მხოლოდ თეორიული შანსიღა აქვთ, რომელიც იმდენად მცირეა, რომ სალაპარაკოდ არც კი ღირდა. თუკი რომელიმეს მოგება უფრო მეტად უნდა, ეს უფრო „ჰამბურგზე" ითქმის.

### ჩემპიონთა ლიგა თუ გადარჩენა?

აი, „ჰანოვერისა" და მიონხენგლადბახის „ბორუსიას" დაპირისპირება კი, შესაძლოა, ძალიან დრამატული გამოვიდეს. „ჰანოვერი" მესამე ადგილზეა და ამ პოზიციის შენარჩუნებაზე ოცნებობს, რათა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს, „გლადბახი" კი გადარჩენისთვის იბრძვის. თანაც, **ლუსიენ ფავრის** ბიჭებმა წინა ტურში უდიდესი სენსაცია „გამოაცხვეს", ლიდერი „დორტმუნდი" დაამარცხეს და იმედის ნაპერწკალი ისევ გაუღვივდათ. ფაქტი ერთია: „გლადბახი" არ ნებდება და ბოლომდე იბრძვის.

### ნოიერი მიუნხენში ჩადის

ტურს „ბაიერნისა" და „შალკეს" პრინციპული დუელი დახურავს. გელზენკირხენულმა კლუბმა სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩი წააგო (0:2 მანჩესტერ იუნაიტედთან) და ნირწამხდარია, ბუნდესლიგაში კი, „შალკეს" ფაქტობრივად აღარაფერი აინტერესებს. თუმცა შალკელები „ბაიერნთან" პრინციპულ მატჩს მაინც ძალიან სერიოზულად მოეკიდებიან. უაღრესად საინტერესოა „ალიანს არენაზე" **მანუელ ნოიერის** გამოჩენა, რომლის ყიდვა ბავარიული გრანდის ბოსებს ძალიან უნდათ. აი, რეკორდმაისტერის ფანების საკმაოდ დიდი ნაწილი კი ნოიერის ტრანსფერის წინააღმდეგია. გეხსომებათ, ამას წინათ, გერმანიის თასის ნახევარფინალში, „ბაიერნისა" და „შალკეს" დაპირისპირების დროს, მიუნხენელმა ქომაგებმა მანუელის საწინააღმდეგო „ტრანსფარანტების კასკადი" გადმოფინეს. ვნახოთ, რა იქნება დღეს და შეიცვალეს თუ არა „ბაიერნის" ფანებმა აზრი მას მერე, რაც ნოიერმა „მანჩესტერთან" ბრწყინვალედ ითამაშა.

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 31 | 21 | 6 | 4 | 62:19 | 69 |
| 2. ლევერკუზენი | 31 | 19 | 7 | 5 | 62:41 | 64 |
| 3. ჰანოვერი | 31 | 18 | 3 | 10 | 45:41 | 57 |
| 4. ბაიერნი | 31 | 16 | 8 | 7 | 67:37 | 56 |
| 5. მაინცი | 31 | 15 | 4 | 12 | 44:37 | 49 |
| 6. ნიურნბერგი | 31 | 13 | 8 | 10 | 45:38 | 47 |
| 7. ჰამბურგი | 31 | 12 | 7 | 12 | 44:48 | 43 |
| 8. ფრაიბურგი | 31 | 12 | 5 | 14 | 39:47 | 41 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 31 | 10 | 10 | 11 | 46:44 | 40 |
| 10. შალკე | 31 | 11 | 7 | 13 | 35:35 | 40 |
| 11. კაიზერსლ. | 32 | 11 | 7 | 14 | 43:48 | 40 |
| 12. ვერდერი | 32 | 9 | 11 | 12 | 43:58 | 38 |
| 13. შტუტგარტი | 31 | 10 | 6 | 15 | 55:55 | 36 |
| 14. ვოლფსბურგი | 32 | 8 | 11 | 13 | 39:45 | 35 |
| 15. კიოლნი | 31 | 10 | 5 | 16 | 41:61 | 35 |
| 16. აინტრახტი | 31 | 9 | 7 | 15 | 30:41 | 34 |
| 17. ბორუსია (მ) | 31 | 8 | 5 | 18 | 44:64 | 29 |
| 18. ზანკტ პაული | 32 | 8 | 5 | 19 | 33:58 | 29 |

**ბომბარდირები:** 23 - გომესი (ბაიერნი); 20 - სისე (ფრაიბურგი); 16 - გეკასი (აინტრახტი); 14 - ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი), ნოვაკოვიჩი (კიოლნი).

● ბაიერნი



ბასტიან შვაინშტაიგერი

# შვაინშტაიგერი აბობოქრდა

## მიუნხენში ძალიან ნერვიულობენ

**წესით,** ამ დღეებში მიუნხენის „ბაიერნი" ერთ მუშტად უნდა იყოს შეკრული და მესამე, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის დაკავებისთვის მაქსიმალური კონცენტრაციით უნდა იბრძოდეს. გუნდურობის და კონცენტრირებულობის კი რეკორდმაისტერს არაფერი ეტყობა - მიუნხენში ნერვები ყველას დაწყვეტაზე აქვს, რაც ხუთშაბათს გამართულმა პრესკონფერენციამ დაადასტურა.

ამ კვირაში გერმანიაში ვისაც არ დაეზარა, ყველამ „ბაიერნი" გააკრიტიკა, ლანძღვის მთავარი ობიექტი კი **ბასტიან შვაინშტაიგერი** გახლდათ, რომელსაც რეკორდმაისტერის ლიდერობა მოეთხოვება. სხვადასხვა ექსპერტებისა და მიმომხილველების აზრით, მას მერე, რაც მიუნხენურმა გრანდმა **მარკ ვან ბომელი** „მილანს" მიჰყიდა (ტრანსფერი იანვარში განხორციელდა), „ბაიერნს" აღარ ჰყავს ლიდერი, რომელიც პასუხისმგებლობას თავის თავზე აიღებს და გუნდს შემოუძახებს. ამ მოვალეობის შესრულება პირველ რიგში შვაინშტაიგერს ევალება, ის კი ლიდერის ფუნქციების შესრულებას თავს ვერართმევსო, იწერებოდა გერმანულ პრესაში. რაც ყველაზე საინტერესოა, ასეთი მოსაზრებები მარტო ექსპერტებს არ გამოუთქვამთ - ეს ყველაფერი „ბაიერნის" ჰოლანდიელმა გარემარბმა **არიენ რობენმაც** თქვა...

პრესკონფერენციაზე ხმა პირველმა კაპიტანმა **ფილიპ ლამმა** აიმაღლა, რომელმაც თქვა: *„ცხადია, კრიტიკა მეც მეხებოდა. ყველაზე მეტად ეს რობენისგან მეწყინა. არ ვიცი, რა იყო მისი მოტივაცია და ამ დღეებში არიენს აუცილებლად დაველაპარაკები."*

შვაინშტაიგერმა კი უფრო მძაფრად ილაპარაკა. *„მე სულაც არ ვარ სუსტი შეფი, ან სუსტი ლიდერი, - ფაქტობრივად ყვიროდა შვაინი, - საკმარისად დიდი ხანია, „ბაიერნში" ვთამაშობ და ახალბედა აღარ ვარ. გასახდელში ყოველთვის ყველას ესმის, რასაც ვამბობ. აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ გუნდში ძალიან კარგი ატმოსფეროა და ვილაც-ვილაცები ტყუილად ფიქრობენ, რომ შიდა დაპირისპირებებს აქვს ადგილი. „შალკესთან" შეხვედრის პირველივე წუთიდან უნდა გამოჩნდეს, რომ ამ მატჩში მხოლოდ მოგება გვინდა. ეს თამაში უმნიშვნელოვანესია!"*

რეკორდმაისტერს სამი თამაში დარჩა იმისათვის, რომ „ჰანოვერს" გაასწროს და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს, სამეულს მიღმა დარჩენა კი ბავარიელებისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება.

*„მდგომარეობა საკმაოდ კრიტიკულია, - ასკვნის ლამი „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში, - გაცილებით კრიტიკული, ვიდრე თუნდაც ერთი კვირის წინ, როცა მესამე ადგილზე ვიყავით. ევროპის ლიგის გაგონება აქ არავის გვსიამოვნებს. სამწუხაროდ, აღარც ისეთი თავდაჯერებულები ვართ, როგორც უნდა ვიყოთ. ეს ლოგიკურიცაა, რადგან წნეხის ქვეშ ვართ მოქცეულები."*

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXXV ტურის წინ

# მილანი შავ-წითლად შეიღება

## თუ ინტერს ფეხი დაუცდა...

**დღეს, 20:00**
**ჩეზენა VS ინტერი**
**დისკვალიფიკაცია:** კოლუჩი-ჟულიო სეზარი.
**ტრავმა:** ფატიჩი, ფელიპე, ბოგდანი - კორდობა, ტიაგო მოტა, სტანკოვიჩი.

**დღეს, 22:45**
**ნაპოლი VS ჯენოა**
**დისკვალიფიკაცია:** მილანეტო, დაინელი, პალასიოო (ჯენოა).
**ტრავმა:** ველოზო, როსი (ჯენოა).

**ხვალ, 17:00**
**მილანი VS ბოლონია**
**დისკვალიფიკაცია:** იბრაჰიმოვიჩი, ვან ბომელი (მილ).
**ტრავმა:** ინძაგი, იანკულოვსკი, პატო, გატუზო - პერესი, ბუშე, მონტელონგო, გარიჩი, ესპოზიტო.

**ხვალ, 17:00**
**კატანია VS კალიარი**
**ტრავმა:** შაკა, ბელუში, ლიამა - ნენე, პიზანო.

**ხვალ, 17:00**
**კიევო VS ლეჩე**
**ტრავმა:** ლუჩანო - გროსმიულერი, ბერტოლაჩი, ჯულიატო, ოფერე, სინი.

**ხვალ, 17:00**
**ფიორენტინა VS უდინეზე**
**დისკვალიფიკაცია:** არმერო, დომიცი, ინლერი (უდინ).
**ტრავმა:** იოვეტიჩი, სანტანა - ბასტა, ბენეტია, სანჩესი.

**ხვალ, 17:00**
**პარმა VS პალერმო**
**დისკვალიფიკაცია:** ანჯელო, ძაკარდო (პარმა).
**ტრავმა:** პალადინო, მარკესი - მიკოლი.

**ხვალ, 17:00**
**სამპდორია VS ბრეშა**
**დისკვალიფიკაცია:** პოლი, ვოლტა (სამპდორია).
**ტრავმა:** მარტინესი, პადალინო, სემიოლი - დალამანო, კორდოვა, სერენი, ძანეტი, აკარდი.

**ხვალ, 22:45**
**ბარი VS რომა**
**დისკვალიფიკაცია:** რუდოლფი (ბარი).
**ტრავმა:** კუტუზოვი, ოკაკა, ს. მაზიელო,. ბარეტო, კასტილო - მექსე, პიზარო.

**ზეგ, 22:45**
**ლაციო VS იუვენტუსი**
**დისკვალიფიკაცია:** მაური (ლაც).
**ტრავმა:** დიაკიტე, რადუ, სტენდარდო, ფოჯა - მარტინესი, რინაუდო, სისოკო, კვალიარელა, იაკვინტა.

მილანის შავ-წითელი ნაწილი ჩემპიონობის აღსანიშნავად ემზადება და ეს მთელ ქალაქში იგრძნობა - „როსონერის" გულშემატკივრებს სახლების ფანჯრებიდან საყვარელი გუნდის დროშები აქვთ გადმოკიდული, „ბოლონიასთან" გასამართი პაექრობის ბილეთები კი პრაქტიკულად სრულად გაიყიდა. „მილანისტებს" სჯერათ, რომ უკვე ამ ტურში მოიპოვებენ სკუდეტოს და საკუთარ არენაზე იზეიმებენ ამ მართლაც მნიშვნელოვან მოვლენას. იმისთვის, რომ **მასიმილიანო ალეგრის** გუნდმა ნაადრევად მოიპოვოს ჩემპიონის ტიტული, ორი რამეა საჭირო - ერთი, „მილანმა" მოუგოს „ბოლონიას" და მეორე, „ინტერმა" დაკარგოს ქულები „ჩეზენასთან". მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარება ფანტასტიკის სფეროს ნამდვილად არ მიეკუთვნება, სავსებით რეალურიც არის, მაგრამ ალეგრის სხვა პოზიცია აქვს:

*„ტელევიზია თუ პრესა იმაზე ლაპარაკობს, რომ ამ უქმეებზე „მილანი" ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს, რაც ძალიან არ მსიამოვნებს. არა, ჩემპიონობის საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს, მაგრამ წინასწარ ასეთი დასკვნების გაკეთება არასწორი მგონია. ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ფეხბურთელებზე, რომლებსაც მუდმივად იმას ვუმეორებ, რომ სკუდეტო ჯერ არ მოგვიგია და ბოლომდე ბრძოლაა საჭირო. დიდი იმედი მაქვს, შეგირდები კონკრეტულ შეხვედრაზე მოახდენენ კონცენტრაციას და იმაზე ნაკლებად იფიქრებენ, გახდებიან თუ არა ამავე კვირას ჩემპიონები. მით უმეტეს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ „ინტერმა" „ჩეზენასთან" წაიფორხილოს - ლეონარდოს გუნდი უკვე გამოვიდა ჩემპიონთა ლიგაში მიღებული შოკისგან და ასეთ მნიშვნელოვან მომენტში, წესით, ფეხი არ უნდა დაუცდეს".*

 აი ასეთი, ბევრისთვის მოულოდნელი განცხადება გააკეთა ალეგრიმ და თითქოს ოდნავ ჩააქრო ის საჩემპიონო ეიფორია, რომელიც „მილანის" ბანაკში შეინიშნება. მწვრთნელს ალბათ ასეც მოეთხოვება, რა დროს ეიფორია და ზეიმია, როდესაც სკუდეტო ჯერ კიდევ მოსაგებია. ალეგრის ტრავმირებული **ალეშანდრე პატოსა** და დისკვალიფიცირებული **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა - შესაბამისად, შეტევის წინა ხაზზე **ანტონიო კასანოსა** და **რობინიოს** ვიხილავთ. ძირითადში უნდა მოხვდეს **ანდრეა პირლო**, რომელიც მართალია არ არის ოპტიმალურ ფორმაში, მაგრამ გუნდისთვის მაინც დიდი ძალაა. ტრავმა მოიშუშა **ალესანდრო ნესტამ** და დაცვის ცენტრში **ტიაგო სილვას** შეუწყვილდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მილანის" ნაადრევად გაჩემპიონება „ინტერის" წაფორხილების შემთხვევაშია შესაძლებელი - თუმცა, **ლეონარდოს** ამის გაგონებაც კი არ სურს: *„აქამდეც არაერთხელ ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ „ინტერი" არასოდეს ნებდება. ჩვენი მიზანი კვლავაც სკუდეტოს მოპოვებაა და იქამდე არ შევურიგდებით ბედს, სანამ ყველაფერი საბოლოოდ არ გადაწყდება. ამიტომ, „ჩეზენასთან" მხოლოდ სამი ქულისთვის ვითამაშებთ და დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებთ კიდეც. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ მეტოქეს არ ვცემ პატივს, უბრალოდ, ფეხბურთელთა მობილიზება და საბრძოლო განწყობა იმედით მავსებს".*

„გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, ლეონარდო **სამუელ ეტოოსა** და **ჯამპაოლო პაცინის** შემტევ ტანდემზე გააკეთებს აქცენტს. ბოლო დროს პაცინი ველარ ბრწყინავს და ამად არის, რომ ისე აღარ ენდობა მწვრთნელი, მაგრამ „ჩეზენასთან" სწორედ ის უნდა ვიხილოთ კამერუნელის მხარდამხარ. უკნიდან **ვესლი სნეიდერი** გაირჯება, რომელიც გასულ კვირას „ლაციოსთან" მატჩის ერთ-ერთი მთავარი პირი, შეიძლება ითქვას, გმირიც კი გახლდათ. ვნახოთ, ამ მატჩს მთელი საფეხბურთო იტალია და არა მარტო, მიადევნებს თვალს...

ერთი შეხვედრა ორშაბათისთვის არის გადატანილი და თანაც, ძალიან საინტერესო - „ლაციო" „იუვენტუსს" უმასპინძლებს და შეეცდება კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგას ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად. მიუხედავად იმისა, რომ „ბიანკონერი" კრიზისშია, ტურინელებთან აუცილებელი სამი ქულის დაგეგმვა არაფრით არ შეიძლება - წესით, ოლიმპიკოზე დიდი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს და ვნახოთ, ვის დარჩება გამარჯვება. სატურნირო ცხრილს თუ გადავხედავთ, გაცილებით მოტივირებული „ლაციოა", მაგრამ მეორე მხრივ, აღარც „იუვენტუსს" აქვს უკან დასახევი. რომშიც რომ წააგონ პიემონტელებმა, ტურინში ჩასვლა ძალიან გაუჭირდებათ, რადგან „კატანიასთან" დაკარგული ქულების შემდეგ, ფეხბურთელებს ტიფოზებმა ობსტრუქცია მოუწყვეს.

სავარაუდო შემადგენლობები ტრადიციულად გამოიყურება და დიდ ხანს აღარ შევჩერდებით - მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ **ლუიჯი დელ ნერი** შეტევაში ორ ალესანდროს, **მატრის** და **დელ პიეროს** გაამწესებს - რაც შეეხება **ედუარდო რეიას**, წინა ხაზზე **სერჯო ფლოკარის** დააყენებს, ვისაც უკნიდან შემდეგ სამეული დაეხმარება: **მაურო სარატე, ჯუზეპე სკული, ერნანესი.**

დღეს გამართავს თავის შეხვედრას „ნაპოლი" და საკუთარ მოედანზე „ჯენოას" მიიღებს. ნეაპოლელები უხასიათოდ არიან, რადგან ბოლო ორ შეხვედრაში მარცხი იწვნიეს და სკუდეტოსთვის მებრძოლთ ისღა დარჩენიათ, რომ სამეულში შეინარჩუნონ ადგილი. კლუბის პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი** ფეხბურთელებს კონცენტრაციისკენ მოუწებს: *„უნდა დავივიწყოთ განვლილი 180 წუთი და მომდევნო პაექრობაზე სრული მობილიზება მოვახდინოთ. მთავარია, ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვოთ და სეზონი წარმატებულად ჩაითვლება. ამიტომ, მინდა, რომ ფეხბურთელებმა იპოვონ ძალები საკუთარ თავში და დარჩენილ შეხვედრებს სერიოზულად მოეკიდონ. არა მგონია, ამის თქმა საჭირო იყოს, მაგრამ ჩემი ვალია, მოთამაშეები გავამხნევო".*

ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართება გენუაში, სადაც „სამპდორია" „ბრეშას" მიიღებს. თუ „მარასის" ბინადრებმა დაამარცხეს მეტოქე, დიდ ნაბიჯს გადადგამენ ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად და ამავდროულად, „ბრეშას" უკრავენ თავს სერია B-ში. მოკლედ, იქ ისეთი ამბავი იქნება, დედა შვილს ვერ აიყვანს ხელში. აუცილებლად უნდა ვთქვათ „უდინეზეს" შესახებ, რომელსაც ბოლო დროს არასტაბილურობა დასჩემდა. **ფრანჩესკო გვიდოლინის** შეგირდები რთული ამოცანის წინაშე დგანან: „ფიორენტინა" უნდა დაამარცხონ გასვლაზე - თუმცა, ბოლო პერიოდში, უდინელებს ბევრად უკეთესად სწორედ რთული ამოცანების შესრულება გამოსდით.


მასიმილიანო ალეგრი ფრთხილობს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 34 | 22 | 8 | 4 | 60-23 | 74 |
| 2. ინტერი | 34 | 20 | 6 | 8 | 60-38 | 66 |
| 3. ნაპოლი | 34 | 20 | 5 | 9 | 54-34 | 65 |
| 4. ლაციო | 34 | 18 | 6 | 10 | 46-32 | 60 |
| 5. უდინეზე | 34 | 18 | 5 | 11 | 59-37 | 59 |
| 6. რომა | 34 | 16 | 8 | 10 | 52-47 | 56 |
| 7. იუვენტუსი | 34 | 14 | 11 | 9 | 52-42 | 53 |
| 8. პალერმო | 34 | 15 | 5 | 14 | 52-55 | 50 |
| 9. ფიორენტინა | 34 | 11 | 13 | 10 | 40-36 | 46 |
| 10. ჯენოა | 34 | 12 | 9 | 13 | 38-39 | 45 |
| 11. კალიარი | 34 | 12 | 8 | 14 | 42-44 | 44 |
| 12. ბოლონია | 34 | 11 | 10 | 13 | 34-46 | 40 |
| 13. კიევო | 34 | 9 | 12 | 13 | 32-35 | 39 |
| 14. პარმა | 34 | 9 | 11 | 14 | 34-45 | 38 |
| 15. ჩეზენა | 34 | 9 | 10 | 15 | 32-45 | 37 |
| 16. კატანია | 34 | 9 | 10 | 15 | 33-47 | 37 |
| 17. სამპდორია | 34 | 8 | 11 | 15 | 27-39 | 35 |
| 18. ლეჩე | 34 | 9 | 8 | 17 | 40-60 | 35 |
| 19. ბრეშა | 34 | 7 | 9 | 18 | 28-44 | 30 |
| 20. ბარი | 34 | 4 | 9 | 21 | 20-49 | 21 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს სამი ქულა*

**ბომბარდირები:** 26 – დი ნატალე (უდინეზე), კავანი (ნაპოლი); 20 - ეტოო (ინტერი); 19 - დი ვაიო (ბოლონია); 18 - მატრი (იუვენტუსი); 14 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი), პატო (მილანი).

**ლაშა ნიკლაური**

ინციდენტი


ენდი თაუნსენდი მსაჯის ამპლუაში

# ენდიმ მადრიდში შიში ჭამა

## როგორ აერიათ ირლანდიელი ვოლფგანგ შტარკში

**ენდი თაუნსენდი** ყოფილი ფეხბურთელი გახლავთ. მას ირლანდიის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ორ ჩემპიონატში აქვს მონაწილეობა მიღებული. თამაშობდა რვა სხვადასხვა კლუბში, მათ რიცხვში „ჩელსიში", „ასტონ ვილასა" და „მიდლსბროში". დღეს თაუნსენდი 47 წლისაა და ტელე და საგაზეთო ჟურნალისტად მუშაობს. ეს ყველაფერი კი იმიტომ მოგახსენეთ, რომ მიმომხილველს ოთხშაბათს, მადრიდში, შემაშფოთებელი ამბავი გადახდა. ის ესპანეთის დედაქალაქში ტელეკომპანია ITV-ს ბოსებთან ერთად იყო, როდესაც ხულიგნები დაესხნენ თავს. მიზეზი: თაუნსენდი „რეალ"-„ბარსელონას" ნახევარფინალური შეხვედრის გერმანელ მსაჯ **ვოლფგანგ შტარკში** აერიათ. გადარჩენილმა ირლანდიელმა ყველაფერი, რასაკვირველია, „რეალის" პორტუგალიელ მწვრთნელ **ჟოზე მოურინიოს** დააბრალა. თავისი საქციელით სწორედ მოურინიომ წააქეზა მადრიდელი ცხელთავიანები არბიტრის წინააღმდეგ. თაუნსენდმა თქვა:

*„რესტორანში შევედი და ის-ის იყო სადილობას შევუდექი, რომ შევამჩნიე, ხალხი მიყურებდა. ზოგმა ფოტოების გადაღება დაიწყო, ერთი კი მოვიდა, მაგიდაზე მარიხუანას ფოთოლი დამიდო და დამცინავი გამომეტყველებით მითხრა: ეს ჩვენგან! მაგიდასთან ათნი ვისხედით და ვერაფრით მივხვდით, რა ხდებოდა. შემდეგ, რომ ვისადილე და წამოვდექი რესტორანში ღრიანცელი ატყდა: „ბუუ" დამიძახეს. ტუალეტში გასულს გამომყვნენ. ასეთ დღეში ჩავარდნილს ოფიციანტი დამეხმარა, მაგიდამდე მიმაცილა. ისევ ვერაფერს ვხვდებოდი.*

*მერე, ვიღაცები მოდიოდნენ და ესპანურად აგრესული ტონით მელაპარაკებოდნენ. რესტორნის მეორე ბოლოდან ვიღაც კაცმა ყვირილი დამიწყო. ნელ-ნელა ვითარება იძაბებოდა და შეიძლებოდა კონტროლს აღარ დაქვემდებარებოდა. ამ დროს მკერდზე დავიხედე — უეფას აკრედიტაცია ისევ ჩამოკიდებული მქონდა და მივხვდი, რომ ამ ხალხს მსაჯი ვეგონე. როგორც კი ამ ადამიანთა ქცევის საიდუმლო ამოვხსენი, წამოვდექი და ვთქვი, რომ ინგლისის ტელევიზიის წარმომადგენელი ვიყავი".*

მომხდარმა ITV-ს თანამშრომლებს შორის დიდი ხალისი გამოიწვია, მაგრამ თავად თაუნსენდი სხვა აზრისა დარჩა:

*„ჩემმა კოლეგამ ედრიან ჩაილსმა ვოლფი დამიძახა და ძალიან იხალისა, მაგრამ ამ ყველაფერს მეტისმეტად სახიფათო მხარეც აქვს. ხალხი ისე იყო აღელვებული, რომ მსაჯის სისხლს დალევდა. მათთვის „რეალის" დამარცხებაში დამნაშავე ერთადერთი კაცი, არბიტრი იყო და ეს იდეა მოურინიომ მიაწოდა. მე უშუალო მოწმე გავხდი იმისა, თუ როგორ ზემოქმედებს მოურინიო ადამიანებზე და არ მინდა ეს კაცი ინგლისში დაბრუნდეს. თამაშის შემდეგ, სანამ სტადიონიდან ჯერ კიდევ მივყავდა რეპორტაჟი, ვხედავდი ორ კაცს, რომლებიც ხელჩართულნი ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს".*

**ილია ბაბუნაშვილი**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXV ტურის წინ

# მანჩესტერი: ლიგამდე პრემიერლიგა

**დღეს, 18:00**
**ბლექბერნი VS ბოლტონი**
**დისკვალიფიკაცია:** გულონი (ბლექბ)
**ტრავმა:** ნილსენი, გრელა, ენდრიუსი - შ. დევისი, ჰოლდენი, რიკეტსი

**დღეს, 18:00**
**ბლეკპული VS სტოკი**
**დისკვალიფიკაცია:** პერტონი (სტოკი)
**ტრავმა:** კერნი, ბეშემი - ფულერი, ფეიე, ჰიგინბოტემი, სიდიბე

**დღეს, 18:00**
**სანდერლენდი VS ფულჰემი**
**ტრავმა:** ასამოა, უილბეკი, ბერდსლი, რიჩარდსონი, გორდონი, მენსა, კემპბელი, ბრამბლი - კამარა, დაფი, სენდეროსი

**დღეს, 18:00**
**ვესტ ბრომვიჩი VS ასტონვილა**
**დისკვალიფიკაცია:** დივაინი (ასტ)
**ტრავმა:** იბანიესი, დორანსი (ვესტ)

**დღეს, 18:00**
**უიგანი VS ევერტონი**
**ტრავმა:** ჰეიტინგა, ბაქსტერი, საა, არტეტა, ფელაინი (ევერტ)

**დღეს, 20:30**
**ჩელსი VS ტოტენჰემი**
**ტრავმა:** ალექსი, რამირესი, ესიენი - ჰატონი, ვუდგეიტი, ლ. კინგი

**ხვალ, 15:00**
**ბირმინგემი VS ვულვერჰემპტ.**
**ტრავმა:** მარტინსი, ტეილორი, ველისი, მაკფადენი, ს. დანი - დოილი, ედუარდსი, დეილი

**ხვალ, 15:30**
**ლივერპული VS ნიუკასლი**
**ტრავმა:** ქეროლი, აგერი, გ. ჯონსონი, ჯერარდი - ჰარპერი, კადარი, ბესტი, გოსლინგი, სმიტი, ბენ არფა

**ხვალ, 17:05**
**არსენალი VS მანჩესტერ იუნ.**
**დისკვალიფიკაცია:** მორისონი, სქოულზი (მანჩ.)
**ტრავმა:** ფაბიანსკი, ვერმაელენი - ლინდეგაარდი, ბერბატოვი, ფლეტჩერი, ჰარგრივზი

**ხვალ, 19:10**
**მანჩესტერ სიტი VS ვესტ ჰემი**
**ტრავმა:** რიჩარდსი, ტევესი, ბოატენგი, გივენი - აპსონი, პარკერი, ო'ნილი, სტანისლასი, კურუჯი

რასაკვირველია, პრემიერლიგის 35-ე ტურის მთავარი შეხვედრა „არსენალი“ - „მანჩესტერ იუნაიტედია“, მაგრამ ის ხვალ გაიმართება, მანამდე კი „იუნაიტედის“ მდევარი და ინგლისის ჯერ კიდევ ჩემპიონი „ჩელსი“ „ტოტენჰემს“ მასპინძლობს — „ტოტენჰემი“, მოგეხსენებათ, ოთხეულში მოხვედრისთვის იბრძვის და ამიტომ ეს მატჩიც უდიდესი მნიშვნელობისაა. სეზონის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე ორივე ლონდონურ გუნდს ჰაერივით სჭირდება გამარჯვება.

„ლურჯები“ „იუნაიტედს“ 6 ქულით ჩამორჩებიან და იმისათვის, რომ ტიტული შეინარჩუნონ, ოთხივე დარჩენილი შეხვედრა უნდა მოიგონ, მათ რიცხვში დღევანდელი და შემდეგი, უშუალო კონკურენტის წინააღმდეგ. თუმცა, ადვილი მისახვედრია, რომ **კარლო ანჩელოტის** გუნდისთვის ეს მაინც არ იქნება არაფრის გარანტია — მათ რომ გაუმართლოს, „იუნაიტედმა“ უნდა დაკარგოს ქულები.

მეორე მხრივ კი დასავლეთლონდონელები ჩინებულ ფორმაში არიან, ზედიზედ ოთხი თამაშია იგებენ და ბოლო ტურში „ვესტ ჰემთან“ კიდევ ერთი ნავსიც გატეხეს — იანვარში 50 მილიონად ნაყიდმა **ფერნანდო ტორესმა** როგორც იქნა გაიტანა. თუმცა, „ჩაქუჩებთან“ გამარჯვებას თავისი უარყოფითი მხარეც ჰქონდა — დაშავდა **მიკაელ ესიენი**, თუმცა მან შეიძლება „ტოტენჰემთან“ მაინც ითამაშოს, რადგან ტრავმა სერიოზული არ გამოდგა. **ალექსი** და **რამირესი** კი ვერ ითამაშებენ.

„ვესტ ჰემთან“ ერთ-ერთი გოლის ავტორი, ფრანგი **ფლორან მალუდა** ამბობს: *„სეზონის ბოლო წამამდე ჩვენი ამოცანა ჩემპიონობა იქნება. დღეს საუკეთესი ფორმაში ვბრუნდებით, ამიტომ მეტოქეები დიდი ზეწოლის ქვეშ უნდა მოვაქციოთ და თამაში თამაშზე მოვიგოთ. რასაკვირველია, ისიც კარგად გვესმის, რომ ტიტულის მოგება ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ჩვენ ყველა შეხვედრაში გამარჯვება უნდა ვცადოთ და ბოლოს ვნახავთ რა გამოვა“.*

ანჩელოტიმ თქვა: *„პირველ მარტს, როდესაც „სტემფორდ ბრიჯზე“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ვმასპინძლობდით და სტუმრებმა გოლი გაგვიტანეს, ჩვენ 18-ქულიანი ჩამორჩენის საშიშროების წინაშე ვიდექით. დღეს თუ „ტოტენჰემს“ დავამარცხებთ, ლიდერთან სამად სამი ქულა დაგვაშორებს. ეს, გარდა ყველაფრისა, იმიტომაც იქნება ძალიან კარგი, რომ „იუნაიტედი“ ხვალ, „არსენალის“ წინააღმდეგ, ფსიქოლოგიური ზეწოლით გავა მოედანზე. ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა ტიტულისთვის ბრძოლა ბოლო წამამდე გაგრძელდეს“.*

ჰარი რედნაპის „სფურზი“ კი ბოლო ტურებში „ჩელსის“ მსგავსად ვერ ყოჩაღობს. თუნდაც ბოლო შეხვედრა გავიხსენოთ - „ვესტ ბრომვიჩთან“ 2:2-ის თამაში არაფრით შეიძლებოდა. არადა, „ტოტენჰემმა“ ჩემპიონთა ლიგას გემო გაუგო. მართალია, მეოთხედფინალში „რეალმა“ დაამარცხა, მაგრამ „დეზები“ ამ სიმაღლეებს ისტორიაში პირველად შესწვდნენ, რაც უდიდესი მიღწევა იყო. სწორედ ამიტომ განიცდიან „უაით ჰართ ლეინზე“ ოთხეულისთვის ბრძოლის ამბებს გაცილებით მწვავედ, ვიდრე ადრე განიცდიდნენ.

და მაინც, სტატისტიკა ლონდონელთათვის უსიამოვნო ფაქტს ამბობს: „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“, ყველა შეჯიბრებაში ერთად, ბოლო 9 შეხვედრაში მხოლოდ ერთი მოიგო.

ახლა კი, თქვენი ნებართვით, სხვა შეხვედრებს გამოვტოვებთ და ტურის მთავარ დაპირისპირებაზე ვიტყვით ორ სიტყვას. თუმცა... თუ „არსენალი“ ამ პრინციპულ შეხვედრასაც თავისებურად ჩააფლავებს, მაშინ სულ ზედმეტი გამოდგება ჩვენი მოლოდინი და „წერა-კითხვა“. და მაინც, კვირას, საქართველოს დროით 17 საათსა და ხუთ წუთზე, „ემირეიტ სთედიუმზე“ დიდი მატჩია — შეხვედრა, რომელიც ორიოდ ტურის წინ საჩემპიონო ჩანდა. დღეს აშკარაა, რომ „მეთოფეებს“ ტიტულის მოპოვების არანაირი შანსი არ აქვთ და საქმე მხოლოდ თავმოყვარეობას ეხება. და კიდევ, თუ ჩრდილოლონდონელები გაიმარჯვებენ, მაშინ „ჩელსის“ გაუკეთებენ საქმეს... მაგრამ, ამისათვის „არსენალმა“ უნდა გაიმარჯვოს, რაც იოლი ნამდვილად არ იქნება. საქმე ის არის, რომ ბოლოხანს „იუნაიტედი“ საუცხოოდ თამაშობს, რისი ნათელი დასტურიც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი გახლდათ, სადაც სერ **ალექს ფერგიუსონის** ბიჭებმა „შალკეს“ მისავე მოედანზე ცალი ფეხით მოუგეს. მანჩესტერელები შესანიშნავად თამაშობენ პრემიერლიგაშიც და თუ ტიტულს მოიპოვებენ, „იუნაიტედი“ ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ტიტულიანი კლუბი გახდება — „ლივერპულს“ გადაასწრებს. ახლა, წარმოიდგინეთ, რას მოუტანს მათ ხვალ გამარჯვება. ეს, ფაქტობრივად, ჩემპიონობისთვის ბეჭდის დარტყმა იქნება. ცნობისათვის: „არსენალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ამ სეზონში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს — ერთხელ ჩეპიონატში და ერთხელ ფეხბურთის ასოციაციის თასზე — და ორივე შეხვედრაში (1:0 და 2:0) „იუნაიტედმა“ გაიმარჯვა.

„მეთოფეთა“ თავკაცმა **არსენ ვენგერმა** განაცხადა: *„ყველაზე მეტად გული იმაზე მწყდება, რომ ეს თამაში საჩემპიონო არ არის. გადახედეთ რიცხვებს, ჩვენ ძალიან ახლოს ვიყავით ამასთან. ბოლო კვირა გაიხსენეთ, ცხრა ქულა უნდა მოგვეპოვებინა და ორის მეტი ვერ მოვახერხეთ. ასეთი გაწბილებულები წინა წლებში არ ვყოფილვართ, რადგან წინა წლებში არც ჩემპიონობასთან ვყოფილვართ ასე ახლოს.*

*თუ იმას შევეგუებით, რომ ტიტული კვლავ ვერ მოვიპოვეთ, მაშინ ხარისხზე უნდა ვილაპარაკოთ და აქ, აშკარაა, რომ წლეულს ჩვენ ისეთი ფეხბურთი ვითამაშეთ, რომლითაც პრემიერლიგაში გამარჯვება შეგვეძლო. ჩემთვის ხომ მთავარი შეჯიბრება პრემიერლიგაა. სამწუხაროდ, განვლილ შეხვედრებს რომ ვიხსენებ, გული ბევრ რამეზე მწყდება. წლევანდელ წარუმატებლობას მხოლოდ ერთ რომელიმე ხელმოცარვას ვერ დავაბრალებ“.*

ხვალ საინტერესო შეხვედრა გაიმართება „ლივერპულსა“ და „ნიუკასლს“ შორის. ეს თამაში საინტერესო იმიტომ იქნება, რომ იანვარში მერსისაიდელებმა „კაჭკაჭებისგან“ მათი საუკეთესო თავდამსხმელი, 22 წლის **ენდი ქეროლი** იყიდეს. ითამაშებს თუ არა ქეროლი თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ, ექიმებზეა დამოკიდებული — ფეხბურთელი დაშავებულია, მაგრამ შესაძლოა ხვალისთვის გამოჯანმრთელდეს კიდეც. თუ ასე მოხდა, მას ყოფილ ფანებთანაც მოუწევს ურთიერთობა და სწორედ ამას უფრთხის მერსისაიდელთა შოტლანდიელი თავკაცი **კენი დალგლიში**.

*„ტრიბუნებიდან ენდიზე შეიძლება ათასი რამ თქვან, ათასი რამ იმღერონ, მაგრამ ეს ყველაფერი, კარგად თუ დავაკვირდებით, კომპლიმენტი იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ქეროლი მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელი იყო. არ ვიცი, რას იზამენ ნიუკასლელი ფანები კვირას, მაგრამ თუ ფეხბურთელი ხარ, გუნდი გამოიცვალე და ყოფილი გუნდის გულშემატკივრები ტრიბუნიდან არ გლანძღავენ, ესე იგი არ ვარგიხარ“.*


არსენ ვენგერის (მარცხნივ) ბოლო შანსი ალექს ფერგიუსონთან დუელში

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 34 | 21 | 10 | 3 | 71-32 | 73 |
| 2. ჩელსი | 34 | 20 | 7 | 7 | 64-27 | 67 |
| 3. არსენალი | 34 | 18 | 10 | 6 | 67-36 | 64 |
| 4. სიტი | 33 | 17 | 8 | 8 | 51-30 | 59 |
| 5. ტოტენჰემი | 33 | 14 | 13 | 6 | 49-41 | 55 |
| 6. ლივერპული | 34 | 15 | 7 | 12 | 51-39 | 52 |
| 7. ევერტონი | 34 | 11 | 14 | 9 | 47-42 | 47 |
| 8. ბოლტონი | 34 | 12 | 10 | 12 | 48-47 | 46 |
| 9. ფულჰემი | 34 | 9 | 15 | 10 | 40-36 | 42 |
| 10. სტოკი | 34 | 12 | 6 | 16 | 43-43 | 42 |
| 11. ნიუკასლი | 34 | 10 | 11 | 13 | 49-48 | 41 |
| 12. სანდერლენდი | 34 | 10 | 11 | 13 | 39-49 | 41 |
| 13. ასტონ ვილა | 34 | 10 | 11 | 13 | 43-55 | 41 |
| 14. ვესტ ბრომვიჩი | 34 | 10 | 10 | 14 | 49-64 | 40 |
| 15. ბირმინგემი | 34 | 8 | 14 | 12 | 34-51 | 38 |
| 16. ბლექბერნი | 34 | 9 | 8 | 17 | 40-55 | 35 |
| 17. ბლეკპული | 34 | 9 | 7 | 18 | 48-70 | 34 |
| 18. უიგანი | 34 | 7 | 13 | 14 | 34-57 | 34 |
| 19. ვულვზი | 34 | 9 | 6 | 19 | 37-60 | 33 |
| 20. ვესტ ჰემი | 34 | 7 | 11 | 16 | 39-61 | 32 |

**ბომბარდირები:** 21 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 19 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 15 - ბენტი (ასტონ ვილა), ვან პერსი (არსენალი); 13 - ქეროლი (ლივერპული), მალუდა (ჩელსი), ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი); 12 - ერნანდესი (მანჩესტერ იუნაიტედი), ნოლანი (ნიუკასლი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი)


თომას ვერმაელენი

## ჯერ ვერ-მაელენი

**არსენ ვენგერს** ბელგიელი მცველი **ტომას ვერმაელენი** უბრუნდება. 27 წლის „მეთოფემ“ ოთხშაბათს, რეზერვისტთა შეჯიბრებაში, „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ 90 წუთი ითამაშა. რასაკვირველია, ეს ჯერ არ ნიშნავს, რომ ვერმაელენი კვირას პრემიერლიგის შეხვედრაშიც მიიღებს მონაწილეობას. საამისოდ ის ჯერ მზად არ არის — ბელგიელმა აქილევსის მყესის ტრავმის გამო რვა თვე გამოტოვა. მეორე მხრივ, ფეხბურთელი ამ სეზონში, ალბათ, მაინც მოასწრებს „დიდ მოედანზე“ გასვლას.

## ფლეტჩერის დაბრუნება

იმავე შეხვედრაში გამოჯანმრთელებული ფეხბურთელი მოედანს „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაშიც დაუბრუნდა. ლაპარაკია 27 წლის შოტლანდიელ **დარენ ფლეტჩერზე**. „მეთოფე“ კოლეგისგან განსხვავებით ფლეტჩერი ტრავმირებული არ იყო, მას ვირუსი შეხვდა, რომელმაც გვარიანად დაასუსტა. „არსენალის“ რეზერვისტებთან შეხვედრაში სქოთმა ნახევარმცველმა მოედანზე 45 წუთი დაყო. ფლეტჩერმა ბოლოს 6 მარტს, „ლივერპულთან“ 3:1 წაგებულ შეხვედრაში ითამაშა. ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში, ის ვირუსმა ლოგინად ჩააგდო და წონაც მნიშვნელოვნად დააკარგვინა. ერთი პერიოდი, ექიმები სერიოზულადაც შეშფოთდნენ.

რეზერვისტთა შეხვედრაში ითამაშეს **ვეს ბრაუნმა** და **ბებემაც**.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**


დარენ ფლეტჩერი

ფიგურული ციგურაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი


ოთარ ჯაფარიძე და ელისონ რიდი

# ელისონისა და ოთარის ახალი რეკორდი

## ელენე ტექნიკამ დააღალატა

გუშინ მოსკოვში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მოკლე პროგრამაში **ელენე გედევანიშვილმა** იასპარეზა, შემდეგ კი ყინულზე ცეკვებში ქართული წყვილი, **ელისონ რიდი** და **ოთარ ჯაფარიძე** გამოვიდა.

ელენემ 51,61 ქულა მიიღო, რაც მთელი 10 ქულით ჩამორჩება მისი კარიერის მიღწევას - ვანკუვერის ოლიმპიადაზე. ჩვენებურმა მოკლე პროგრამაში პირადი რეკორდი დაამყარა - 61,92 ქულა დაიმსახურა. გუშინ პროგრამულ კომპონენტებში ქართველს მსაჯებმა 26,74 ქულა მიაკუთვნეს, ხოლო ტექნიკურ სეგმენტში მხოლოდ - 24,87. ეს იმდენად ცუდი მაჩვენებელია, რომ ელენემ 30 მონაწილეს შორის შვიდს აჯობა. საერთო ჯამში გედევანიშვილი თავისუფალი პროგრამის წინ მე-15 ადგილზეა. შეგახსენებთ, რომ ჩვენებურისთვის ეს მე-6 მსოფლიოს ჩემპიონატია, მისი საუკეთესო შედეგი მე-10 ადგილია, უარესი - მე-20.

ჯერჯერობით, არაფერია დაკარგული, რადგან მე-10 ადგილს ელენე მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება და თავისუფალ პროგრამაში კარგი გამოსვლის შემთხვევაში, ამაზე გაცილებით დიდი ჩამორჩენის ალმოფხვრაა შესაძლებელი. მოკლე პროგრამაში ყველაზე უკეთ კორეელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **იუნა კიმმა** ისრიალა. არადა, ის ამ სეზონში არსად ჩანდა და ბევრმა ფავორიტობიდანაც ჩამოწერა. კიმმა დაამტკიცა, რომ ისევ ერთ-ერთი საუკეთესოა. ოლიმპიურ ჩემპიონს 65,91 ქულა აქვს და სულ ოდნავ უსწრებს 4 კონტინენტის პირველობის "წლევანდელ: გამარჯვებულ იაპონელ **მიკი ანდოს** - 65,58. მესამე ადგილზე კი მასპინძელი **ქსენია მაკაროვაა** - 61,62 ქულა. ზედა ათეულში ისეთი სიმჭიდროვეა, რომ ჩემპიონობის შანსს მე-8 ადგილზე მყოფი ამერიკელი **რაკელ ფლეტიც** ინარჩუნებს, რომელსაც 57,22 ქულა აქვს. დღეს 30-დან მხოლოდ 24 საუკეთესო გააგრძელებს მედლებისთვის ბრძოლას. კენჭისყრა გუშინვე მოეწყო, მონაწილეები ახლა 4 ჯგუფად არიან გაყოფილები - ელენე გედევანიშვილი მე-2 ჯგუფში მეორე გამოვა ყინულზე. შეჯიბრება კვლავ ნაშუადღევს, 13.30-ზე დაიწყება.

გუშინვე წყვილთა მოკლე ცეკვებში ელისონ რიდი და ოთარ ჯაფარიძე ერთ-ერთი პირველები გავიდნენ ყინულზე და 49,44 ქულა მიიღეს. ჩვენებურთათვის ეს კარიერის მიღწევაა, ელისონმა და ოთარმა 2,5 ქულით გააუმჯობესეს თავიანთი რეკორდი და თავისუფალ პროგრამაშიც შევიდნენ. ეს ბრწყინვალე მიღწევაა წყვილისთვის, რომელიც აქამდე წინასწარი რაუნდიდან მივიდა. მოკლედ, ჩვენებურთა პროგრესი აშკარაა. მოკლე პროგრამაში ელისონ რიდი და ოთარ ჯაფარიძე საბოლოოდ მე-19 ადგილზე გავიდნენ. ჩვენებურები თავისუფალ ცეკვებს დღეს, საღამოს 7-ის ნახევრიდან შეასრულებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

წყალხტომა

# მეათე საფეხურზე გადაინაცვლეს

საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ფედერაციის წყალში ხტომის ტექნიკურმა კომიტეტმა ყოველთვიური რეიტინგი გამოაქვეყნა. სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომაში **ჭოლა ჭანტურიას და შოთა კორახაშვილის** დუეტმა 29,67 ქულით მეთორმეტედან X ადგილზე გადაინაცვლა. ბოლო სამი წლის განმავლობაში ეს მათი საუკეთესო შედეგია. ჩვენი წყალმხტომელები მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან IX ადგილზე მყოფ ბრიტანელებს, რომლებსაც წლეულს ესპანეთის გრან პრიზეც აჯობეს და ევროპის ჩემპიონატზეც. საგულისხმოა, რომ ესპანეთში ქართველთა დუეტმა მერვეადგილოსან კუბელებსაც (32,33 ქულა) გაუსწრო.

რეიტინგის სათავეში მკვიდრად დგანან ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი ჩინელები — **ჩინ კაი** და **ვან ფენი** (38,33 ქულა).

ლიდერებს 1,33 ქულით ჩამორჩებიან 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ამერიკელები — **კრისტიან იპსენი** და **ტროი დუმაისი**. რეიტინგის მესამე საფეხურზე პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი და სამგზის ევროპის ჩემპიონი უკრაინელთა დუეტი (**ილია კვაშა, ალექსეი პრიგოროვი**) იმყოფება (საგულისხმოა, რომ იქ 3 ათასზე მეტი წყალმხტომელია, რომელთა დაოსტატებას 323 მწვრთნელი ემსახურება, საქართველოში კი მხოლოდ 15 სპორტსმენი მისდევს ამ სახეობას 3 მწვრთნელის ხელმძღვანელობით). მომდევნო ადგილებზე მოდიან: IV. რუსეთი (35,67), V. გერმანია (35.00), VI. მექსიკა (34.33), VII. საფრანგეთი (33.67 ქულა)... ევროპაში ჭანტურიას და კორახაშვილის დუეტს მე-6 ადგილი უკავია.

საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, წყალმხტომელმა მწვრთნელმა **ირაკლი ბართაიამ** გვითხრა, რომ საქართველოს ნაკრების წევრები ახლა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რომელიც ივლისის მიწურულს შანხაიში (ჩინეთი) გაიმართება. მანამდე კი როსტოკისა (გერმანია, 24-30 მაისი) და ბოლცანოს (იტალია, 6-12 ივნისი) სარეიტინგო გრან პრიზე მოსინჯავენ ძალებს.

**ვაჟა დანელია**

წყალბურთი

# მედლების მფლობელნი დღეს გამოვლინდებიან

1997-1998 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობაში 8 გუნდი ჩაება. სამ ტურად გამართული ორთაბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ პლეი ოფის მონაწილენი. გუშინ მე-5 ადგილისთვის პაექრობაში „ივერია-2“-მა 8:2 (4:0, 0:1, 1:1, 3:0) სძლია „თბილისს“. მე-7 ადგილზეა „ტონუსი“, მერვეზე — „ჯორჯია“. პირველ ნახევარფინალურ მატჩში „ლიგამუსმა“ დიდი ანგარიშით — 23:1 (5:0, 6:0, 7:1, 5:0) აჯობა „ქუთაისს“, ხოლო „ივერიის“ პირველმა გუნდმა „ბათუმს“ მოუგო — 20:2 (4:0, 3:1, 4:0, 9:1).

ამდენად, დღეს ოქროს მედლებისთვის „ლიგამუსი“ და „ივერია-1“ ითამაშებენ, ბრინჯაოსთვის კი „ქუთაისი“ და „ბათუმი“ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# გაგუნაშვილი ხუთოსნებში გაერია

ნახიჩევანში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს 7 წარმომადგენელიც მონაწილეობს. გუშინდელი შეხვედრების შემდეგ მათგან გამორჩეულია **მერაბ გაგუნაშვილი**, რომელმაც მე-7 ტურში მასპინძელ **ფარიდ აბასოვს** სძლია და 5 ქულა მოაგროვა. ჩვენებური ქულით ჩამორჩება ესპანელ **ფრანსისკო ვალეხოს**. ამ უკანასკნელმა გუშინ შავი ფიგურებით **ილია სმირინს** (ისრაელი) აჯობა და 6 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს. 5,5 ქულით მეორე ადგილზეა უნგრელი **ზოლტან ალმაში** — მან აზერბაიჯანელი **გადირ გუსეინოვი** დაამარცხა. ხუთქულიანებში მოხვედრა შეეძლო **მიხეილ მჭედლიშვილს**, მაგრამ მან შავი ფიგურებით **რასულ იბრაჰიმოვთან** (აზერბაიჯანი) წააგო. ქართველთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **დავით ბენიძე**-ალექსეი ალექსანდროვი (ბელარუსი) 1:0, **კონსტანტინე შანავა**-შუჯაათ ორუჯოვი (აზერბაიჯანი) 0,5:0,5, **ალექსანდრე ყაშაშვილი**-ულვი ბაჯარანი (აზერბაიჯანი) 0:1, აუზ მამადოვი (აზერბაიჯანი)-**სოფიკო გურამიშვილი** 0,5:0,5, **აკაკი შალამბერიძეს** მეტოქე არ ჰყავდა და მოგება ჩაეწერა.

7 ტურის შემდეგ ჩვენებურთა მონაგარი ასეთია: გაგუნაშვილი-5, ბენიძე-4,5, მჭედლიშვილი-4, გურამიშვილი, შანავა-3,5-3,5, ყაშაშვილი-3, შალამბერიძე-2,5 ქულა.

შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**


მერაბ გაგუნაშვილი

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური



# საქართველომ ტური წარუმატებლად დაიწყო

პლაჟბურთში წლევანდელი მსოფლიო ტური ჩინეთის ქალაქ სანიაში ქალთა შეჯიბრებით დაიწყო. ქართულმა წყვილმა **საქა-რთველომ**, რომელიც **მე-17** ნომრად იყო განთესილი, სამი შეხვედრა გამართა და მხოლოდ ერთი მოიგო. პირველი მეტოქე მე-18 ნომრად განთესილი ფინელი დების, **ნისტრიომების** დუეტი იყო. საქა-რთველო ორ სეტში დამარცხდა - 18:21, 14:21.

დამამშვიდებელ ეტაპზე ჩვენმა წყვილმა გაჭირვებით სძლია 32-ე ნომრად განთესილ პუერტო რიკოულ წყვილ **ასევედო-სანტიაგოს** - 2:1 (12:21, 21:16, 15:9), მერე კი მე-16 ნომერ შვეიცარიელებთან, **კუნ-ცუმკერთან** წააგო ორ სეტში - 7:21, 19:21.

საბოლოოდ საქა-რთველომ სანიაში 23-ე ადგილი დაიკავა და 120 სარეიტინგო ქულა მიიღო. ვაჟთა ტურნირი, სადაც **გეორ-გია** იასპარეზებს, 2 მაისს დაიწყება შანხაიში.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ცურვა. ინტერვიუ კობა ბუხრიკიძესთან

# წყალი მისცეს, სტატუსი ჯერ არა

**წლების განმავლობაში გორელ მოცურავეებს აუზში წყალს მხოლოდ ზაფხულში უსხამდნენ. ბოლო ორი წელიწადია პირობები გაუმჯობესდა, რაც ამას წინათ თბილისში საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე ნაჩვენებ შედეგებში დადებითად აისახა. გვესაუბრება გუნდის მწვრთნელი კობა ბუხრიკიძე.**

— შემიძლია თამამად გითხრათ, რომ საქართველოს ჩემპიონატზე მაქსიმალურად კარგი შედეგი ვაჩვენეთ. ადრე უწყლობის გამო მწვრთნელებს ძირითადად სპორტული ჯგუფების შენარჩუნებაზე გვიწევდა ზრუნვა. სპორტის ამჟამინდელი მინისტრის ლადო ვარძელაშვილის რეგიონის გუბერნატორად მუშაობისას, მკვეთრად გამოსწორდა მდგომარეობა. ახლა უკვე მთელი სპორტული სეზონის განმავლობაში გვაქვს წყალზე ვარჯიშის საშუალება.

**— ცურვის შემსწავლელთა რაოდენობამ მოიმატა?**

— გორში ჯერჯერობით ცურვა არ არის დიდად პოპულარული. ჯგუფების რაოდენობაც არ გაზრდილა. შარშან ანალოგიურ შეჯიბრებაზე მხოლოდ ის სპორტსმენები წავიყვანეთ, რომლებიც საპრიზო ადგილებისათვის იბრძოლებდნენ. ახლა მათ ახალბედებიც დაემატნენ, რომლებმაც. გამოცდილება მიიღეს, მედლებისათვის კი ისევ გუნდის ლიდერები გაისარჯნენ. გვანცა ხინჩეგაშვილმა სამ დისტანციაზე (50 მ 100 მ და 200 მ თავისუფალი ყაიდა) არავის დაუთმო პირველობა, მეგი ხათაშვილი ორჯერ (50 და 100 მ გულაღმა ცურვა) პირველი იყო და ერთხელაც (200 მ გულაღმა ცურვა) მეორე, გიორგი ბუხრიკიძის მონაგარი კი ერთი პირველი (50 მ თავისუფალი ყაიდა) და ერთიც მეორე (100 მ თავისუფალი ყაიდა) ადგილია. ამასთან, ორი ოქრო მოიპოვეს გოგონებმა 4X50 და 4X100 მ ესტაფეტაში, ვაჟები კი ამ დისტანციაზე მეორეზე გავიდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გამარჯვებები ქალაქში ცურვის პოპულარობას შეუწყობს ხელს.

**— რამდენი მწვრთნელი მუშაობს ამჟამად აუზში?**

— სპორტსმენებს ძირითადად მე და ეკა ფხიკიძე ვავარჯიშებთ, დიდი ხანი არაა, რაც მუშაობას შეუდგა კიდევ ორი ახალბედა მწვრთნელი.

**— და მივადექით თქვენთვის საჭირბოროტო საკითხს, რომელიც სტატუსს ეხება...**

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით ისევ დამოუკიდებლად ვირჩენთ თავს. მართალია, ქალაქის მუნიციპალიტეტი გვეხმარება და მადლიერებიც ვართ, მაგრამ აჯობებდა, გორის ცენტრალური სასპორტო სკოლის დაქვემდებარებაში ვიყოთ. ამ შემთხვევაში მივიღებდით პედაგოგის სტატუსსაც. არადა, დამეთანხმებით, ყურადღებას ვიმსახურებთ.

**— უახლოესი გეგმებიც გაგვაცანით...**

— ამჟამად ვემზადებით უმცროს ასაკში საქართველოს პირველობისთვის, რომელიც მაისში ჩატარდება. მერე კი მონაწილეობას მივიღებთ საქართველოს ზაფხულის პირველობაზე დიდებში და შევეცდებით, ისევ წარმატებით გამოვიდეთ.

**ვასილ ბალახაძე**
**გორიდან**

**FM 107,9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.

## იუბილე. ქრისტეფორე ნინიაშვილი.



მარცხნიდან: ქრისტეფორე ნინიაშვილი, გია გალდავა და ოლეგ იაძე

# ამაგდარის დაფასება

რამდენიმე დღის წინ სამბოსა და ძიუდოს ცნობილ მწვრთნელ **ქრისტეფორე ნინიაშვილს** დაბადებიდან 90 წელიწადი შეუსრულდა. გუშინ მას ეს საიუბილეო თარიღი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საზეიმოდ მიულოცეს, სადაც ამაგდარ მწვრთნელს სამბოსა და სრულიად საჭიდაო სამყაროს წარმომადგენლები შეხვდნენ. **ოლეგ იაძემ** სინანული გამოთქვა, რომ ამ თარილს უფრო ფართო მასშტაბით ვერ აღნიშნავდნენ. სამბოს ფედერაციამ და სამინისტრომ ნინიაშვილი ღირსების მედლებითა და ფულადი პრემიებით დააჯილდოვეს. გუშინვე ცოტა ხნის წინ უხმაუროდ ჩავლილი 85 წლის იუბილე ვეტერან მსაჯ **შოთა ზუკაკიშვილსაც** მიულოცეს , სამინისტრომ კი სიურპრიზი იაძესაც მოუმზადა - ქვეყნის უმაღლესი სპორტული ჯილდო, სპორტის რაინდის ორდენი უბოძა.

შეხვედრის დასაწყისში საკუთარ პიროვნებაზე ჩვეულებრივ მოკრძალებულად ისაუბრა თავად ნინიაშვილმა: *„დიდი ივანე ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელ ხოვლეში დავიბადე. მშობლებს ექვსი შვილი ვყავდით და მე თბილისში წამომიყვანეს ბებია-ბაბუასთან. აქ 9 ძმის ქუჩაზე ვცხოვრობდი და ჭიდაობაც იქვე დავიწყე ნახერხმოყრილ მოედანზე, სპორტსაზოგადოება „დინამოში". ჭიდაობის პარალელურად ვმსაჯობდი კიდეც. ეს იმ პერიოდში, როცა სამბო პირველად შემოვიდა საქართველოში. 1950 წლიდან მოყოლებული, მთელი 23 წელიწადი საქართველოს სამბოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვიყავი. ჩემს შემდეგ რამდენიმე დამრიგებელი გამოიცვალა, ვიდრე ოლეგ იაძე არ მოვიდა, რომელმაც რუსეთს სამბოში მსოფლიოს ჩემპიონობა წაართვა, როგორც შოთა ხაბარელმა - ძიუდოში. სხვათა შორის, საქართველოში ძიუდოც სამბისტებმა განვავითარეთ".*

ქრისტეფორე ნინიაშვილი ის ადამიანია, რომელზედაც ბევრიც შეიძლება თქვა და მოკლედაც შემოიფარგლო - მას მეტსახელითაც კი იცნობენ, ხოლო ასეთებს ბევრი დახასიათება არც სჭირდებათ. სწორედ ის იდგა საქართველოში სამბოსა და ძიუდოს განვითარების სათავეებთან და მოჭიდავეთა არაერთი თაობა აღზარდა. გუშინდელი მრავალრიცხოვანი გამოსვლებიდან რამდენიმე ფრაგმენტს შემოგთავაზებთ, რაც კარგად წარმოაჩენს ნინიაშვილის ღვაწლს, მის პიროვნულ თუ სამწვრთნელო თვისებებს.

**ოლეგ იაძე** (ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი): *„სამბოსა და ძიუდოს სამყაროში ბევრი ღირსეული შვილია, მაგრამ მეეჭვება, ვინმე ქრისტეფორე ნინიაშვილზე მეტი იყოს. მეამაყება, რომ ორივე ერთი რაიონიდან ვართ - კასპიდან".*

**გია გალდავა** (საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის მოადგილე): *„ამ სახელოვანმა კაცმა ქართული ჭიდაობით დაიწყო და მერე საკუთარი თავის რეალიზება სამბოში მოახდინა. მისი ღვაწლი ძალიან დიდია მთლიანად საჭიდაო სამყაროსთვის. ნინიაშვილის გული და გონება დღესაც სპორტს ემსახურება. მისი ცხოვრება გვაჩვენებს, როგორ უნდა გაიზარდონ როგორც მწვრთნელთა, ისე სპორტსმენთა თაობები. ის ყოველთვის დაფასებული ადამიანი იყო და მომავალშიც ასე იქნება".*

**გურამ საღარაძე:** *„ქრისტეფორე ნინიაშვილი საქართველოში ჭიდაობის აკვანის პირველი დამრწევია, საიდანაც მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები აღიზარდნენ. ეს ყველაფერი გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო ქართული ჭიდაობით, მერე კი სამბოში გადავიდა. ოღონდ, სადაც წავიდა, ყველგან პირველი იყო. ის ყოველთვის გამოირჩეოდა ზრდილობით, თავმდაბლობით, ტაქტით, ყველასთვის მაგალითი იყო და ასეთად დარჩება".*

**ანზორ მარტყოფლიშვილი** (ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი): *„მინდა, მადლობა გადაგიხადოთ იმ დიდი ამაგისთვის, რაც საქართველოში ძიუდოს, ზოგადად, ჩოხიანი ჭიდაობების განვითარებისთვის გააკეთეთ. ძალიან კარგად მახსოვს, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრები დაარსდა ძიუდოში, სულ სამი მწვრთნელი მიიწვიეს და იმათში ერთ-ერთი ჩვენი „ივანიჩიც" იყო ანდრეევსა და მასლოვთან ერთად. ნინიაშვილი პირველი იყო, ვისაც ყოფილი საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭეს 1962 წელს, როცა მისივე მოსწავლე - ანზორ კიკნაძე საბჭოეთიდან ასევე პირველი გახდა ევროპის ჩემპიონი. კიკნაძე ასევე პირველი ოლიმპიური მედალოსანი იყო. ნინიაშვილის ხელში სამბოდან გავიზარდეთ თითქმის ყველა მოჭიდავე ძიუდოშიც და სხვა სახეობებშიც, „დინამოს" იმ პატარა დარბაზში, სადაც ის მწვრთნელად მუშაობდა. მისი მოსწავლეები იყვნენ ბიძინა მაზიაშვილიც და გურამ პაპიტაშვილიც, რომლებიც მერე ყოფილი საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელები გახდნენ და საქართველოში აქტიურად განავითარეს ძიუდო".*

**სიმონ მაისურაძე:** *„ნინიაშვილი იმ პერიოდის მოჭიდავეა, როცა ქართველმა სპორტსმენებმა ქართული ჭიდაობის ილეთებით გააკეთილშობილეს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძიუდო და სამბო. ქართული შუაკაურით, სარმით, მოგვერდით, კისრულით შეიარაღებულმა იმ ფალავნებმა ჭიდაობა გაუთავებელი ჩოქბჯენიდან ფეხზე წამოაყენეს და გაალამაზეს."*

ამაგდარ მწვრთნელს იუბილე მიულოცეს და მის ღვაწლზე ისაუბრეს **დურმიშხან ჩიტაშვილმა, იოსებ მალალაშვილმა, დავით ბერძენიშვილმა** და სხვებმა.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში სამინისტრომ ღირსების ორდენებით **სოლომონ ჩიტაშვილი, თენგიზ არაბული, ვაჟა კრავეიშვილი, ალექსანდრე კახნიაშვილი** და **ბადრი ჯანიაშვილი** დააჯილდოვა.

**ირაკლი თავაძე**

## ჩოგბურთი

# დიდებში გორგოძე, ახალგაზრდებში მეტრეველი

მინსკის საერთაშორისო ტურნირზე (25 ათასი დოლარი) მე-2 ნომრად განთესილმა 21 წლის **სოფიო შაფათავამ** (293) კი დაამარცხა უკრაინელი **ირინა კირიჩენკო** - 6:2, 6:1, მაგრამ მერვედფინალში სერბ **ტეოდორა მირჩიჩს** (368) ვერაფერი მოუხერხა - 5:7, 2:6. სოფიო ბელარუსის დედაქალაქს უკვე დაემშვიდობა, რადგან წყვილთა ბადის ნახევარფინალშიც წააგო - რუს **მარინა შამაიკოსთან** (406) დუეტში თამაშობდა. მე-3 ნომრად განთესილმა ქართულ-რუსულმა წყვილმა იმავე მირჩიჩთან და **ნიკოლ როტმანთან** (ავსტრია, 493) დათმო - 1:6, 6:7 (4).

თურქულ ანთალიაში მე-2 ნომრად განთესილმა 19 წლის **ეკა გორგოძემ** (503) მერვედფინალში იტალიელი **მარტინა კაჩოტი** (836) იოლად დაამარცხა - 6:1, 6:2. მეოთხედფინალში ქართველის მეტოქე რუსი **ალექსანდრა რომანოვაა** (738).

ახალგაზრდულ ასპარეზზე ყოჩაღობს 17 წლის **ალექსანდრე მეტრეველი** (82). მან სალსომაჯორეს ტურნირზე (იტალია, მე-2 კატეგორია) მერვედფინალში შეჯიბრების პირველ ჩოგან **დიმიტრი ბრეტინგს** (29) მოუგო, ოღონდ, შვეიცარიელს ხელი ტრავმამ შეუშალა - 4:6, 3:0-ის მერე ქართველს დანებდა. მეოთხედფინალში მეტრეველი მე-5 ნომრად განთესილ ჩეხ **ადამ პავლაჩეკს** (72) ხვდება. შეგახსენებთ, რომ მეტრეველი მაისის დასაწყისში „დევისის თასზე" საქართველოს ნაკრების ღირსებას დაიცავს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ქართველი NBA-ში

# ზაზამ ჰოვარდი ჩამოიშორა და ხარს დაეჭიდება

ჩვენთვის ცუდ დროს ტარდება NBA-ს მატჩები - „ატლანტას" თამაშის საყურებლად ღამის გათენება გვიწევს... მაგრამ გუშინდელი ღამის გატეხვა ნამდვილად ღირდა - ვნახეთ, როგორ გააგდო „ატლანტა ჰოქსმა" „ორლანდო მეჯიქი". თან იმდენად დაძაბული და ემოციური მატჩი იყო, გულშემატკივარსაც დარბაზში ჩაითრევდა. გამოგიტყდებით, საქართველოს ნაკრების მატჩების შემდეგ, ასე ემოციურად თამაშისთვის თვალი არ მიმიდევნებია. ამასაც ჰქონდა ობიექტური მიზეზი: „პეპსი არენაზე" გამართულ შეხვედრას **„ატლანტასთვის"** გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა - მოგების შემთხვევაში ჯორჯიელები აღმოსავლეთის კონფერენციის ნახევარფინალში გადიოდნენ, წაგების შედეგად კი სერიაში ანგარიში გათანაბრდებოდა (3:3) და გადამწყვეტი შეხვედრა ორლანდოში გაიმართებოდა. მოკლედ, სასწორზე იდო **ზაზა ფაჩულიას** სეზონის დასრულება-გაგრძელების საკითხი.

ეს ატლანტელ ქომაგსაც კარგად მოეხსენებოდა და თავად კალათბურთელებსაც. ჰოდა, გულშემატკივრებისგან შეგულიანებული ჯორჯიელები ნამდვილ „ქორებად" იქცნენ და სტუმრებს მოურიდებლად დააცხრნენ...

■■■

გუშინ „ატლანტამ" პერიოდული აფეთქებების წყალობით მოიგო, ორლანდოელები კი დინჯად მისდევდნენ და ჩასაფრებული მტაცებლებივით თავის შანსს ელოდნენ. პირველი აფეთქება საწყისი მეოთხედის ბოლოსა და მეორის სტარტს დაემთხვა, სწორედ იმ მონაკვეთს, როცა ფაჩულია მოედანზე **ჯეისონ კოლინზის** ნაცვლად შევიდა. თამაშში ჩართვიდან პირველივე წუთზე ზაზამ უწყინარ სიტუაციაში, მოედნის ცენტრში „ორლანდოს" ლიდერ **დუაით ჰოვარდს** პერსონალური შენიშვნა მიაღებინა, რამაც ქომაგებს დამატებითი ნაპერწკალი შემატა. ამ ეპიზოდმა მატჩის ამერიკელი კომენტატორები გაახალისა: „ატლანტა" მინი-ჰოლივუდიაო. შეიძლება მათ ქართველს მსახიობური თვისებები მიაწერეს, შესაძლოა „ჰოქსის" თამაში მძაფრსიუჟეტიან ფილმს შეადარეს - ჯორჯიელების მოქმედებაში დრამატიზმიც ბევრია, მოულოდნელობებიც და გაწევ-გამოწევაც.





ზაზა ფაჩულია და ჰედო თურქოღლუ

წითელი ხალიჩიდან მოედანზე დავბრუნდეთ. ფაჩულიას მთავარი მისია ჰოვარდის შეკავება იყო, რომელიც ადიდებული მდინარესავით აწყდებოდა ნაპირს, თუმცა კოლინზისა და ზაზას წყალობით კალაპოტიდან გადასვლას ვერ ახერხებდა. და მაინც, გაბრაზებულმა „სუპერმენმა" ერთი-ორი ისეთი ჩატენა, კინაღამ ფარი ჩამოტეხა.

ზაზა ცდილობდა **სმიტისა და ჰორფორდისთვის** ფარქვეშ სივრცე გამოეთავისუფლებინა, რაც ჰოვარდის მონაცემების გათვალისწინებით ურთულესი საქმე იყო. სამაგიეროდ, მეორე პერიოდის დასაწყისში ჩვეული სიზუსტე გამოიჩინა **ჯამალ კროუფორდმა,** 9 ქულა ჩააგდო და მასპინძლებს 10-ბალიანი უპირატესობა დაუბევა - 36:26.

■■■

„ატლანტას" ცეცხლი მალევე მინავლდა, რასაც ხელი მანამდე მთვლემარე **ჰედო თურქოგლუს** გამოფხიზლებამაც შეუწყო. მის მიერ ჩაგდებული სამქულიანისა და საჯარიმოების წყალობით „ორლანდომ" ჩამორჩენა მალევე შეამცირა (36:40). ატლანტელი ქომაგი მორიგი აფეთქების მოლოდინში იყო, რაც მესამე პერიოდის შუაში ზაზა ფაჩულიას გამოსვლას დაემთხვა. ქართველმა ერთ ეპიზოდში თურქოგლუც გამოიყვანა მწყობრიდან: ფარქვეშ ეულად მყოფმა ზაზამ **ჯონსონისგან** ბურთი მიიღო, თუმცა თურქოგლუ ზურგზე შეახტა და ჩაგდება არ დაანება. ფაჩულიამ ეს ხელის გაშლით გააპროტესტა, თურქი კი მიეჭრა და სწრაფადვე დამშვიდებული ფაჩულიას პროვოცირება სცადა. მოედნის მიღმა ზაზა და თურქოგლუ მეგობრები არიან. ალბათ, ამიტომაც ფაჩულიამ თავი შეიკავა და მშვიდად ისროლა არასპორტული შენიშვნით მოპოვებული საჯარიმოები (ერთი ჩააგდო). ამას მოჰყვა **მერვინ უილიამსის** სამქულიანი და - 54:49. სხვათა შორის, მერვინის შორეულმა ტყორცნებმა „ჰოქსს" სულზე მიუსწრო.

„ატლანტას" ყველაზე მკაფიო გაელვება მეოთხე პერიოდის დასაწყისში დაფიქსირდა: უილიამსის ერთმა და კროუფორდის ორმა სამქულიანმა მატჩის ყველაზე დიდი სხვაობა განაპირობა - 71:59. თუმცა, წაგების სუნმა ჰოვარდი გაახელა, ამას ისიც დაემატა, რომ ზაზამ მასთან ბრძოლისას ჯარიმები უხვად აკრიფა და ზემოთ რომ ვთქვით, ფარი კინაღამ ჩამოტეხაო - ეს სწორედ მეოთხე პერიოდში მოხდა. მოკლედ, საფინალო სირენამდე 34 წამით ადრე ორლანდოელებმა სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს (81:82) და თამაშის გადარჩენის რეალური შანსიც გაუჩნდათ. თუმცა, გადამწყვეტ მომენტში სამართლიანობამ იზეიმა და მთელი მატჩის განმავლობაში წინ მყოფმა „ატლანტამ" „ორლანდოს" გადასწრების უფლება არ მისცა: სირენამდე 12 წამით ადრე უილიამსმა სამქულიანი ააცილა, თუმცა, ბედად, ბურთი კროუფორდს დარჩა და სტუმრები იძულებულნი გახდნენ, განზრახ დაჯარიმებულიყვნენ.

კროუფორდის 1+1, 84:81 და „ატლანტამ" ნახევარფინალი გაინაღდა.

■■■

გადავხედოთ სტატისტიკას: გადამწყვეტი სამქულიანები და მოხსნები გამოდგა. ორივე კომპონენტში მასპინძლებმა იმარჯვეს - სამიანებში 8:5, მოხსნებში 38:31.

ჰოვარდმა სეზონის ბოლო მატჩში 25 ქულა და 15 მოხსნა მიითვალა, ხოლო ატლანტელთა ბომბარდირმა ჯო ჯონსონმა 23 ქულა და 10 მოხსნა იკისრა. ორმაგი დუბლი შეასრულა **ელ ჰორფორდმა** - 10 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი. ფაჩულიას მონაგარს ქვემოთაც ნახავთ. აქ ერთს დავამატებთ: მატჩის ოქმში არის ერთი გრაფა, სადაც ფიქსირდება ამა თუ იმ კალათბურთელის მოედანზე ყოფნისას მისი გუნდის შედეგი (სხვაობა რამდენით გაიზარდა, ან რამდენით შემცირდა). როცა ზაზა თამაშობდა, „ჰოქსი" 9 ქულით დაწინაურდა. მხოლოდ მერვინ უილიამსის მოედანზე გამოჩენას ყველაზე მეტი პლუსი მოჰყვა - 12. დანარჩენების მონაგარში ეს მაჩვენებელი 7-ს არ აღემატებოდა.

აღმოსავლეთის კონფერენციის ნახევარფინალში „ატლანტა" ჩიკაგოელ „ხარებს" დაუპირისპირდება. სერიის პირველი მატჩი 2 მაისს გაიმართება.

**ატლანტა-ორლანდო 84:81**

**ზაზა ფაჩულია:** 23:52 წუთი, 1 ქულა (1-დან 0 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 5 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 5 ფოლი, 1 შეცდომა

**ქრონოლოგია**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 03:00 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 11:46 | ფოლი: 1 |
| 11:14 | ჩაჭრა: 1 (არენასს ჩაუჭრა) |
| 10:43 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 10:42 | პასი: 1 (კროუფორდი 3ქ, 26:20) |
| 08:10 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 05:15 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 04:54 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 04:27 | ფოლი: 2 |
| 04:24 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 06:28 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 05:40 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 04:02 | საჯარიმოები: 2/1 (1ქ, 51:49) |
| 03:37 | შეცდომა: 1 |
| 02:46 | ფოლი: 3 |
| 02:35 | პასი: 2 (კროუფორდი 2ქ, 56:51) |
| **IV პერიოდი** | |
| 10:22 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 08:30 | ფოლი: 4 |
| 05:12 | ფოლი: 5 |
| 05:12 | ჰაინრიხმა ზაზა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ზაზამ და კოლინზმა ჰოვარდი მოინადირეს

„ატლანტას" მიერ „ორლანდოს" ძლევას პოპულარულ გამოცემა ESPN-ზე საინტერესო სტატია მოჰყვა, რომელშიც ლაპარაკია ჯორჯიელთა წარმატების ერთ-ერთ მთავარ გასაღებზე - **დუაით ჰოვარდის** ნეიტრალიზებაზე.

**ჯონ ჰოლინგერის** პუბლიკაციას ასე ჰქვია: „ლოკალური წარმატება: ქორებმა ჰოვარდი მოინადირეს".

„ატლანტელთა კონფერენციის ნახევარფინალში გასვლას დიდი სიხარული მოჰყვა. ყველა მღეროდა, ეკრანზე კროუფორდის დიდებული ტყორცნები ერთმანეთს ენაცვლებოდა, გაიმეორეს ჯოშ სმიტის მოგების მომტანი დაფარება...

„ატლანტას" გასახდელში კი წყნარად ისხდნენ და ერთმანეთში საუბრობდნენ **ზაზა ფაჩულია** და **ჯეისონ კოლინზი.** ამ ორმა კალათბურთელმა ექვს მატჩში თამაშიდან ექვსი ქულა ჩააგდო. მაგრამ ციფრებმა არ შეგაცდინოთ: ზაზასა და ჯეისონის თამაში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო „ატლანტას" წარმატებაში. სწორედ მათ აიძულეს „ორლანდოს" ლიდერი დუაით ჰოვარდი 6 მატჩში 33 შეცდომა დაეშვა.

- წლების განმავლობაში მიწევდა შაკილ ონილისა და ტიმ დანკანის მეურვეობა. ახლა დუაით ჰოვარდია NBA-ს საუკეთესო ცენტრი... - თქვა 38 წლის კოლინზმა.

შედარებით ახალგაზრდა, 27 წლის ზაზა ფაჩულიასაც მარტოს უწევდა ჰოვარდის მეურვეობა და დაკისრებულ ფუნქციას თავს კარგად ართმევდა.

- გახარებული ვარ! დიდებული გრძნობაა, - განაგრძობს ზაზა, - ჰოვარდის მეურვეობა ძალიან ძნელია. იგი ათლეტურია, ძლიერი და დამაგვირგვინებელ ფაზაშიც კარგად გამოიყურება. ყოველთვის ვცდილობდით, მისთვის სივრცე შეგვეზღუდა, 10-15 ქულაზე მეტის ჩაგდების უფლება არ მიგვეცა, მაგრამ ვერ ვახერხებდით. მოხარული ვარ, რომ საბოლოოდ ჰოვარდის განზილება მაინც მოვახერხეთ."

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი

# დაუმარცხებელი ორია: ლელო და აია


არმია -ხარები

საქართველოს ჩემპიონატში საალდგომო დღესასწაულის გამო მცირე შესვენება იყო. საინტერესოა, გუნდებმა ორკვირიანი უქმობა რამდენად ნაყოფიერად გამოიყენეს. წესით, განვლილი ორი საკმაოდ დაძაბული ტურის შემდეგ, მორაგბეებს სული უნდა მოეთქვათ და ტრავმების მოშუშებაც მოესწროთ.

მესამე ტურში უდავოდ ცენტრალური მატჩი, ერთ-ერთი ლიდერის, ჯერაც დაუმარცხებელი თბილისის „ლელოსა“ და ახალბედა „არმიას“ დაპირისპირებაა. ლელოელებმა პირველ ტურში იოლად სძლიეს თბილისის „არმაზს“ - 36:12. მერე კი უმძიმესი ბრძოლა გადახდათ ქვეყნის ჩემპიონ „ლოკომოტივთან“. ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებული საქართველოს თასის მფლობელები გამოვიდნენ - 27:19.

„ლელოსგან“ განსხვავებით „არმიას“ ორი თამაშიდან ერთი წაგება აქვს. არმიელებმა პირველივე ტურში წააგეს „ლოკომოტივთან“ - 16:26. მეორე ტურში კი რუსთავის „ხარებს“ აგემეს ზედიზედ მეორე მარცხი - 23:17.

ამ გუნდების დაპირისპირება უალრესად საინტერესო უნდა გამოდგეს. „ლელოს“ ძალისა და ამბიციის შესახებ დიდი ხანია ცნობილია. ეს გუნდი, ბოლო სამ სეზონში, ზედიზედ სამჯერ დაეუფლა საქართველოს თასს, ერთხელ ჩემპიონი გახდა და ორჯერ ვიცე -ჩემპიონი. „ლელოს,“ ცხადია, მიზნად წლეულსაც მხოლოდ მაქსიმუმის მიღწევა აქვს დასახული.

რა შეუძლია და რისთვის იბრძოლებს „არმია“, ვფიქრობთ, „ლელოსთან“ მატჩში გამოჩნდება. პოტენციალი გუნდს საკმაოდ დიდი აქვს. არმიელთა რიგებში საქართველოს ნაკრების სამი მორაგბე, **ბიძინა სამხარაძე, ირაკლი ნატრიაშვილი** და **ჯაბა ბრეგვაძე** თამაშობს. მათ გარდა ერთ-ერთი გამორჩეულია და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გუნდის ლიდერია შუამარბი **რატი ნუცუბიძე,** რომელიც იმავდროულად, მთავარი მექულეცაა.

„ლელოს“ ტრადიციული ბასრი იარალი სწრაფი, მოძრავი და ტექნიკური უკანახაზია. სწორედ უკანახაზელთა უპირატესი თამაშის წყალობით შეძლეს ლელოელებმა წინა ტურში რკინიგზელთა დამარცხება. „არმიას“ შერკინება „ლოკომოტივისას“, მართალია, ჩამოუვარდება, მაგრამ მაინც საკმაოდ მძიმე და მობილურია. ამიტომ „ლელო“ არმიელთა დამარცხებას, ვფიქრობთ, ისევ უკანახაზელებით შეეცდება.

„ლელოსა“ და „არმიას“ დაპირისპირება დღეს „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ 16 საათზე დაიწყება.

„ლოკომოტივისა“ და „ყოჩების“ პაექრობა ყოველთვის საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა და წინასწარ გამარჯვებულის გამოცნობა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. ამჟამად „ყოჩებს“ მძიმე დროება უდგას. გუნდი სეზონის წინ რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. ამას ხშირი ტრავმიანობაც დაერთო. გუნდმა ორი თამაშიდან ორივე წააგო და, რაც მთავარია, მისთვის დამახასიათებელი ბოლომდე მებრძოლი სულიც სადღაც დაკარგა. შესაძლოა, ამაზე გავლენა მთავარი მწვრთნელის **ლევან მგელაძის** არყოფნამ იქონია, რომელიც საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელია და იმ დროისთვის საფრანგეთში, ევროპის ჩემპიონატზე იმყოფებოდა.

„ლოკომოტივის“ აქამდე განვლილი გზის შესახებ უკვე ვთქვით. ტრავმიანობამ რკინიგზელებსაც დაატყო ხელი. განვლილ შეხვედრებში არ უთამაშიათ და, სავარაუდოდ, დღესაც ვერ დაეხმარებიან გუნდს ლიდერები **დავით გასვიანი, ზვიად მაისურაძე** და **ლევან გენებაშვილი.** ხუთი სათამაშო კვირითაა დისკვალიფიცირებული მესამეხაზელი **გრიგოლ ნიშნიანიძე.**

ერთი სიტყვით, მიუხედავად ასეთი სერიოზული დანაკლისისა, „ლოკომოტივის“ შერკინების უპირატესობა მაინც იმდენად დიდია, რომ წესით, მეტოქის დამარცხება არ უნდა გაუჭირდეს.

გათამაშების ლიდერი ქუთაისის „აია“ მალთაყვაში უმასპინძლებს თბილისის „არმაზს“. ქუთათურებმა სეზონი წარმატებულად დაიწყეს. მათ რუსთავის „ხარებთან“ დამაჯერებელ საშინაო გამარჯვებას, თბილისში „აკადემიასთან“ მოგება მიაყოლეს.

„აია“ წლეულს ბევრად უფრო სოლიდურად და ორგანიზებულად გამოიყურება. ქუთათურებს საკმაოდ მძიმე, მობილური შერკინების მოთამაშეები ჰყავთ, რომლებსაც მთელი მატჩის განმავლობაში შეუძლიათ მოწინააღმდეგის მუდმივად შევიწროება.

მორკინალებს მხარს უკანახაზელებიც უბამენ. საქართველოს ნაკრების წევრებს, **ბესიკ ხამაშურიძესა** და **ირაკლი ჩხიკვაძეს** საფრანგეთიდან მობრუნებული შუამარბი **ირაკლი გიორგაძე** დაემატა, რომელმაც ამ რგოლის თამაში ბევრად ეფექტური და მოწინააღმდეგისთვის კიდევ უფრო სახიფათო გახადა.

„არმაზმა“ წინა ტურში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა „ყოჩებთან“. ამით არმაზელებმა გააქარწყლეს მოარული მოსაზრება, რომ თითქოს გასავარდნად განწირულები არიან. ეს გუნდი ყოველთვის გამორჩეოდა ბრძოლისუნარიანობით, თუმცა საშემსრულებლო დონე მაღალი არასდროს ჰქონია. „არმაზს“ წლეულს საკმაოდ ბევრი პრობლემა აქვს დაცვაში თამაშისას. ორ მატჩში არმაზელებმა რვა ლელო მიიღეს, საშუალოდ თამაშში - ოთხი. ეს საკმაოდ უარყოფითი მაჩვენებელია.

შარშანდელ ჩემპიონატში „აიას“ არმაზელებთან თამაში უჭირდა, რაც უნინარესად მეტოქის არასათანადოდ შეფასებას უნდა დავაბრალოთ. თუ ქუთათურები ამჟამად საქმეს მეტი სერიოზულობით მოეკიდებიან, წესით, სტუმრებს დიდი ანგარიშით უნდა მოუგონ.

ურთულესი გამოცდის ჩაბარება მოუწევს რუსთავში, „ხარებთან“ მატჩში თბილისის „აკადემიას“. რუსთაველებმა, რომლებმაც შარშანდელი ჩემპიონატის მეორე წრეში შესანიშნავად იასპარეზეს, წლევანდელი პირველობის სტარტზე ორივე თამაში წააგეს და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე არიან.

„ხარები“ სეზონის დაწყების წინ ორი მორაგბით გაძლიერდა. **პალიკო ჯიმშელაძე** და **კახაბერ უჩავა** საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მოთამაშეები არიან, მაგრამ როგორც ჩანს, მათი გუნდის სხვა წევრებთან შეთამაშება ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა.

„აკადემია“ კი პირიქით - წლეულს უკეთ გამოიყურება. მათი თამაში უფრო ორგანიზებული გახდა. აკადემიელები არც ბრძოლისუნარიანობის არქონას უჩივიან, თუმცა ფიზიკური კონდიციები ნამდვილად გასაუმჯობესებელი აქვთ.

რუსთავში ძალიან მწვავე ბრძოლა იქნება. ამ წყვილში გამარჯვებულის წინასწარ გამოცნობა შეუძლებელია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 2 | 2 | 0 | 0 | +53 | 4 |
| 2.ლელო | 2 | 2 | 0 | 0 | +32 | 4 |
| 3.ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 0 | +2 | 2 |
| 4.არმია | 2 | 1 | 0 | 0 | -4 | 2 |
| 5.არმაზი | 2 | 1 | 0 | 0 | -8 | 2 |
| 6.აკადემია | 2 | 1 | 0 | 1 | -14 | 2 |
| 7.ყოჩები | 2 | 0 | 0 | 2 | -20 | 0 |
| 8.ხარები | 2 | 0 | 0 | 2 | -41 | 0 |


აკადემია-აია

ზე რაგბი


ჰაილენდერზ-ბლუზი

# ხარები და ჯვაროსნები გზაგასაყარზე

ზე რაგბის გათამაშების მე-11 ტური B ჯგუფის ლიდერმა ოქლენდის „ბლუზმა“ სტუმრად დანიდინის „ჰაილენდერზთან“ გამარჯვებით გახსნა - 15:10.

ალსანიშნავია, რომ პირველი ნახევარი ოქლენდელების სრული უპირატესობით წარიმართა. ტაიმი „ბლუზმა“ მშრალი ანგარიშით 9:0 მოიგო. მასპინძლები შესვენების შემდეგ გააქტიურდნენ, თუმცა მატჩის გადარჩენა ვერ შეძლეს. შეხვედრა დანიდინელთა ფულბეკისა **რობი რობინსონისა** და „ბლუზის“ შუამარბის **ლუკ მაკალისტერის** დუელად გადაიქცა. რობინსონმა თითო ლელო, გარდასახვა და საჯარიმო გაიტანა (10 ქულა). მაკალისტერმა კი ხუთი საჯარიმო მიითვალა (10 ქულა) .

B ჯგუფის მეორეადგილოსანი ქრაისოჩერჩის „კრუსეიდერზი“ სტუმრად ეთამაშება პერთში „ფორსს“. „ჯვაროსნებმა“ აუცილებლად უნდა მოიგონ, წინაალმდეგ შემთხვევაში ზე რაგბის საუკეთესოს ტიტულისთვის ბრძოლის გაგრძელება გაუჭირდება.

ქრაისოჩერჩელებს ტრავმის მოშუშების შემდეგ დაუბრუნდათ ლიდერი რიჩი მაქკოუ, რომელიც მისთვის უჩვეულო რვა ნომრის პოზიციაზე ითამაშებს.

„კრუსეიდერზის“ შემადგენლობაში კიდევ სამი სიახლეა. პირველ ხაზში **კორინ ფლინი** და **ბენ ფრენქსი** შესაბამისად **ქვენტინ მაკდონალდს** და **ოუენ ფრენქსს** შეცვლიან. **ლუკ რომანო** მეორე ხაზში ტრავმირებული **ბრედ თორნის** ნაცვლად **კრის ჯეკს** შეუწყვილდება.

*„სასურველია, რომ პერთში წარმატებულად ვიასპარეზოთ. საგულისხმოა, რომ „ფორსი“ ყოველთვის გაათმაგებული ენერგიით გვებრძვის. რიჩი მაქკოუს დაბრუნება და კი იმედს გვაძლევს, რომ გუნდი ბევრად უკეთ ათამაშდება“* - თქვა „კრუსეიდერზის“ მთავარმა მწვრთნელმა **ტოდ ბლეკედერმა.**

ალსანიშნავია, რომ ქრაისთჩერჩელებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე მაინც დააკლდებათ. დაშავებულნი არიან და ჯერაც გაურკვეველია როდის შეძლებენ თამაშს **ენდი ელისი, დენ კარტერი** და **სემ ვაითლოქი.**

საინტერესო იქნება სიდნეიში, A ჯგუფის მეორეადგილოსანის „ვორთაზის“ დაპირისპირება „მელბურნ რებლზთან“. ალსანიშნავია, რომ მელბურნელთა დებიუტი ზე რაგბის გათამაშებაში სწორედ სიდნეელებთან მატჩში შედგა. მაშინ „რებლზმა“ მშრალი ანგარიშით 0:43 წააგო.

მელბურნული გუნდის ყველაზე სუსტი მხარე დაცვაა. გუნდმა ცხრა მატჩში 43 ლელო გაუშვა. გუნდის მთავარ მწვრთნელ **როდ მაკქუინს** მოთმინების ფიალა აევსო. მან დიდხანს უყურა ინგლისელ მგეზავ **დენი სიპრიანის**, როდის გამოასწორებდა დაცვაში თამაშს. დენის არაფერი ეშველა და მაკქუინმა „ვორათაზთან“ მატჩისთვის სათადარიგოთა სკამზე გაამწესა. მის ნაცვლად 20-წლის **ჯეიმზ ჰინგელდორფი** ითამაშებს.

„რებლზი“ დღესდღეობით სულ სხვა გუნდია. ისინი გასული ათი კვირის განმავლობაში საგრძნობლად მოლონიერდნენ და სერიოზულ ძალად იქცნენ ნებისმიერი მოწინაალმდეგისთვის. ასე რომ, უშელავათო ბრძოლა გველის“ - თქვა „ვორათაზის“ თავკაცმა **კრის ჰიკიმ.**

უმძიმეს მდგომარეობაშია ზე რაგბის შარშანდელი ჩემპიონი პრეტორიის „ბლუ ბულზი“, რომელიც შინ მასპინძლობს ჰემილთონის „ჩიფსს“. პრეტორიელებმა მეტოქეს აუცილებლად უნდა სძლიონ, წინაალმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ტიტულს დაემშვიდობონ.

წინა ტურში „ფორსთან“ წაგების შემდეგ, „ლურჯი ხარების“ მთავარმა მწვრთნელმა **ნიკ ლუდეკმა** შერკინების კვაჭის, **ჩილიბოი რელეპელეს** ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში **გარი ბოთა** დააყენა. გუნდს დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული მგეზავი **მორნი სტეინი.** პრეტორიელთა ქომაგებს ძალიან ალელვებთ ცხრა ნომრის **ფური დუ პრისა** და მესამეხაზელის პიერ სპისის სუსტი თამაშიც. ერთი სიტყვით, „ბლუ ბულზი“ გზაგასაყარზე დგას და ვნახოთ, რა მიმართულებას აირჩევს სამხრეთ აფრიკის უძლიერესი კლუბი.

**XI ტური**

**A ჯგუფი**

ვორათაზი-მელბურნ რებლზი, ფორსი-კრუსეიდერზი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. რედსი - 39 ქულა, 2. ვორათაზი - 28, 3. ბრამბიზი - 21, 4. ფორსი - 20, 5. მელბურნ რებლზი - 19.

**B ჯგუფი**

ჰაილენდდრზი-ბლუზი 10:15, ჰარიკენზი-რედსი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბლუზი - 39 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 35, 3. ჰაილენდერზი - 34, 4. ჩიფსი - 21, 5. ჰარიკენზი - 18.

**C ჯგუფი**

ჩიტაზი-ბრამბიზი, ბლუ ბულზი-ჩიფსი, სტორმერზი-ნატალ შარქსი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტორმერზი - 37 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 34, 3. ბლუ ბულზი - 22, 4. ჩიტაზი - 15, 5. ლაიონზი - 10.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge



# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაკლებად ცნობილი ასპარეზობები

## ფილდბოლი

ფილდბოლი (ინგლ. Fieldball<field — მინდორი, ball — ბურთი). სახელწოდება, რომელიც ანგლო-საქსურ კულტურაში ორ სხვადასხვა სპორტულ თამაშს აღნიშნავს. მათგან პირველი ხელბურთისა და ფეხბურთის ერთგვარი კომბინაციაა. შეხვედრები ტარდება 54,86 მ-ის სიგრძისა და 40,48 მ-ის სიგანის მოედანზე. თითოეულ გუნდში 11-11 მოთამაშეა. მათი მიზანია მოწინააღმდეგის კარში ბურთის გატანა. თამაში განკუთვნილია გოგონებისთვის და გავრცელებულია ძირითადად ქალთა სკოლებში. ამერიკაში ფილდბოლს უწოდებენ 11-კაციან ხელბურთს. მართალია, ხელბურთის ამ სახეობაში საერთაშორისო მატჩები აღარ იმართება, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ის კვლავაც პოპულარულია, განსაკუთრებით ზოგიერთ კოლეჯში. ამერიკული 11-კაციანი ხელბურთი თავისი პროტოტიპისგან ზოგიერთი დეტალით განსხვავდება. იგი XX საუკუნის 40-იან წლებში ჩამოყალიბდა. მოედნის სიგრძეა 91,44-100,58 მ, სიგანე — 54,86 მ. კარის სიგრძეა 3,05 მ, სიმაღლე — 2,44. ბურთის გარშემოწერილობაა 60,96 მ. საჯარიმო მოედნის სიგრძეა 18,23 მ, სიგანე — 5,49 მ. მეკარე გუნდის ერთადერთი წევრია, რომელსაც უფლება აქვს, ბურთს ფეხი დაარტყას. მოთამაშეს 3 წამზე მეტხანს ეკრძალება ბურთის ფლობა და არ შეუძლია ბურთით ხელში სამ ნაბიჯზე მეტი გადადგას. ტარდება ორი ტაიმი, თითოეულის ხანგრძლივობაა 30 წთ (ქალებისა და იუნიორების მატჩებში — 20 წთ). ამერიკული საერთაშორისო ენციკლოპედიის ცნობით, ფილდბოლი გერმანული წარმომავლობის თამაშია.



## რომ არა ფეხბურთი...

**უეინ რუნი** ერთ-ერთ ინტერვიუში ასე ამბობს: „თუკი ვინმეს ჰგონია, რომ თავიდანვე ფეხბურთს გავყევი — ძალიან ცდება. თავიდან კრივზე დავდიოდი და მინდოდა, მოკრივე გამოვსულიყავი, მაგრამ... არ გამოვიდა. მერე კი ფეხბურთზე შევედი და ახლა პროფესიონალი მოთამაშე ვარ! რომ არა ფეხბურთი, მოკრივე ვიქნებოდი".

**მესუთ იოზილი:** „ძალიან მიყვარდა (და დღემდე მიყვარს) დიჯეი და დიჯეაიდ მუშაობა. ეს ძალიან კარგი ხელოვნებაა, რომელსაც მე ადრე მივსდევდი, მაგრამ შემდეგ ისე მოხდა, რომ ფეხბურთელი გამოვედი და არც შევმცდარვარ — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მადრიდის „რეალში" ვთამაშობ. ფეხბურთელი რომ არ გამოვსულიყავი, დიჯეი ვიქნებოდი".

**მოგვაწოდა გიორგი ფულარიანმა**




**1936 წელი. გარმიშ-პარტენკირხენი გერმანია ზამთრის IV ოლიმპიური თამაშების ემბლემა და მედალი**

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** კრივის კლუბი „ფაგილისტიკ ქლაბ" შეიქმნა ლონდონში 1812 წელს. აქ კრივში ვარჯიშობდა **ჯორჯ ბაირონიც**.

■ ■ ■

**პირველმა** ყველაზე ახალგაზრდულ ასაკში კრივში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა **ტომას უინტერმა** (მეტსახელად „ტომი სპრინგი". ტომასი მაშინ 19 წლისა იყო. ეს მოხდა 1814 წლის 12 ივნისს).

■ ■ ■

**პირველად** ორი ქალი ციგურებით რბოლაში ერთმანეთს შეეჯიბრა ჰოლანდიაში 1794 წელს, გრონინგენის მახლობლად.

## თარიღი. 30 აპრილი - 6 მაისი

**30. 04. 1902 წ.** შეიქმნა ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაცია

**01. 05. 1899 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „აინტრახტი" (გერმანია)

**02. 05. 1935 წ. დაიბადა ლუის სუარესი** — ფეხბურთი (ესპანეთი)

**03. 05. 1898 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ფერენცვაროში" (ბუდაპეშტი, უნგრეთი)

**04. 05. 1924 წ.** პარიზში საზეიმოდ გაიხსნა ზაფხულის VIII ოლიმპიური თამაშები

**04. 05. 1900 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ნიურბერგი" (გერმანია)

**04. 05. 1949 წ.** ავიაკატასტროფაში დაიღუპნენ საფეხბურთო კლუბი „ტორინოს" (იტალია) ფეხბურთელები

**05. 05. 1912 წ.** სტოკჰოლმში (შვეცია) საზეიმოდ გაიხსნა ზაფხულის V ოლიმპიური თამაშები

**06. 05. 1895 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ფორტუნა" (დიუსელდორფი, გერმანია)



სუარესი

## ვიქტორინა. თქვენთვის, ერუდიტებო

**1) რა ჰქვია ინგლისის, უელსის, შოტლანდიისა და ირლანდიის მორაგბეთა გაერთიანებულ გუნდს?**

ა – ინგლისელი ვეფხვები

ბ – ბრიტანელი და ირლანდიელი ლომები

გ – ბრიტანელი ლომები

**2. დედამიწაზე რამდენი 8 ათასმეტრიანი მწვერვალია?**

ა – რვა

ბ – თორმეტი

გ – თოთხმეტი

**3. რა ჰქვია უსინათლოებისთვის გამოგონილ ბურთით თამაშს?**

ა – გოლბურთი

ბ – ლოგფი

გ – ბრაილბურთი

**4. ვის უწოდებენ „თოვლის ჯიქს"?**

ა – სამთომოთხილამურეებს

ბ – მთამსვლელებს

გ – ბიატლონისტებს

**5. ვინ იყო სანტიაგო ბერნაბეუ?**

ა – „რეალის" ფეხბურთელი

ბ – „რეალის" პრეზიდენტი

გ – „რეალის" ჯერ ფეხბურთელი, შემდეგ პრეზიდენტი

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-გ

## ღვთისავარ ანთაძის კუთხე

### ფეხბურთი ახლო ხედით

### გაძევება

მსაჯი ფეხბურთელს აძევებს, თუკი იგი მიიღებს ორ გაფრთხილებას (ყვითელ ბარათს). მაგრამ ფეხბურთელის გაძევება (წითელი ბარათის ჩვენება) შესაძლოა მოხდეს პირდაპირ, გაფრთხილებების მიღების გარეშე.

მსაჯი მოთამაშეს აძევებს, თუკი იგი:

ა) უხეშ და არასპორტულ საქციელს ჩაიდენს;

ბ) უხეშად ითამაშებს;

გ) გამოიყენებს შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ სიტყვებს;

უხეში თამაში — ეს არის მოწინააღმდეგეზე ძალისმიერი მოქმედება, თუკი ფეხბურთელმა იგი განზრახ ჩაიდინა ან ცდილობდა მოწინააღმდეგისათვის ტრავმა მიეყენებინა.

გაძევებული ფეხბურთელი ავტომატურად ტოვებს იმავე რანგის ტურნირზე შემდეგ მატჩს. შესაძლოა სადისციპლინო კომიტეტმა ფეხბურთელი ერთ მატჩზე მეტით დასაჯოს, საქციელის შესაბამისად, თუმცა მისი გასაჩივრება შესაძლებელია.




## თავსატეხი „ანთა"

„ანთა" ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

*შენიშვნა: თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.*

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | | | | | | | | 5-1 | 9 | I |
| B | | ■ | | | | | | | 2-2 | 4 | II |
| C | | | ■ | | | | | | 1-2 | 3 | III |
| D | | | | ■ | | | | | 2-5 | 1 | IV |

**წინა ამოცანის პასუხი**

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | 1:0 | 1:0 | 2:1 | 3 | 3 | 0 | 0 | 4-1 | 9 | I |
| B | 0:1 | ■ | 1:0 | 3:2 | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 | II |
| C | 0:1 | 0:1 | ■ | 5:0 | 3 | 1 | 0 | 2 | 5-2 | 3 | III |
| D | 1:2 | 2:3 | 0:5 | ■ | 3 | 0 | 0 | 3 | 3-10 | 0 | IV |

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. საფეხბურთო მატჩები მადრიდის "რეალსა" და კატალონიურ "ბარსელონას" შორის; 5. „გალათასარაისა" და თურქეთის ნაკრების მცველი; 9. ნორვეგიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი; 10. თბილისის "დინამოს" ყოფილი მცველი, გურამ...; 12. დედამიწის სიმაღლით მეექვსე მწვერვალი; 13. სარეკლამო ხასიათის გრაფიკული გამოსახულება; 14. XX-ს-ის შუა წლების ცნობილი იტალიელი თავდამსხმელი; 15. ნჰლ-ში მოთამაშე ერთ-ერთი რუსი ჰოკეისტი; 17. ძველებური შუბი; 18. ცხენთსარბიელი; 24. ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი კოლუმბიური ფეხბურთის ისტორიაში; 26. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი; 27. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მეკარე; 28. ბელგრადის საფეხბურთო კლუბი; 29. მუნდიალი 2010-ის საუკეთესო ფეხბურთელი; 30. ცნობილი მალაიზიელი ავტომრბოლელი.

**შვეულად:** 2. კურორტი, სადაც ჩატარდა 1994 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები; 3. ნბა-ში მოთამაშე პირველი ქართველი კალათბურთელი; 4. რბოლა მიკროავტომობილებით; 6. უკრაინის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი; 7. ფორმულა 1-ის შოტლანდიელი მრბოლი; 8. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 11. სიმფეროპოლის "ტავრიას" ყოფილი ქართველი ნახევარმცველი; 16. ყველაზე წარმატებული ჩეხი სპორტსმენი ფიგურულ ციგურაობაში; 19. იტალიური "ბრინდიზის" ფრანგი კალათბურთელი; 20. მარსელის საფეხბურთო კლუბი; 21. კოლუმბიელი მეკარე, "მორიელის დარტყმის" გამომგონებელი; 22. ცნობილი არგენტინელი პროფესიონალი ჩოგბურთელი ქალი; 23. სერბეთის საფეხბურთო კლუბი "... ზვეზდა"; 25. XI ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი; 27. ბრაზილიელი ფეხბურთელი, ნაკრების ყოფილი კაპიტანი; 28. ჩოგბურთელი ... სამპრასი.

*პასუხები მომდევნო ნომერში*

*შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ*

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

● ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/8 ფინალი



რინე მარტო იბრძოდა

# ჩემპიონი მოგებით იწყებს

სტენლის თასის მეორე ეტაპი „ვანკუვერისა“ და „ნეშვილის“ მატჩით გაიხსნა. რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდს სულაც არ ეტყობოდა ფიზიკური და ემოციური დაღლა „ჩიკაგოსთან“ შვიდმატჩიანი უმძიმესი სერიის შემდეგ.

**ალენ ვინიოს** გუნდი დაფრინავდა Rogers Arena-ის ყინულზე. **რაიან კესლერმა** პირველი 16 ჩაგდებიდან 14 მოიგო, **კევინ ბიეკსა** და **კრის ჰიგინსი** ძალიან ხისტად თამაშობდნენ - პირველს ხუთი ძალისმიერი ილეთი ჰქონდა, მეორეს - ოთხი, ძმები **სედინები** კი შეტევაში დომინირებდნენ.

„ნეშვილმა“ შეტევაში სრული უუნარობა გამოავლინა და მატჩის მთელი სიმძიმე მის მეკარეს **პეკა რინეს** დაატყდა თავს. სწორედ მისი და იღბალის დამსახურებაა, რომ ამ მატჩში „ვანკუვერმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა.

რინემ 29 დარტყმა მოიგერია, აქედან 25 პირველ ორ პერიოდზე მოდის. ფინელი მეკარისგან ყველაზე მეტად ძმები სედინები დაზარალდნენ - მათ ერთად ექვსი ზუსტი დარტყმა შეასრულეს, მაგრამ უშედეგოდ.

რინეს კოლეგას **რობერტო ლუონგოს** ნაკლები სამუშაო ჰქონდა - მან ჯამში 20 დარტყმა მოიგერია. ის ყინულზე მესამე პერიოდში გამოვიდა, როცა „ნეშვილმა“ შტურმისმაგვარი მოაწყო მეტოქის კართან. ლუონგომ თავისი საქმე კარგად გააკეთა და ამ პლეი ოფში მეორე „შათაუტი“ შეასრულა, არადა კანადელი გოლკიპერის ანგარიშზე წინა სამ გათამაშებაში მხოლოდ ერთი „მშრალი“ მატჩი მოდიოდა. ყველაზე რეალური მომენტი „ნეშვილს“ სწორედ მესამე პერიოდში ჰქონდა, როცა მეკარესთან პირისპირ გავიდა **მაიკ ფიშერი**, მაგრამ ლუონგოს ვერ აჯობა.

ისე კი ფიშერმა და სტუმრების სხვა სამმა ლიდერმა - **ერატმა, კოსტიცინმა** და **ლეგუანდმა** ერთად ჯამში ოთხი დარტყმა შეასრულეს. ასეთი აქტიურობით რთულია რეგულარულის ჩემპიონის დამარცხება.

ერთადერთი გოლი კი **ჰიგინსმა** გაიტანა. სხვათა შორის, „ჩიკაგოსთან“ წინა სერიის პირველ მატჩშიც გამარჯვების შაიბა სწორედ მის ანგარიშზე იყო.

„ვანკუვერის“ გულშემატკივართა შეშფოთების ერთადერთი მიზეზია რაიან კესლერი. მისი უგოლო სერია რვა მატჩამდე ავიდა, არადა, რეგულარულში ეს ჰოკეისტი „კენაქსის“ საუკეთესო სნაიპერი იყო (41 გოლი).

**დასავლეთი**

**ვანკუვერი-ნეშვილი 1:0**

**0:0, 1:0, 0:0**

**გოლი:** 1:0 ჰიგინსი-2 (ლაპიერი-1, ბიეკსა-3).
**სერია:** 1-0




# ვინ გახდება MVP?

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ დაასახელა სამი ჰოკეისტი, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულზე. სამივე ფორვარდია: **კორი პერი** „ანაჰაიმიდან“, **დანიელ სედინი** „ვანკუვერიდან“ და **მარტინ სენტ ლუისი** „ტამპა ბეიდან“. ეს ჰოკეისტები გასული რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირთა პირველ სამეულში შევიდნენ.

სედინმა სეზონში 104 ქულა (41 გოლი+63 პასი) დააგროვა და პირველი ბომბარდირი გახდა. შარშან სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დანიელის ტყუპისცალი - **ჰენრიკ სედინი** დასახელდა და წელს დანიელის აღიარების შემთხვევაში, NHL-ის ისტორიაში პირველად მოხდება, როცა ზედიზედ ორი წლის განმავლობაში ლიგის ყველაზე პრესტიჟულ პრიზს ძმები დაეუფლნენ.

კორი პერი რეგულარულის საუკეთესო სნაიპერი გახდა - ის ერთადერთი ჰოკეისტია, ვინც სეზონში 50 შაიბა გაიტანა. პერიმ ჯამში 98 ქულა დააგროვა. განსაკუთრებით კარგად ითამაშა მან რეგულარულის ბოლოს, როცა 16 მატჩში 19 გოლი გაიტანა და თავის გუნდს დასავლეთში მეოთხე ადგილი მოუტანა.

ამ სამეულში მარტინ სენტ ლუისია ერთადერთი, ვინც ერთხელ უკვე ფლობდა ამ პრიზს - ის 2004 წელს გახდა MVP. „ტამპას“ ფორვარდმა 99 ქულით (31+68) დაასრულა სეზონი. ეს ჰოკეისტი „ლიგის ჯენტლმენის“ პრიზზეც არის წარდგენილი - მთელი წლის განმავლობაში მას მხოლოდ 12 საჯარიმო წუთი დაუგროვდა.

სეზონის ინდივიდუალური პრიზები 22 ივნისს ლას ვეგასში დარიგდება.

● კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# ერთი დარჩა გასარკვევი

„სან ანტონიოსა“ და „მემფისის“ სერია ერთადერთია, რომელშიც გამარჯვებული ჯერ არ გარკვეულა. გუშინ კიდევ სამ წყვილში გამოვლინდა უძლიერესი. დასავლეთში ერთი მეოთხედფინალური დუეტი „ლეიკერსმა“ და „დალასმა“ შეადგინეს, აღმოსავლეთში კი „ბოსტონი“ „მაიამის“ შეხვდება, „ატლანტა“ - „ჩიკაგოს“.

**დასავლეთი**

**ნიუ ორლეანი-ლეიკერსი 80:98**

**(16:18, 18:22, 23:29, 23:29)**

**ნ-ო:** ლენდრი (19), არიზა (12+5 მოხსნა+5 პასი), ბელინელი (11), პოლი (10+11 პასი+8 მოხსნა), გრინი (9), ოკაფორი (7+7 მოხსნა), ჯეკი (6), სმიტი (4), პონდექსტერი (2).

**ლ:** ბრაიანტი (24), ბინუმი (18+12 მოხსნა), გასოლი (16+8 მოხსნა), ოდომი (14+8 მოხსნა), ბარნსი (8+5 მოხსნა), ბრაუნი (8), ფიშერი (6), არტესტი (4+5 მოხსნა+5 პასი).

**სერია:** 2-4

მოქმედმა ჩემპიონებმა აღარ მიიყვანეს საქმე მეშვიდე მატჩამდე და სტუმრად დამაჯერებლად დაამარცხეს „ნიუ ორლეანი“. სწორედ მეექვსე შეხვედრამ დაამტკიცა, რომ ამ გუნდებს შორის კლასში შესამჩნევი განსხვავებაა. როცა **კრის პოლი** უმაღლეს დონეზე თამაშობდა, „ჰორნეტსი“ სერიას უნარჩუნებდა ინტრიგას, მაგრამ, როგორც კი ამ ბრწყინვალე პლეიმეიკერმა უკლო თამაშს, მისი გუნდი მაშინვე ფსკერზე დაეშვა. „ლეიკერსში“ საკმარისად არიან მოთამაშეები, რომლებიც **კობი ბრაიანტისა და პაუ გასოლის** ცუდი თამაშის კომპენსირებას მოახდენენ, პოლს კი ასეთი მხოლოდ **ტრევორ არიზა** ჰყავდა.

გუშინდელ მატჩში „ლეიკერსის“ უპირატესობა სამწამიან ზონაში ტოტალურმა დომინირებამ განაპირობა. მათ გზა გადაუკეტეს პოლს, ბოლოსკენ კი ეს უპირატესობა კოლოსალური გახდა. გარდა იმისა, რომ სტატისტიკაში იყო დიდი განსხვავება, „ლეიკერსმა“ ყველა მნიშვნელოვან ეპიზოდში მოიგო ფარზე ბრძოლა. ასე რომ, მასპინძლებს გადარჩენის მინიმალური შანსიც არ ჰქონდათ. მას შემდეგ, რაც მესამე მეოთხედის შუაში სხვაობამ ორნიშნა რიცხვს მიაღწია, უპირატესობა საფინალო სირენამდე მხოლოდ იზრდებოდა.

**პორტლენდი-დალასი 96:103**

**27:19, 16:33, 19:23, 34:28**

**პ:** უოლასი (32+12 მოხსნა), ოლდრიჯი (24+10 მოხსნა), მეტიუზი (19), როი (9), მილერი (5), ფერნანდესი (3), კემბი (2+9 მოხსნა), ჯონსონი (2).

**დ:** ნოვიცკი (33+11 მოხსნა), ტერი (22+8 პასი), მერიონი (16+6 მოხსნა), ჩენდლერი (9+7 მოხსნა), კიდი (7+6 პასი), ბარეა (7), სტოიაკოვიჩი (6), სტივენსონი (3).

**სერია:** 2-4

„დალასმა“ მიბაძა თავის მომავალ მეტოქეს „ლეიკერსს“ და არც მან გააგრძელა სერია შვიდ მატჩამდე. ეს მნიშვნელოვანი იყო, რადგან „კოვბოების“ მარცხის შემთხვევაში „ლეიკერსს“ უფრო მეტი დასვენების საშუალება მიეცემოდა.

მასპინძლებისთვის ყველაფერი კარგად იწყებოდა - **ლამარკუს ოლდრიჯის** ტყორცნის შემდეგ ანგარიში 17:7 გახდა „პორტლენდის“ სასარგებლოდ. საერთოდ, იმ საღამოს ოლდრიჯისა და **ჯერალდ უოლასის** წყვილი ბრწყინვალედ გამოიყურებოდა და ისე ჩანდა, რომ მათ მიერ აღებული ტემპი ბოლომდე შენარჩუნდებოდა. მასპინძლების სასარგებლოდ ისიც ლაპარაკობდა, რომ ამ გუნდებმა წელს უკვე ცხრა მატჩი ჩაატარეს ერთმანეთში და ყოველთვის გამარჯვებული მასპინძელი გამოდიოდა.

მაგრამ ამჯერად ტრადიცია დაირღვა. თუმცა მარცხის თავიდან ასაცილებლად „პორტლენდმა“ არასპორტული მეთოდებიც გამოიყენა. მასპინძლების ახალბედამ **კრის ჯონსონმა** (სხვათა შორის, D-ლიგის საუკეთესო დამცველმა) სახეში ჩაარტყა თვით **დირკ ნოვიცკის**. ეპიზოდი ძალიან ულამაზოდ ჩანდა. გერმანელმა თავის სტილში გადაუხადა სამაგიერო - შედეგიანი თამაშით. მეორე მეოთხედში დირკმა 13 ქულა დააგროვა, მისმა გუნდმა კი ისეთი ტემპი აიღო, რომ მასპინძლები უბრალოდ დაიბნენ.

„ბლეიზერსი“ მხოლოდ ბოლოსკენ გამოცოცხლდა. 17-ქულიანი ჩამორჩენა მინიმუმამდე შემცირდა - 85:86 **ჯერალდ უოლასის** გაქცევის შემდეგ. მაგრამ **ჯეისონ კიდის** სამქულიანმა, **ჯეისონ ტერის** ორმა საშუალო ტყორცნამ და ნოვიცკის ზედიზედ რვა ზუსტმა საჯარიმომ გაცოცხლებული ინტრიგა გააქრო.

**აღმოსავლეთი**

**ატლანტა-ორლანდო 84:81**

**23:18, 19:18, 20:19, 22:26**

**ა:** ჯონსონი (23+10 მოხსნა), კროუფორდი (19), ჰაინრიხი (11), ჰორფორდი (10+12 მოხსნა+6 პასი), უილიამსი (10), სმიტი (8), კოლინზი (2), ფაჩულია (1+5 მოხსნა).

**ო:** ჰოვარდი (25+15 მოხსნა), თურქოგლუ (15), ნელსონი (11+6 პასი), ჯ. რიჩარდსონი (7), ბასი (6), რედიკი (6), არენასი (6), ანდერსონი (5).

**სერია: 4-2**



ნოვიცკი დღის გმირი იყო

● სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# კულმინაცია იწყება

შეფილდში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა ნახევარფინალისტი გამოვლინდა. პირველად საუკეთესო სნუკერისტთა ოთხეულში მოხვდა **დინ ჯუნჰუ**. მას შემდეგ, რაც „აღმოსავლელი ვარსკვლავი“ **მარკ სელბისთან** პირველ სესიაში 5:3 დაწინაურდა, იქედან მოყოლებული უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია. უფრო მეტიც, მეორე სესიის შედეგების მიხედვით ჩინელმა კიდევ უფრო გაიმყარა უპირატესობა - 10:6.

პირველ ეტაპზე ჰენდრის დამაჯერებლად დამარცხების შემდეგ, სელბი მოულოდნელად სათამაშო პრობლემებს წააწყდა. თუმცა ინგლისელს კარგად წაადგა მეორე სესიის შემდეგ შესვენება და სანამ დინი დაბნეული იჯდა სავარძელში, მისმა მეტოქემ ზედიზედ ოთხი ფრეიმი აიღო, რასაც ხელი შეუწყო 55,86 და 92-ქულიანმა ბრეიკებმა - 10:10!

მაგრამ ამის შემდეგ სელბიმ ვერ გამოიყენა ფსიქოლოგიური უპირატესობა, ჯუნჰუმ კი 70-წუთიანი (!) პაუზის შემდეგ პირველი ბურთი ჩააგდო და ის შეუჩერებელი გახდა - 13:10.

**რონი ო'სალივანს** ჩემპიონატის წინ ფსიქოლოგისგან მიღებული დახმარება მხოლოდ მეოთხედფინალამდე ეყო. თუმცა **ჯონ ჰიგინსს** გაუჭირდა რონის დამარცხება, ასე რომ, ინგლისელის თაყვანისმცემლებს ჯერ კიდევ რჩებათ მათი კერპის საბოლოოდ „გაცოცხლების“ იმედი.

ისევე როგორც პირველი სესია, მეორეც ფრედ დასრულდა და გადამწყვეტი სესიის წინ ანგარიში იყო - 8:8. არადა, რონი ლიდერობდა, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო, რაშიც მეტოქეზე მეტი შეცდომა უშლიდა ხელს.

თანაბარი თამაში მესამე სესიაში გაგრძელდა. ჰიგისი წინ გავიდა, მაგრამ ო'სალივანმა 116-ქულიანი სენჩურით უპასუხა. ამის შემდეგ რონმა მეტოქის შეცდომით ვერ ისარგებლა და დაკარგა ლიდერობის დაბრუნების შანსი.

38 და 65-ქულიანმა ბრეიკებმა ჰიგინსს ორი ფრეიმით დაწინაურების საშუალება მისცა. მას უკვე ერთი პარტია აშორებდა საბოლოო გამარჯვებამდე. ეს მოგება ო'სალივანმა აჩუქა, რომელიც 54-ქულიან სერიაში შეცდა და ამას ჯონმა 67-იანი ბრეიკით უპასუხა. ჰიგინსი ნახევარფინალში გადავიდა, სადაც **მარკ უილიამსთან** მოუწევს შეხვედრა.

**ჯად ტრამპმა** გააგრძელა მსოფლიოს ჩემპიონების გაგდება. ორ სესიაში 11:2 დაწინაურების შემდეგ, **გრემ დოტს** მხოლოდ სამი ფრეიმის მოგებისთვის ეყო ოსტატობა. შოტლანდიელი ბევრს ცდილობდა, მაგრამ 21 წლის ინგლისელი მისთვის გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა. 13:5 - ტრამპმა მორიგი სენსაცია შემოგვთავაზა და ნახევარფინალში დინ ჯუნჰუს დაუპირისპირდება.

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| მარკ სელბი-დინ ჯუნჰუ | 10:13 |
| ჯონ ჰიგინსი-რონი ო'სალივანი | 13:10 |
| გრემ დოტი-ჯად ტრამპი | 5:13 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


დინ ჯუნჰუ

ჩოგბურთი. ტურნირები

# ესტორილში ფავორიტები მოიცილეს

მამაკაცებმა მორიგ სათამაშო დღეს მერვედფინალური ეტაპი დაასრულეს. მიუნხენში ადგილობრივმა ჩოგბურთელებმა 50-პროცენტიანი შედეგი აჩვენეს - ორმა მოთამაშემ მეოთხედფინალში გააღწია და ორიც გამოეთიშა ბრძოლას. ორი წლის წინანდელმა ჩემპიონმა **ფილიპ კოლშრაიბერმა** გერმანულ დერბიში მოუგო **დენის გრემელმაიერს** - საათსა და ცხრა წუთში ორი სეტი გათამაშდა. სატურნირო ბადეში სხვა ჩოგბურთელის ტრავმის გამო მოხვედრილმა გრემელმაიერმა რვა ეისი ჩააწოდა, თუმცა ოთხივე ბრეიკ-პოინტი გაანიავა, იმ დროს, როცა კოლშრაიბერმა ექვსი ბრეიკ-პოინტიდან ნახევარი გამოიყენა, რამაც დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანა.


ვერდასკო წელს იშვიათად იგებს

ყველაზე მაღალ ნომრად განთესილმა გერმანელმა **ფლორიან მაიერმა** რუსი **თეიმურაზ გაბაშვილი** დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ მაიერისთვის ეს წელს მეხუთე მეოთხედფინალია ATP-ის ტურნირებზე.

ბელგრადშიც გაირკვა ყველა მეოთხედფინალისტი და აქაც დღემ ადგილობრივი ჩოგბურთელებისთვის მეტ-ნაკლებად წარმატებულად ჩაიარა.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა **იანკო ტიპსარევიჩმა**, რომელმაც **მიშა ზვერევს** მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო. ამასთან, გერმანელს არც ერთი ბრეიკ-პოინტი არ ჰქონია, ტიპსარევიჩმა კი ცხრა ასეთი შანსი მიიღო და ხუთი გამოიყენა. სერბს უდიდესი უპირატესობა ჰქონდა - საკუთარ მოწოდებაზე იანკომ მხოლოდ ათი ქულა წააგო, მეტოქისაზე - 15. მან, უბრალოდ, არ შეიმჩნია ზვერევის წინააღმდეგობა.

სამაგიეროდ წააგო მეორე სერბმა - მეორე ნომრად განთესილმა **ვიქტორ ტროიცკიმ**. ზვერევის მსგავსად მასაც არ ჰქონია შანსი ესპანელი **მარსელ გრანოლერსის** წინააღმდეგ. პირენეელი უფრო სტაბილურად თამაშობდა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრუნტის კორტებზე. საბოლოოდ, 13 ბრეიკ-პოინტიდან რვის გამოყენებით გრანოლერსმა უდიდესი უპირატესობა მიიღო და ორ სეტში გაიმარჯვა.

ასევე წააგო მესამე ნომრად განთესილმა **გილერმო გარსია-ლოპესმა**. ინდოელ **სომდევ დევარმანთან** მატჩში, რომელიც სამსაათ-ნახევარი გაგრძელდა, ესპანელმა ტაი-ბრეიკზე დათმო პირველი და მესამე სეტები, ისე კი მეტოქეზე მეტი ქულა აიღო.

სამაგიეროდ, ყველაფერი ლოგიკურად განვითარდა ესტორილში - იმ დღეს ჩატარებულ ოთხივე მატჩში განთესილმა ჩოგბურთელებმა გაიმარჯვეს.

**ფერნანდო ვერდასკო** პორტუგალიელ **ფრედერიკო ჟილს** 6:1, 5:1-ს უგებდა, როცა რიტმიდან ამოვარდა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა. თუმცა ესპანელმა შემოკლებული გეიმი თავის სასარგებლოდ დაასრულა და მეტოქეს მესამე სეტის შანსი არ მისცა. ვერდასკო ამ სეზონში ძალიან ცუდ სეზონს ატარებს - მისთვის ეს 2011 წელს მხოლოდ მეცხრე მოგება იყო.

გრუნტის კორტების მიუხედავად, **კევინ ანდერსონი** კარგად აწვდიდა და ამის ხარჯზე დაამარცხა **ვიქტორ ჰანესკუ**. მთელი მატჩის განმავლობაში სამხრეთაფრიკელმა მეტოქეს მიღებაზე ერთი შანსიც არ მისცა, თავად კი სამი ბრეიკი გააკეთა და ორ სეტში გაიმარჯვა.

ასევე ორ სეტში დაასრულეს თავიანთი შეხვედრები **ჟილ სიმონმა** და **მილოშ რაონიჩმა**, რომლებმაც შესაბამისად **კარლოს ბერლოკი** და **ჟოაო სოუზა** დაამარცხეს.

■ ■ ■

სამაგიეროდ, ესტორილში ქალებს შორის იყო უცნაური დღე. ერთბაშად გამოეთიშნენ ბრძოლას პირველი, მეორე და მესამე ნომრები.

**ალისა კლეიბანოვა** გერმანელმა **კრისტინა ბაროისმა** დაამარცხა. ამასთან, პირველ სეტში რუსი 4:1-ს იგებდა, რის შემდეგაც მომდევნო 13 გეიმიდან 11 წააგო. მეორე ნომერმა **იარმილა გაიდოშოვამ**, როგორც ჩანს, ზედმეტად აქტიურად აღნიშნა ამ კვირას თავისი დაბადების დღე და ვერ გაუმკლავდა **მონიკა ნიკულესკუს**. არადა, ავსტრალიელს კარგი შანსი ჰქონდა - პირველი პარტია 7:5 მოიგო და მეორეში 4:2 იყო დაწინაურებული, რის შემდეგაც შეცდომებს უმატა და დამარცხებულმა დატოვა კორტი.

ამ მატჩების ფონზე **კლარა ზაკოპალოვას** მარცხი **ანაბელ მედინა გარიგესთან** დიდ მოულოდნელობად არ მოჩანს. გამოცდილი ესპანელი გრუნტზე ყოველთვის სახიფათოა, რაც დაამტკიცა კიდეც ექვსი ბრეიკის აღებით.

ბარსელონაში დღე იტალიური გამოდგა, რადგან ამ ქვეყნის ორმა წარმომადგენელმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და მეოთხედფინალში გავიდა.

**რობერტა ვინჩი ვირჟინ რაზანოს** გაუსწორდა. საერთოდ, ეს იტალიელი ბარსელონაში კარგად თამაშობს - 13 მატჩიდან 12 მოგება და მხოლოდ ერთი მარცხი აქვს. ვინჩიმ ორი წლის წინ მოიგო მთავარი პრიზი, შარშან კი ფინალში ითამაშა.

**სარა ერანიმ** თავისი თანამემამულე **ალბერტა ბრიანტი** დაამარცხა, რომელმაც წინა კვირას კარიერაში პირველი ტიტული მოიგო.

**ATP**

BMW Open

მიუნხენი (გერმანია). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 398 500 ევრო

**1/8 ფინალი**

**ფლორიან მაიერი (გერ, 5)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:4, 7:6; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 8)**-დენის გრემელმაიერი (გერ) 6:3, 6:3; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-დასტინ ბრაუნი (იამ) 7:6, 6:7, 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 7)**-ჟულიან რაისტერი (გერ) 3:6, 7:6, 6:1; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 3)**-ორასიო სებალიოსი (არგ) 6:3, 7:6.

**Serbia Open**

ბელგრადი (სერბეთი). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 373 200 ევრო

**1/8 ფინალი**

**ფილიპო ვოლანდრი (იტა)**-ილია მარჩენკო (უკრ) 6:3, 1:6, 6:3; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 7)**-მიშა ზვერევი (გერ) 6:2, 6:0; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 6:2, 6:3; **სომდევ დევარმანი (ინდ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 7:6, 2:6, 7:6.

**Estoril Open**

ესტორილი (პორტუგალია). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 398 250 ევრო

**1/8 ფინალი**

**მილოშ რაონიჩი (კან)**-ჟოაო სოუზა (პორ) 6:3, 6:3; **ჟილ სიმონი (საფ)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:2, 6:1; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-ფრედერიკო ჟილი (პორ) 6:1, 7:6; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:4, 6:2.

**WTA**

**Estoril Open**

ესტორილი (პორტუგალია). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**კრისტინა ბაროისი (გერ)**-ალისა კლეიბანოვა (რუს, 1) 6:4, 6:2; **მონიკა ნიკულესკუ (რუმ)**-იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა, 2) 5:7, 6:4, 6:2; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 3) 6:3, 7:5; **იოჰანა ლარსონი (შვედ)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:2, 7:5.

**Barcelona Ladies Open**

ბარსელონა (ესპანეთი). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**სარა ერანი (იტა, 5)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:2, 6:3; **რობერტა ვინჩი (იტა, 6)**-ვირჟინ რაზანო (საფ) 6:4, 6:1; **ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ)**-ესტრელა კაბესა კანდელა (ესპ) 6:4, 6:4; **პოლონა ჰერცოგი (სლოვენ)**-ლაურა პოუს-ტიო (ესპ) 6:5 შეწყდა.

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| ტორკი-ჩესტერფილდი | 0:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ლივორნო-ატალანტა | 2:1 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვალიადოლიდი-ბარსელონა B | 2:1 |
| **გერმანია** | |
| კაიზერი-სტ.პაული | 2:0 |
| ვერდერი-ვოლფსბურგი | 0:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ალემანია-ობერჰაუზენი | 4:0 |
| ბოხუმი-უნიონი | 3:0 |
| კარლსრუე-ფორტუნა | 2:2 |
| ჰერტა-მიუნხენი | 1:2 |
| პადერბორნი-ოსნაბრიუკი | 1:0 |
| **III დივიზიონი** | |
| ბაბელსბერგი-დინამო | 1:1 |
| ოფენბახი-კარლ ცაისი | 0:2 |
| უნტერჰახინგი-ზაარბრიუკენი | 0:2 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ვოლფსბუგი A-ჰერტა A | 2:0 |
| ჰამბურგი A-ხემნიცი | 3:4 |
| პლაუენი-ლიუბეკი | 0:1 |
| ლაიპციგი-კოტბუსი A | 3:2 |
| ვილჰელმშავენი-ჰალეშერი | 0:1 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ჰოფენჰაიმი A-ფრაიბურგი A | 1:1 |
| ნიურნბერგი A-კასელი | 1:2 |
| შტ. კიკერსი-კარლსრუე A | 2:2 |
| პფიულენდ.-ფრანქფურტი A | 3:0 |
| მემინგენი-ვორმატია | 0:3 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ბოხუმი A-მაინცი A | 4:2 |
| ელვერსბერგი-მუნსტერი | 0:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-სედანი | 0:0 |
| შატორუ-კლერმონი | 3:1 |
| ლავალი-ჰავრი | 2:1 |
| მეცი-ბულონი | 3:1 |
| ნანტი-ანჟერსი | 2:0 |
| რეიმსი-დიჟონი | 1:2 |
| ტური-გრენობლი | 2:2 |
| ტრუა-ნიმი | 1:3 |
| ვანი-ისტრი | 2:2 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| მაასტრიხტი-კამბური | 1:3 |
| ტელსტარი-იგლზი | 1:1 |
| ცვოლე-დენ ბოში | 0:0 |
| დორდრეხტი-ემენი | 2:1 |
| ვაალვიკი-როსენდაალი | 7:0 |
| ვეენდამი-ჰელმონდი | 0:0 |
| ომნივორლდი-ფორტუნა | 0:0 |
| აპელდოორნი-სპარტა | 0:1 |
| ეინდჰოვენი-ვოლენდამი | 0:3 |
| **ბელგია** | |
| სტანდარდი-გენტი | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| ფერეირა-გიმარაეში | 2:1 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფინი-აკადემისკი | 2:3 |
| **შვედეთი** | |
| გაის-ელფსბორგი | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამარბიუ-ბრაგე | 1:0 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| პკ 35-კტპ | 1:0 |
| კპვ-პოპა | 1:0 |
| **ფინეთის თასი** | |
| ლაჰტი-იუვიასკიულა | 4:3 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| გრატკორნი-ჰარტბერგი | 3:1 |
| ალტახი-აუსტრია (ლ) | 2:1 |
| სტ. ანდრე-ვენა | 1:0 |
| ლუშტენაუ-გრიოდიგი | 2:0 |
| სტ. პოლტენი-ადმირა | 1:0 |
| **თურქეთი** | |
| შივასი-გენჩლერი | 1:1 |
| **ირლანდია** | |
| გალვეი-შემროკი | 0:1 |
| ბოჰემიანსი-დერი | 0:2 |
| დანდალკი-ბრეი | 0:0 |
| სტ. პატრიკსი-დროგედა | 3:0 |
| უნივერსიტი-სლიგო | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ლიმერიკი-ეთლონი | 3:0 |
| მერვუ-მონეგანი | 3:1 |
| შელბურნი-ფინ ჰარპსი | 1:0 |
| უექსფორდი-უოტერფორდი | 1:2 |
| **კვიპროსი** | |
| აელ-ოლიმპიაკოსი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-ბოჰემიანსი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| დუკლა-ვარნსდორფი | 4:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-შენიცა | 0:1 |
| **უკრაინა** | |
| ტავრია-ვოლინი | 0:0 |
| **პოლონეთი** | |
| ლეგია-ვიძევი | 1:0 |
| ზაგლებე-ლეხი | 1:0 |
| ლოკომოტივა-კარლოვაცი | 0:0 |
| ზაგრები-სლავენი | 1:3 |
| **უნგრეთი** | |
| დიორი-პაკსი | 1:1 |
| ვიდეოტონი-კეჩმეკეტი | 2:2 |
| **არგენტინა** | |
| ხიმნასია-ნიუელსი | 1:2 |
| **იაპონია** | |
| ფუკუოკა-კაშიმა | 1:2 |
| კობე-ომიია | 0:1 |
| კაშივა-კოფუ | 2:1 |
| იოკოჰამა-შიმიცუ | 1:1 |
| ვეგალტა-ურავა | 1:0 |
| სერეზო-ნიიგატა | 1:1 |
| გამბა-იამაგატა | 3:2 |
| ივატა-ჰიროშიმა | 1:1 |
| ნაგოია-კავასაკი | 2:0 |

| | |
|---|---|
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| გრაველენი-ტულონი | 81:64 |
| ვილერბანი-ლიმოჟი | 79:75 |
| ორლეანი-პარიზი | 72:77 |
| შოლე-ნანსი | 68:79 |
| **თურქეთი** | |
| ფენერბაჰჩე-მერსინი | 83:79 |

| | |
|---|---|
| **ჰოკეი** | |
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| გერმანია-რუსეთი | 2:0 |
| შვეიცარია-საფრანგეთი | 1:0 (ო) |
| ბელარუსი-კანადა | 1:4 |
| სლოვაკეთი-სლოვენია | 3:1 |

| | |
|---|---|
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ბელგრადი** | |
| მონტანიესი-ფ. ლოპესი | 4:6, 4:6 |
| გრანოლერსი-ვოლანდრი | 2:6, 4:6 |
| ტიპსარევიჩი-დევარმანი | 6:3, 3:6, 6:4 |
| ჯოკოვიჩი-კავჩიჩი | 6:3, 6:2 |
| **ATP. ესტორილი** | |
| კუევასი-ბელუჩი | 6:4, 6:2 |
| სიოდერლინგი-დელ პოტრო | 4:6, 5:7 |
| რაონიჩი-სიმონი | გადაიდო |
| ვერდასკო-ანდერსონი | გადაიდო |
| **ATP. მიუნხენი** | |
| პეტცშნერი-სტარაჩე | 7:6, 7:6 |
| მაიერი-დიმიტროვი | 7:6, 3:6, 6:4 |
| კოლშრაიბერი-შტეპანეკი | 4:6, 0:6 |
| ჩილიჩი-დავიდენკო | 5:7, 3:6 |
| **WTA. ბარსელონა** | |
| ჰერცოგი-პოუს ტიო | 7:6, 1:6, 5:7 |
| ერანი-ჰრადეცკა | 1:6, 5:7 |
| ვინჩი-პოუს ტიო | 4:6, 6:4, 7:6 |
| **WTA. ესტორილი** | |
| ბაროისი-ლარსონი | 7:6, 6:4 |
| მედინა გარიგესი-ნიკულესკუ | 6:1, 6:3 |

TV პროგრამა

**30 აპრილი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ვოლფსბურგი.
12:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:00 საფრანგეთის შოუ.
15:30 იტალიის შოუ.
16:00 ესპანეთის შოუ.
16:30 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:30 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ნიურნბერგი (LIVE).
19:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:30 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ტოტენჰემი (LIVE).
22:30 ფეხბურთი. სტუდენტური საფეხბურთო ლიგის მიმოხილვა.
22:45 იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ჯენოა (LIVE).
00:45 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.

**GMG-სპორტი**

10:00 ფეხბურთი. ინგლისი ჩემპიონატი. არსენალი-ლივერპული.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. მემფისი-სან ანტონიო. VI მატჩი
14:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ნიუ ორლეანი-ლეიკერსი. VI მატჩი.
17:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ესტორილი. პორტუგალია (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სარაგოსა (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-ბარსელონა (LIVE).
23:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ესტორილი. პორტუგალია.
01:30 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. რასინგი-რივერ პლეიტი.
03:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი (LIVE).

**I არხი**

18:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ტორპედო-სამტრედია (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

17:25 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ნიურნბერგი (LIVE).
19:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სარაგოსა (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-ბარსელონა (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ატლეტიკო (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

18:55 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/4 ფინალი. მონპელიე-რაინის ლომები (LIVE).
03:30 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/4 ფინალი I მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
17:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ლევერკუზენი (LIVE).
19:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

13:40 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-სპარტაკი (LIVE).
16:00 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ტერეკ-ვოლგა (LIVE).
18:15 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-კუბანი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მიუნხენი. გერმანია (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

04:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი (LIVE).

**SPORT+**

13:40 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-სპარტაკი (LIVE).
17:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/4 ფინალი. ჩეხოვსკიე მედვედი-ჰამბურგი. საპასუხო მატჩი (LIVE).
20:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე (LIVE).
22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ჯენოა (LIVE).

**EUROSPORT**

13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. თავისუფალი პროგრამა. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
17:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 ფიგურული სრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცეკვები. თავისუფალი პროგრამა. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

13:30 ავსტრალიური ფეხბურთი. ადელაიდა-სენტ კილდა (LIVE).
22:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. პიაჩენცა-პეზარო (LIVE).

**1 მაისი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

17:05 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
19:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ოსერი (LIVE).
23:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ვალენსია (LIVE).

**GMG-სპორტი**

17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ბოლონია (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

16:55 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ბოლონია (LIVE).
18:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-სევილია (LIVE).
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ხეტაფე (LIVE).
22:55 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. 1/2 ფინალი. პალმეირასი-კორინთიანსი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

20:25 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/4 ფინალი. კილი-ბარსელონა. საპასუხო მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

16:25 ფეხბურთი. პოლანდიის ჩემპიონატი (LIVE).
19:00 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. პორტუგალია (LIVE).
22:55 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. 1/2 ფინალი (LIVE).
01:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. 1/2 ფინალი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

11:40 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ამკარი-ტომი (LIVE).
14:00 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ანჟი-როსტოვი (LIVE).
16:15 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. კრასნოდარი-ზენიტი (LIVE).
18:40 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. კრილია-რუბინი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მიუნხენი. გერმანია (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

21:55 კალათბურთი. ევროჩელენჯი. „ოთხთა ფინალი". ფინალი. ბელგია (LIVE).
04:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი (LIVE).

**SPORT+**

18:40 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. კრილია-რუბინი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (LIVE).

**EUROSPORT**

14:45 ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. II რბოლა. ბელგია (LIVE).
16:00 ველოსპორტი. თურქეთის ტური. VIII ეტაპი (LIVE).
17:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

15:30 მინი-ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. ლისაბონი. პორტუგალია (LIVE).
20:00 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კვირის ბოლოს



რეგატა — ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

● ჩოგბურთი. ინტერვიუ ივან ლენდლთან

# თანამედროვე ვარსკვლავებს სეტსაც ვერ მოვუგებდი

**52 წლის ლეგენდამ ივან ლენდლმა Tennistalk-თვის მიცემულ ინტერვიუში ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რატომ არ გადიოდა მრავალი წლის განმავლობაში კორტზე, რას აკეთებდა კარიერის დასრულების შემდეგ და რატომ ვერ შეძლებდა თავისი ხის ჩოგნით რაფაელ ნადალის დამარცხებას.**



ლენდლი ქალიშვილებთან ერთად

**- რატომ გადაწყვიტეთ 1994 წელს კარიერის დასრულება?**

- ბოლო წლებში აქტიური გამოსვლების შემდეგ ზურგის არეში ტკივილს ვგრძნობდი. რაღაც მომენტში საკუთარ თავს ვუთხარი, რომ კიდევ რამდენიმე კვირა ვცდიდი ძალებს და თუ ტკივილი არ გაივლიდა, კარიერას დავასრულებდი. ასეც მოხდა.

**- მას შემდეგ ვეტერანთა ტურნირებზე გამოსვლაზეც უარი თქვით...**

- დიახ, ეს ასეა. დავარიგე ჩემი ჩოგნები და მრავალი წლით დავივიწყე კორტი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უსაქმოდ ვიყავი. დიდ დროს ვუთმობდი საკუთარ ოჯახს, ჩემს ხუთ ქალიშვილს. გარდა ამისა, ბევრს ვთამაშობდი და ვთამაშობ გოლფს. კვირაში ხუთი დღე გორგოლაჭებზე ვსრიალებ - დაახლოებით 20 კილომეტრს გავდივარ.

**- ახლა რატომ გადაწყვიტეთ დაბრუნება?**

- ჩემი ქალიშვილები უკვე გაიზარდნენ და აღარ სჭირდებათ ძველებურად დიდი ყურადღება. საკუთარი საჩოგბურთო აკადემია გავხსენი და ბავშვებთან მეცადინეობა დავიწყე. გარდა ამისა, ცოტა ხნის წინ ექიმთან ვიყავი და ზურგის მდგომარეობა შევამოწმე. რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ მივხდი, რომ ისევ შემიძლია სიამოვნება მივიღო კორტზე თამაშისგან.

**- თქვენი გოგონები ჩოგბურთს თამაშობენ?**

- სამი მათგანი გოლფით არის გატაცებული და მათთან ერთად ხშირად ვმოგზაურობ ტურნირებზე. ისინი ნიჭიერები არიან და შეიძლება კარგი, პროფესიონალი მოთამაშეები გახდნენ.

**- ერთადერთი მამაკაცი ხართ ოჯახში. ალბათ, ლიდერობა თქვენ გეკუთვნით?**

- ასე ვთქვათ - ჩემს საქმეებს რაც შეეხება, მხოლოდ მე ვიღებ გადაწყვეტილებას. ისე კი, ქალიშვილებზე უფრო მეტად ჩემი ძაღლები მიჯერებენ (იცინის).

**- ტელევიზორში საჩოგბურთო მატჩებს ხშირად უყურებთ?**

- არა, იშვიათად. უფრო ფეხბურთისა და ჰოკეის ტრანსლაციები მაინტერესებს.

**- 80-იან წლებში მსოფლიო ჩოგბურთის ერთ-ერთი ლიდერი იყავით, 270 კვირის განმავლობაში სათავეში ედექით რეიტინგს. შეგიძლიათ შეადაროთ დღევანდელი ვარსკვლავები თქვენს თაობას?**

- ფედერერთან ან ნადალთან შანსი არ მექნებოდა. ვფიქრობ, მათ ერთ სეტსაც ვერ მოვუგებდი. დღევანდელი თაობა გაცილებით ათლეტურია. უფრო სწრაფები და ძლიერები არიან და უფრო მრავალფეროვანი დარტყმების არსენალი გააჩნიათ.

**- ალბათ, თავის დროზე თქვენზეც ასე ლაპარაკობდნენ...**

- დიახ, მაგრამ ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩოგბურთი ძალიან წინ წავიდა. რა თქმა უნდა, ჩოგბურთში არ არსებობს ისეთი ზუსტი შედარებები, როგორც მძლეოსნობაში, სადაც ყველაფერი მეტრებსა და წამებში იზომება. მიუხედავად ამისა, დღევანდელი ჩოგბურთი შესამჩნევად განსხვავდება იმისგან, რასაც ჩემი თაობა აჩვენებდა. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რა შორს წავიდა ჩოგბურთი ეკიპირების მხრივ. ხის ჩოგანი, რომელსაც ჩვენ ვხმარობდით, ნადალის პირველივე მოწოდებაზე დაიმსხვრეოდა.

**- თქვენ ამერიკაში ცხოვრობთ, სადაც ხშირად იმართება ვეტერანთა ტურნირები. იქ თქვენი ლეგენდარული მეტოქეები თამაშობენ - მაკინროი, კეში... აპირებთ ამ ტურნირებში გამოსვლას?**

- ხშირად ეს არ მოხდება. ასეთ ტურნირებზე კვირაში 3-4 მატჩის ჩატარება გიწევს, ჩემთვის ეს მეტისმეტია. ვცდილობ სპორტული ფორმის შენარჩუნებას, თითქმის იდეალური წონა მაქვს - 79 კილოგრამი, მაგრამ ყოველი თამაშის შემდეგ სოლიდური დასვენება მჭირდება.

**- თქვენი დაპირისპირება მაკინროისთან, ბეკერთან, ჩანგთან, ვილანდერთან ჩოგბურთის ისტორიაში შევიდა...**

- ვფიქრობ, ბევრი ვისწავლე ჩოგბურთში მათთან კონკურენციის წყალობით. ყოველი ნაგების შემდეგ ვეძებდი გზას საკუთარი თამაშის გასაუმჯობესებლად. დარწმუნებული ვარ, ისინიც ჩემზე იგივეს იტყვიან.

**- ძველი მეტოქეებიდან ვისთან გაქვთ ხშირი ურთიერთობა?**

- ხანდახან ვხვდებით ერთმანეთს. ყველაზე ხშირად ჩემს თანამემამულესთან რადეკ შტეპანეკთან მაქვს კონტაქტი. ის ფლორიდაში ჩემს მეზობლად ცხოვრობს.

**- უამრავი ტურნირი გაქვთ მოგებული, მაგრამ უიმბლდონის ფინალი ვერასდროს დაიპყარით. მართალია, რომ ამის მიზეზი ბალახზე ალერგია იყო?**

- გარკვეულწილად ალერგია ხელს მიშლიდა. წლების განმავლობაში ეს პრობლემა თითქმის გაქრა, მაგრამ გოლფის ტურნირების წინ მაინც მიწევს სპეციალური ნემსების გაკეთება.

**- თავის დროზე ჩეხეთიდან ამერიკაში წასვლამ დიდი რეზონანსი გამოიწვია.**

- დიახ, მაშინ ამაზე ბევრი ლაპარაკი იყო, მაგრამ ბოლოს მაინც მივაღწიე კომპრომისს. ამერიკაში გავემგზავრე, მაგრამ დევისის თასზე ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში თამაშს ვაგრძელებდი, გარდა ამისა, ჩემს ოჯახსაც შეეძლო მშვიდად ჩამოსულიყო ჩემთან სტუმრად. აშშ-ში იმის გამო არ წავსულვარ, რომ კომუნიზმს გავექეცი. ამ წყობის მომხრე არ ვარ, მაგრამ წასვლის მიზეზი ეს არ ყოფილა, უბრალოდ, ჩოგბურთის თამაში მინდოდა. ჟურნალისტებს კი ეს არ ესმოდათ და პოლიტიკური გამოსვლებისკენ მიბიძგებდნენ. არ ესმოდათ, რა პრობლემები შეიძლებოდა ამას ჩემთვის მოეტანა.

● დოსიე

## ივან ლენდლი

პროფესიონალი ჩოგბურთელი 1978 წლიდან.

მოიგო 94 ტურნირი ერთეულებში და 6 - წყვილებში.

საუკეთესო შედეგები დიდი სლემის ტურნირებზე:

ავსტრალიის ღიას ჩემპიონი (1989, 1990).

საფრანგეთის ღიას ჩემპიონი (1984, 1986, 1987).

აშშ-ის ღიას ჩემპიონი (1985, 1986, 1987).

უიმბლდონის ფინალისტი (1986, 1987).

მასტერსის თასის ჩემპიონი (1981, 1982, 1985, 1986, 1987).

პირველი ჩოგანი 1983 წლის 28 თებერვლიდან; ტიტულს ინარჩუნებდა (შესვენებებით) 270 კვირის განმავლობაში (მესამე შედეგი პიტ სამპრასის - 286 და ფედერერის შემდეგ - 285).

პროფესიული კარიერა 1994 წელს დაასრულა.

● ოლიმპიზმი

# 5 მილიონი ოქროსთვის

რუსეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა კონტრაქტი გააფორმა კანადურ კომპანია Allinger Consulting Inc-თან. ეს ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს იმაზე, რომ რუსეთი სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე ოქროს 14 მედალს მოიპოვებს. როგორც რუსული პრესა წერს, ოლიმპიადის მასპინძლებს ეს მედლები (თუ მოიპოვა) ხუთი მილიონი დოლარი დაუჯდებათ.

Allinger Consulting-მა ვანკუვერის ოლიმპიადაზე კანადის ნაკრებს ასევე ოქროს 14 მედალი მოაპოვებინა. ეს კომპანია 5 მილიონ დოლარად ვარჯიშების ინდივიდუალურ გეგმას შეუდგენს რუს სპორტსმენებს, გააკონტროლებს მზადების მსვლელობას და შეცვლის იმ ათლეტებს, რომლებიც ვერ გაუძლებენ დატვირთვებს. გარდა ამისა, კომპანია შეარჩევს პერსონალს, მათ შორის ექიმებსა და დიეტოლოგებს.

ვანკუვერის ოლიმპიადაზე რუსეთის ნაკრებმა მოკრძალებული შედეგი აჩვენა - 15 მედალი მოიპოვა, საიდანაც მხოლოდ სამი იყო უმაღლესი სინჯის. რუსეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ეს გამოსვლა ჩავარდნად შეაფასა და სიტუაციის გამოსწორებაზე აქედანვე დაიწყო ზრუნვა. ქვეყნის სპორტის მინისტრმა **ვიტალი მუტკომ** განაცხადა, რომ რუსეთის ნაკრებს სოჭში პირველი ადგილი დაუგეგმა, რისთვისაც 14-15 ოქროს მოპოვება საკმარისი იქნება.

● ჩოგბურთი

# დები როლან გაროსს უმიზნებენ

ამერიკელმა დებმა - **ვენუს და სერენა უილიამსებმა** კიდევ ერთხელ გადადეს კორტზე დაბრუნება. მათ ოფიციალურად გამოიტანეს თავიანთი განაცხადი მადრიდისა და რომის პირველი კატეგორიის ტურნირებიდან.

შეგახსენებთ, რომ ვენუსს ბარძაყის ტრავმის გამო ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ არ უთამაშია, სერენას კი ჯერ ფეხის დაზიანების, შემდეგ ფილტვების ემბოლიის გამო თითქმის ერთწლიანი იძულებითი პაუზა გამოუვიდა.

ამ ტურნირების გამოტოვება ცუდად აისახება რეიტინგში დების პოზიციებზე. ვენუსი, რომელსაც შარშან მადრიდში ფინალში თამაშისთვის და რომში მეოთხედფინალში გასვლისთვის ქულები ჰქონდა დასაცავი, სავარაუდოდ, საუკეთესო ოცდაათეულის მიღმა აღმოჩნდება. სერენა კი ოცეულიდან გავარდება.

როგორც ამბობენ, ვენუსი კორტზე ბრიუსელის ტურნირზე დაბრუნდება, სერენას დაბრუნების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის.

სხვათა შორის, დებმა ერთხმად გამოთქვეს როლან გაროსზე თამაშის სურვილი, საიდანაც უნდა ვივარაუდოთ, რომ მაისის ბოლოსთვის ისინი მწყობრში იქნებიან. *„ეს შესანიშნავი ტურნირია და ძალიან გვინდა იქ თამაში. უკვე მომავალ კვირას ვაპირებთ ვარჯიშების განახლებას. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მალე დავუბრუნდეთ კორტს“*, - განაცხადა ვენუს უილიამსმა.



დები უილიამსები: სერენა (მარცხნივ) და ვენუსი

● ალპინიზმი

# ტრაგედია ალპებში

ცნობილი შვეიცარიელი ალპინისტი **ერჰარდ ლორეტანი** ალპებზე ასვლისას დაიღუპა. ტრაგედია ხუთშაბათს მოხდა - ზუსტად ამ დღეს ლორეტანს 52 წელი შეუსრულდა.

ლორეტანი მეწყვილესთან ერთად ადიოდა მთაზე: თავიდან თხილამურებით, შემდეგ თოკში ჩაბმული. 3800 მეტრ სიმაღლეზე ტანდემი მთას მოსწყდა. შვეიცარიელი ადგილზე დაიღუპა, მისი 38 წლის მეწყვილე ცოცხალი გადარჩა, მაგრამ ის მძიმე ტრავმებით მიიყვანეს საავადმყოფოში. მისი მდგომარეობა კრიტიკულია.

პოლიციის განცხადებით, გამოცდილი ალპინისტის კლდიდან მოწყვეტის მიზეზი ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება.

ლორეტანი ალპინიზმით 11 წლის ასაკიდან იყო გატაცებული და იმ მთასვლელთა სიაში შედიოდა, ვისაც თოთხმეტივე რვაათასიანი მწვერვალი აქვს დაპყრობილი. შვეიცარიელი ევერესტზე ღამით უჟანგბადოდ ასვლითაც არის ცნობილი. მან ეს 1986 წელს გააკეთა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

